გაზეთი ზევრიას, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№55 (811) 20 – 21 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დავით ბერძენიშვილი სასულიერო პირების დასჯას ითხოვს?

„მნიშვნელობა არ აქვს, სასულიერო პირი იქნება თუ საერო, არც ისაა მნიშვნელოვანი, ვინ ვისი ან რისი მომხრეა, კანონი კანონია და ის მღვდელმა დაარღვია თუ ჩვეულებრივმა მოქალაქემ, დამნაშავეები შესაბამისად უნდა დაისაჯონ, თუმცა ჯერ არავინ იცის, ვინ დააშავა...“

„გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია, რომელსაც როგორც კოალიციის კანდიდატს, ფორა აქვს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე მარგველაშვილის პერსონალური რეიტინგიც ამაღლების პროცესშია“

გვ. 3

სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით შექმნილ ორგანიზაციაში 10 ათასი ადამიანი გაერთიანდა!

ნანა კაკაბაძის ყრილობის კულუარები — რა წერია რეზოლუციაში, რატომ გაიქცა მომღერალი „უცნობი“ სპორტის სასახლიდან, ვინ შეარქვა მიკი მაუსი სააკაშვილს და რა ინციდენტი შეემთხვა ნინო ბურჯანაძეს

გვ. 8

„ოცნება“ პრეზიდენტის დედის ავიაცოდვებს იძიებს?

გვ. 6

თბილისის აეროპორტის ტენდერის დღემდე უცნობი სკანდალური დეტალები — როგორ იშოვა ქართული ავიაბაზრის თურქმა მონოპოლისტმა მილიარდები **გიული ალასანიას** ლობირებით

20 გვერდი 40 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია ჰუმანურობის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვით, საზოგადოების სიყვარულსა და ნდობას დაიმსახურებს!“



პოლიციის ეთიკის კოდექსი, ახალი კანონპროექტი და სხვა სიახლეები, რომლითაც ქართულმა პოლიციამ პროფესიული დღე აღნიშნა

გვ. 5

დიტო გელოვანი

გეისტრატეგიული ინიციატივა

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

„გინდათ, პირდაპირ გითხრათ, რა მოხდა? — ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი გელა ხვედელიძეს მოერივნენ!“

რატომ შექმნა ბიზნესმენთა დაცვის ლიგა და რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერს მხარს ლაშა ამირეჯიბი — მეგობარ გიორგი მარგველაშვილს თუ თანამებრძოლ ნინო ბურჯანაძეს

გვ. 4

ანაკლიაში თენგიზ გუნავა პალმის რტოებით სცემეს

გვ. 10

სექტემბრიდან ბავშვებს ბაგა-ბაღებიდან მასობრივად გარიცხავენ

გვ. 11

ნასა ქართველი ფიზიკოსის გამოგონებით დაინტერესდა

გვ. 13

რეპორტაჟი მაკლერების ბირჟიდან

რატომ გაძვირდა თბილისში ბინები ოქტომბრის არჩევნების შემდეგ

გვ. 12

დიტო გელოვანი

სამივეს პირველად ეს საკმაოდ სასაცილოდ მოგვეჩვენა, მაგრამ მერე გედეონმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ის უფრო ბალერინას წააგავდა, ვიდრე ფეხბურთელს. ტოგომ იმას მიაქცია ყურადღება, რომ ძალიან მრუდე ფეხები ჰქონდა, მე კი — ჩემს ჰიპერტროფირებულ ცხვირს. ჩვენ ძალიან გავბრაზდით კარიკატურის დამხატველზე, მაღალ წითურ სლავზე, რომელსაც ხატვისა და პოეზიის გარდა, მწვავე ნევრასტენია ჰქონდა... და ერთი კარგად მივბეგვეთ. მას გამოექომაგნენ უკვე წმინდა პატრიოტული გრძნობის გამო და ნაცემი ხალხის რაოდენობა აღემატებოდა განაწყენებული ხალხის რაოდენობას.

(ოთარ ჩიჯავაძე, „თვითმკვლელები“)

გეისტრატეგიული ინიციატივა

ჩვენ სინამდვილეში სულ ცხელ-ცხელი ანეკდოტი გაეძრო და აბა, როგორ არ გითხრათ?! მოკლედ, ერთი ტიპი მეორეს, ასევე ტიპს, ეუბნება, გუშინ თბილისში პედერასტების პარადი გაიმართაო, მეორე კი შენიშნავს — ბიჭო, გუშინ გეების აღლუმი მოეწყო, პედერასტების პარადი კი 19 აპრილს იყო, ეგ როგორ დაგავიწყდაო.

ჰა, ჰა, ჰა... სასაცილოა, მაგრამ აქ ერთ ფაქტობრივ უზუსტობას აქვს ადგილი — 17 მაისს შეკრების მცდელობა ჰქონდათ არა სექსუალურ უმცირესობებს, არამედ სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველებს, რომლებიც, სინამდვილეში, სულაც არ არიან სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველები. ისინი საკუთარ უფლებებს იცავენ. აი, ხომ არსებობს დაუწერელი კანონები? ასევე არსებობს დაუწერელი უფლებები. ამ უფლებებს არავინ არსად დაწერს, არავინ არსად ჩაწერს და არც ხმამაღლა იტყვის.

უფლება — იყო წერა-კითხვის უცოდინარი და ასწავლიდე წერა-კითხვას.

უფლება — იყო უვიცი და ლექციებს კითხულობდე.

უფლება — იყო უზრდელი და სხვას ზრდილობისკენ მოუწოდებდე.

უფლება — იყო უქნარა და შრომის უფლებას მოითხოვდე.

უფლება — იყო ლაჩარი და სხვას ომში გზავნიდე.

უფლება — თვალები უკანალში გქონდეს და ყველაფრის მონიტორინგს ახორციელებდე.

უფლება — არაფერს წარმოადგენდე, მაგრამ წარმოადგენდე ყველას.

უფლება — იყო არაფერი და გქონდეს ყველაფერი.

ახლა, როდესაც 17 მაისი უკვე ჩავლილია, ერთი რამ ზუსტად შემიძლია ვივარაუდო — ლგბტ ადამიანები სახლებში სხედან და მკვდარსა და ცოცხალს აგინებენ, მათი უფლებების ვითომდა დამცველებს.

ერთმა ჩემმა ახლობელმა 18 ათასი დოლარი ისესხა, კანადაში ჩავიდა, მეგზური დაიქირავა, ღამე ნავით ტბები გადალახა, ნიუ-იორკში ჩააღწია, წელებზე ფეხს იდგამს, შრომობს და წვალობს, დაბრუნების უფლებაც აქვს და სურვილიც, უკან დასაბრუნებელი ფულიც აქვს, მაგრამ არ აქვს საშუალება, რომ დაბრუნების შემდეგ იცხოვროს ღირსეულად და ამიტომ შრომობს, ამიტომ წვალობს და ყოველ ღამე თბილისი, საქართველო და ახლობლები ესიზმრება.

შედარებისთვის ავიღოთ „იდენტობის“ რომელიმე წარმომადგენელი. გამოაცხადა, ვიკრიბებითო. უთხრეს, არეულობა მოხდებაო. მაინც შეიკრიბნენ. არეულობა მოხდა, მოხდა დაპირისპირება. იყვნენ ორმოცნი, დაუპირისპირდნენ ათასები. ორმოცივემ გააღწია, საკონსულოებში ორმოცი ვიზაა გამოწერილი, წავლენ და აღარ დაბრუნდებიან. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, მაგრამ რა დააშავეს სოდომის „გომორისა“ და გომორის „სოდომის“ ოსტატ ლგბტ გუნდების იმ მოთამაშეებმა, რომელთა უფლებებიც არასოდეს დარღვეულა, მაგრამ ყოველივე იმის შემდეგ, რაც 17 მაისს თბილისში მოხდა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ დაირღვეს და დაირღვეს ისე, არსად და არასოდეს რომ არ დარღვეულა.

ჰო, რა ვიცი... ნინა ხატისკაცს რომ ჰკითხო, უმცირესობებს ქუჩაში ცუდი თვალით უყურებენ და ეს აღმაშფოთებელია, ასევე, ნინა ხატისკაცი ამბობს, დაქალმა მითხრა, ჩემმა შვილმა სიტყვა „გეი“ რომ გაიგოს, თვითონაც გეი გახდებაო.

ახლა, როგორ უნდა ვიყურებოდე და რას უნდა ვფიქრობდე, ამაზე ვერც შორენა შავერდაშვილი მიმითითებს, ვერც ნინა ხატისკაცი და ვერც მათი ქათამი დაქალები.

უფლება — იყო ქალი, არ გწამდეს ჯვარი და ხატი, მაგრამ გვარად მაინც ხატისკაცი იყო. უფლება — დედა ერთს წეწავდეს, მამა მეორეს, თვითონ მესამეს, იყოს ქათამი და თავი ფრინველთა მეფედ მოჰქონდეს.

რაღაც, ძალიან უცნაური ქათმები წამოვიდნენ. ნორმალური ქათამი გვაძლევს ხორცს, კვერცხს, ბუნდღას, ეს არანორმალურები კი არაფერს გვაძლევენ (რომც მომცენ, სიმართლე გითხრათ, მაგდენის დამლევი მაინც არ ვარ) და იქით ითხოვენ. ექსპერტობაში ითხოვენ ხორცს, სემინარის ჩატარებაში კვერცხს, მონიტორინგში — ბუნდღას.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროში ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამის სამეთვალყურეო ჯგუფის მე-12 ფორუმი გაიმართა. ფორუმის მიზანს, 2013 წლის პროგრამის სამოქმედო გეგმის კოორდინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ზედამხედველობა და კონტროლი წარმოადგენდა... „ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია კერძო ვეტერინარული სტრუქტურების ჩამოყალიბება და გაძლიერება, ასევე ვეტერინარიის, როგორც პროფესიის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ეს, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს და განავითარებს სოფლად ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სერომონიტორინგის, სხვადასხვა დაავადებისა და ცხოველთა გადაადგილებაზე კონტროლის მექანიზმს“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძემ“.

არ ვიცი, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ სწორედ ამ ფორუმზე მოხდებოდა, ვიღაც-ვიღაცების იდენტიფიკაცია და აწი, იქნებ, მათი მონიტორინგიც მოხდეს, ხოლო მონიტორინგი არის აუცილებელი, უფრო ზუსტი სიტყვა რომ გამოვიყენოთ, ეს არის საჭირბოროტო. საჭირბოროტო — დიდებული სიტყვაა და მისი სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, სულ რომ არ დაუმიზნო, ტყვია ტყვიაში მაინც ჯდება.

აი, რას ვგულისხმობ მონიტორინგში:

შევიკრიბოთ, დავსხდეთ და მოვიფიქროთ, როგორ გადაიჭრას პრობლემა, რომელსაც „სამოქალაქო საზოგადოება“ ჰქვია. შევადგინოთ და დავგზავნოთ წერილები, მოვითხოვოთ ციფრები — რომელმა ენჯეომ რა დაფინანსება მიიღო ბოლო 15 წელიწადში, რა პროექტები დაფინანსდა, რომელ პროექტზე რა თანხა იყო გამოყოფილი და როგორ იყო შედგენილი ბიუჯეტი. ასევე, ძალიან საინტერესოა, რომელ სფეროებში გაიცა გრანტები (ადამიანის უფლებების დაცვა, ეკოლოგია, უმცირესობის უფლებები, მედია, გენდერი, სამოქალაქო განათლება...) და ა.შ.

შევიკრიბოთ, დავსხდეთ, დავთვალოთ და შევკრიბოთ. ვნახოთ, რას მივიღებთ. ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ ციფრები იქნება გამაოგნებელი, შედეგები — კატასტროფული: დაიხარჯა ათეულობით მილიონი დოლარი, ადამიანის უფლებები არავის დაუცვია, ერთი ხეც არავის დაურგავს, ერთი ნორმალური სტატიაც არ დაუწერიათ, ერთი ნორმალური სატელევიზიო სიუჟეტიც არ შეუქმნიათ და ერთი ადამიანიც არ გაუნათლებიათ. ყველაზე სავალალო შედეგი კი ისაა, რომ მივიღეთ ათასობით პროფესიონალი უსაქმური და ათიათასობით ახალგაზრდა, რომელთათვისაც ეს უსაქმურები ავტორიტეტს წარმოადგენენ.

იცით, რომ კვირაში შვიდი დღე ვემეგობრები ჩემს ერთგულ მეგობარს, ალალ-მართალ სააგენტოს და ერთი დღეც არ გავა, ასეთი სიტყვები რომ არ ამოვიკითხო: „...შეხვდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს“.

გინდათ გითხრათ, ვინ არიან ეს „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები“? ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც მთელი ცხოვრება სემინარებზე, ტრენინგებზე და ვორქ-შოპებზე აქვთ გატარებული და რომელთათვისაც მთავარი არა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაა, არამედ ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გრანტის მოპოვება. გამოცხადდება საგრანტო კონკურსი — გაიხსენებენ პრობლემის არსებობას, ხოლო შემდეგ, არ აქვს მნიშვნელობა, მოიპოვებენ თუ არა დაფინანსებას, ის პრობლემა დავიწყებას ეძლევა.

შესაძლოა, მართლაც პრობლემაა უმცირესობათა უფლებები, თუმცა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის მათი უფლებების დამცველები უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენენ.

რამდენჯერმე ითქვა, რომ შარშანდელი 17 მაისი იყო გაცილებით მშვიდი. იყო მცირე ექსცესი, მაგრამ ეგეთები არ ითვლება. გამომდინარე იქიდან, რომ „იდენტობის“ აქცია დიდი ხნით ადრე და მრავალჯერადი საეჭვო გულმოდგინებით იყო დაანონსებული, ცხადი იყო, რომ ადამიანების რეაქცია იქნებოდა გაცილებით მწვავე, ვიდრე შარშან. ეს იყო ცხადი ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინ ამ ყველაფრიდან იხეირა. იხეირეს „იდენტობამ“ და სხვა „იდენტობებმა“ და იხეირა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ. ვერავინ და ვერასოდეს გადამარწმუნებს, რომ ეს აქცია ნაცების მიერ იყო დაგეგმილი და რომ მათ შედეგებიც წინასწარ განჭვრიტეს: დესტაბილიზაცია, პოლარიზაცია, არეულობა, ეკლესიის ავტორიტეტის შერყევა, საერთო სტრესი და, რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების დაკნინება დასავლეთის თვალში.

არც მე, არც სხვა და არც არავინ, გეებს არ ერჩის და არ ერჩის მანამ, სანამ თავიანთი ცხოვრების წესის რეკლამირებას არ იწყებენ. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის მონაწილეთა შორის არ იყვნენ გეები. აქცია დაგეგმეს ნაცებმა და განახორციელეს ენჯეოშნიკებმა, ანუ ზემოთ ანეკდოტი რომ მოგიყევით, იმ ანეკდოტში კიდევ ერთი უზუსტობა აღმოვაჩინე და ახლავე გავასწორებ — 19 აპრილის ნაცური და 17 მაისის ბოზური აქციების დამკვეთებიც, ორგანიზატორებიცა და მონაწილეებიც, პიდარასტები იყვნენ, ეს სიტყვა კი (პედერასტისგან განსხვავებით), სულაც არ გულისხმობს ჯანმრთელობის მდგომარეობას და სექსუალურ გემოვნებას. ეს სიტყვა, უფრო აღზრდაზე, ცხოვრების წესსა და მიზნებზე მიუთითებს: იყო წერა-კითხვის უცოდინარი და ასწავლიდე წერა-კითხვას; იყო უვიცი და ლექციებს კითხულობდე; იყო უზრდელი და სხვას ზრდილობისკენ მოუწოდებდე; იყო უქნარა და შრომის უფლებას მოითხოვდე; იყო ლაჩარი და სხვას ომში გზავნიდე; თვალები უკანალში გქონდეს და ყველაფრის მონიტორინგს ახორციელებდე; არაფერს წარმოადგენდე, მაგრამ წარმოადგენდე ყველას; იყო არაფერი და გქონდეს ყველაფერი.

უფრო სწორად — გქონდეს ყველაფერი, გარდა სინდისისა.

აბა, კახა ბენდუქიძე რომ ამბობდა, ყველაფერს გავყიდით სინდისის გარდაო, სად აქვთ სინდისი ან მაგას და ან მასთან შედარებით გამხდარ-გაჩხიკინებულ მისნაირებს? თავისასა ვერ გაყიდდნენ, მაგრამ ვერც სხვისას გაყიდდნენ. ეგ ხომ ეგრეა — შენ სინდისს სხვა ვერ გაყიდის, შენ თვითონ თუ არ მოინდომე.

როცა რაღაცას აკეთებ, აუცილებლად უნდა მოუხმო ჭკუას, მაგრამ სინდისს ვერ მოუხმობ. სინდისი ისეთი რამ არის, რომ თვითონ გკარნახობს რაღაც-რაღაცებს, თუ გაქვს სინდისი, რასაკვირველია.

და ახლა ერთი ნიუსი:

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ ჟურნალისტ გიორგი ფარესიშვილის საქმის დროულად გახსნასა და ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემას მიესალმება. ამის შესახებ ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. ამასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მზადყოფნას გამოთქვამს ჩაერთოს, შსს-ს არქივებში არსებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განადგურების პროცესში და სამინისტროს შესაბამისი კონსულტაცია გაუწიოს“.

მზადყოფნას გამოთქვამს, ანუ რა — 100 000-იანი გრანტი აიღეს და ერთი კოლოფი ასანთი იყიდეს თუ როგორ? კონსულტაციას გაუწევენ, ანუ რა — ადრეც გაუნადგურებიათ და ძვირფას გამოცდილებას სხვას უზიარებენ?

ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ნაცებს, რომლებმაც მთელი ოქტომბერი წილების გადაფორმება-გადმოფორმებას, მათ ოფშორებში გადატანასა და დოკუმენტაციის გადაკეთებ-გადმოკეთებასა და განადგურებას მიუძღვნეს, არც პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები დარჩებოდათ, მათ დატოვებას აზრი რომ არ ჰქონოდა. როგორ ფიქრობთ, ასლები არ ექნებათ შენახული?

კარგი, ვთქვათ, შსს-მ გაანადგურა. გავა რამდენიმე დღე და ინტერნეტში ისევ დაიდება რაღაც და ვიღაც იტყვის, რომ მასალები არ განადგურებულა, ისევ წავა წიოკი და დაკა-დაკა, ენჯეოები ისევ მოითხოვენ მონიტორინგს. წიოკით ნაცები ისარგებლებენ, მონიტორინგით — ბუტიკები, რესტორნები და ტუროპერატორები.

ეგეც არ იყოს და, ჩემი მოკლე ჭკუით, ასე მგონია, რომ ის მასალები არის ნაციონალური მოძრაობის მამაძაღლობებისა და დედაარღნიანობის ნივთმტკიცება, ნივთმტკიცებებს კი ვინ ანადგურებს? ვინ და — თანამზრახველი.

მეც მაგარი ვარ, „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ რომ მივადექი, ჩემი აზრით, ყველაზე საქმიან ორგანიზაციას მთელ ამ უსაქმურ ხროვაში, მაგრამ როდესაც ყველაზე კარგს მიადგები, ყველაზე უარესების დედებს შიში იპყრობს.

ჰოდა, მაგ უარესებშია საქმე. მაგათ დროშას შესცქერის ახალგაზრდობა და... ერთი იდეა მაქვს: პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომელიც ენჯეოებს დაავალდებულებს, რომ დროშაზე თეა თუთბერიძე დაახატონ.

რომელი ნორმალური ახალგაზრდა შეხედავს ამის შემდეგ მაგ დროშას?

ამ ყველაფრის შემხედვარე, სხვა ნიუსებისთვის აღარც შემიხედავს, მხოლოდ თვალი გადავავლე და ყველაზე საინტერესოებს მხოლოდ სათაურებად წარმოგიდგენთ:

მიხეილ სააკაშვილი — დაივიწყეთ, რომ ვარსებობ; ნესტან კირთაძე საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის; გივი თარგამაძე საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში გააქტიურებას აპირებს; ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის ერთერთ სავარაუდო კანდიდატად ზურაბ ჯაფარიძე სახელდება; ნუგზარ წიკლაური — ტრიბუნავ, ტრიბუნავ, იქნებ შენ მაინც გვიპასუხო; ქუთაისის მერობა 71 ადამიანს სურს; მიხეილ სააკაშვილი A+Awards გალა ვახშამზე ტიტულით Patron of the Year დააჯილდოვეს;

მიხეილ სააკაშვილმა ბილ კლინტონი წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა...

დატკბით, მეგობრებო, ჩვენი სინამდვილით?

ჯერ სად ხართ! აი, კიდევ: „სასტუმრო „ძველ თბილისში“ 15–16 მაისს კონფერენცია „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ფინანსური მდგრადობა“ გაიმართება. კონფერენციას დაესწრებიან საქართველოს დედაქალაქისა და რეგიონების სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. აგრეთვე მიწვეულნი არიან, არასამწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) უცხოელი ექსპერტები, საქართველოს მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლები. უცხოელი და ქართველი ექსპერტები მონაწილეებს ჩაუტარებენ ტრენინგებს სამ ძირითად მიმართულებაზე: 1) საჯარო დაფინანსების მოძიება-სახელმწიფო გრანტების მოპოვება და მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში 2) ეკონომიკური საქმიანობა, სოციალური მეწარმეობა 3) დაფინანსების მოპოვება, ქველმოქმედება და მოხალისეთა გამოყენება“.

მე მაგათი საქველმოქმედო საქმიანობა არ გამიგია, მაგრამ თუ მაგაზე მიდგება საქმე, არც „ჟურნალისტი გიორგი ფარესიშვილი“ მსმენია დღემდე. მსმენია — რა... არც წამიკითხავს, არადა ვკითხულობ რაღაცებს და ხანდახან ისეთს წაიკითხავ, გული რომ გაგიჩერდება და თვალთ დაგიბნელდება. მაგალითი გნებავთ? ინებეთ, ოღონდ სკამებიდან არ გადმოცვივდეთ.

„ბერლინის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ბრიტანელმა ფილოლოგმა ენდრიუ ჯეიმს ჯონსტონმა მრავალი წელი შეალია რობინ ჰუდზე არსებული ყველა ლეგენდისა და ბალადის შესწავლას. შედეგად, მოულოდნელ დასკვნამდე მივიდა — ინგლისური ეპოსის გმირი გეი იყო. მეცნიერის აზრით, რობინ ჰუდი იმისთვის სულაც არ წასულა შერვუდის ტყეში, რომ უბრალო ხალხი დაეცვა და სასტიკ შერიფზე შური ეძია, არამედ იმიტომ, რომ მაშინ არ სწყალობდნენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს. ჰოდა, რობინმა სატყეო ბანაკი მოაწყო თანამზრახველებისთვის. გამვლელების ძარცვაც უწევდათ, თავი რომ გაეტანათ შუა საუკუნეების გეებს. შეყვარებული მერიანი კი ჰომოფობებმა გამოუგონეს მოგვიანებით, უკვე შემდგომ ლეგენდებში“.

საერთოდ კი, სააკაშვილიც გეი ყოფილა, ის ისტორიები ჰომოფობებმა გამოუგონეს და ყველაფერი ტყუილია, მხოლოდ არმაგედონის ზანგის ამბავია სიმართლე.

ჩ.შ. (ჩვენს შორისაც) ჩვენს შორის კი, სულ უფრო და უფრო ენთებოდა გედეონი. იგი წრიპინით იმუქრებოდა ყველა მოწინააღმდეგის დასახიჩრებას და რამდენჯერმე მეზობელ გასახდელში შევარდნაც სცადა, მაგრამ შეაკავეს.

დავით ბერძენიშვილი სასულიერო პირების დასჯას ითხოვს?

„გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია, რომელსაც როგორც კოალიციის კანდიდატს, ფორა აქვს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე მარგველაშვილის პერსონალური რეიტინგიც ამაღლების პროცესშია“

ერუსუდან შელია
557-100-768

17 მაისს განვითარებულ მოვლენებს გმობს, თუმცა აცხადებს, რომ ხელისუფლებამ შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა და, გამოძიების დასრულების შემდეგ, დამნაშავე პირები კანონის წინაშე აგებენ პასუხს. დაეკისრება თუ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობა სასულიერო პირებს და კოალიციაში შემავალი რომელი პარტიებისგან შეიქმნება მესამე პოლიტიკური ცენტრი?

— „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილი ესაუბრა.

— 17 მაისს, კანონის შესაბამისად, ნებისმიერ მხარეს ჰქონდა უფლება, საკუთარი პოზიცია ქუჩაში მსვლელობით გამოეხატა, თუმცა ფაქტია, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების წინააღმდეგ კონტრაქციის ინიციატორებმა უფლებამოსილებას გადააჭარბეს, ხელისუფლებამ კი, საკუთარი პოზიციის დეკლარირება მოახდინა — გამოძიება მიმდინარეობს და ველოდები, რომ დამნაშავეებთან მიმართებაში სამართალდამცავი ორგანოები შესაბამის რეაგირებას მოახდენენ.

— აქციაზე აგრესიას სასულიერო პირებიც გამოხატავდნენ. ესე იგი, მამაოების დასჯას ითხოვთ?

— მნიშვნელობა არ აქვს, სასულიერო პირი იქნება თუ საერო, არც ისაა მნიშვნელოვანი, ვინ ვისი ან რისი მომხრეა, კანონი კანონია და ის მღვდელმა დაარღვია თუ ჩვეულებრივმა მოქალაქემ, დამნაშავეები შესაბამისად უნდა დაისაჯონ, თუმცა ჯერ არავინ იცის, ვინ დააშავა...

— თქვენი ოპონენტი ნაციონალები აცხადებენ, რომ ინციდენტი მძიმე დანაშაულში მხილებული პატიმრების ამნისტირების შედეგია. ისიც ფაქტია, თამარ კორძაიას გარდა, რუსთაველზე მომხდარი დაპირისპირება ხელისუფლების წევრებს ღიად არ დაგიგმიათ. პასუხისმგებლობას გრძნობთ?

— მსგავსი საუბარი, უბრალოდ, არასერიოზულია, რადგან აქციაზე ათიათასობით ადამიანი გამოვიდა, რომელთაგან გათავისუფლებული პატიმრების წილი 0,1%-იც კი არ იქნებოდა. მმართველი გუნდი, რა თქმა უნდა, საკმაოდ სერიოზული სირთულის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ მთავარი მოვახერხეთ — აქციის მონაწილეები, პრაქტიკულად, დაძაბულობას უსაფრთხოდ გავარიდეთ. ბუნებრივია, ამას იდეალურ ვითარებად ვერ ჩავთვლით, მაგრამ მსგავსი ფაქტები, საქართველოს გარდა, სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც დაფიქსირდა. მაგალითად, ვარშავაში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს აღლუმის ჩატარების უფლება მოქალაქეებმა არ მისცეს.

— ამ ინციდენტის შემდეგ, რამდენად სერიოზული იქნება ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციაზე საუბარი?

— ამ საკითხს ეჭვქვეშ მხოლოდ პრეზიდენტი აყენებს და ისიც იმიტომ, რომ უკვე წარსულის პოლიტიკოსია. სხვათა შორის, მსგავსი შეხლა-შემოხლა ნაციონალური მოძრაობის დროსაც ხდებოდა, თუმცა მაშინდელ მმართველ ძალას, რეალურად, არც ერთი დამნაშავე არ დაუსჯია. ამ ეტაპზე ნაციონალების ნარჩენების განცხადებები კი არ არის პრობლემა, არამედ მთავარი ამოცანა საზოგადოებასა და ხელისუფლების მხრიდან კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებაა. ვფიქრობ, ამ მიმართულებით პრობლემები არ შეგვექმნება, ნაციონალებს კი შეუძლიათ, აგრესიული განცხადებების სერია უსასრულოდ გააგრძელონ.

— ბატონო დავით, რა ამის პასუხია და, რამდენიმე დღის წინ პრემიერმა განაცხადა, გუნდში სათადარიგო ოპოზიცია მყავს მომზადებული და „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ერთმანეთს დააბალანსებენო, ანუ კოალიციის შიგნით ივანიშვილის მიერ მართული ოპოზიცია ჩამოყალიბდება?

— ხელოვნური ჩარევებით ოპოზიცია, ბუნებრივია, ვერ ჩამოყალიბდება, თუმცა ეს პროცესი მომავალში ბუნებრივად დაიწყება. ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში არაადეკვატური რაოდენობის მანდატითაა წარმოდგენილი, რეალურად კი, მისი რეიტინგი ერთნიშნაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ნდობა საერთოდ არ აქვს. შესაბამისად, არ შეიძლება, ეს ძალა ხელისუფლების საპირწონედ ჩავთვალოთ. ნაციონალების კონკურენტები დღეს მხოლოდ ბურჯანაძე, კუკავა, ჯონდი ბაღათურია არიან, ანუ „ჭ“ კლასში თამაშობენ. ასე რომ, თუ ნაციონალური მოძრაობა კონკურენტუნარიან ოპოზიციურ ძალად ვერ ჩამოყალიბდება, რამდენიმე წლის შემდეგ, თუნდაც მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის, კოალიციაში, შესაძლოა, პარტნიორებს შორის განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთოს. ამას იმიტომ ვპროგნოზირებ, რომ დიდხანს ერთპარტიულ ცხოვრებას ვერ შევინარჩუნებთ, თუმცა ვფიქრობ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

— არადა, პრემიერმა კოალიციის ერთიანობის ვადა უკვე განსაზღვრა და მიანიშნა, „ქართული ოცნება“ ერთიანობას საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეინარჩუნებსო.

— პირიქით, დაგეგმილია, რომ კოალიცია ერთიანი თვითმმართველობის არჩევნებამდე იქნება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაშლის საკითხს გუნდში უკვე განვიხილავთ. პირიქით, „ქართულ ოცნებაში“ იმდენად კომფორტული გარემოა, რომ არ მგონია, მასში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს გუნდიდან წასვლა სურდეთ. რა თქმა უნდა, სასურველია, კოალიციის გარეთ პოლიტიკური ჯგუფები აღმოცენდნენ და ქვეყნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღონ, თუმცა ნაციონალური მოძრაობა, ამ თვალსაზრისით, იმედისმომცემი ნამდვილად არაა. ნაციონალები მიმავალი პოლიტიკოსები არიან, რომლებიც ღმერთმა იცის, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, თავს სად ამოყოფენ.

დასასრული მე-4 გვერდზე

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

SECURITY POLICE 125
SECURITY POLICE 125
www.125.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:
1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;
წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.
დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

„გინდათ, პირდაპირ გითხრათ, რა მოხდა? — ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი გელა ხვედელიძეს მოერივნენ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სახალხო კრების წევრი ლაშა ამირეჯიბი სააღდგომოდ აგორებული სკანდალის ერთ-ერთი მონაწილეა — სწორედ მასთან შეხვედრისას გაკეთებულ ფარულ აუდიოჩანაწერში შს მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე საკუთარ გეგმებზე გულახდილად საუბრობს. როგორც ჩანს, სკანდალი გრძელდება და ამჯერად, ამირეჯიბი-კილაძის დუეტი მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს, ლაშა ნაცვლიშვილს უტევს. რატომ უბრაზდება საკუთარ თავს ბიძინა ივანიშვილი, რა პირობებში ჩაიწერა ზემოხსენებული აუდიოფირი ხვედელიძის წინააღმდეგ და რა მიზანს ემსახურება ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „ბიზნესმენთა დაცვის ლიგის“ შექმნა? — „ვერსიის“ კითხვებს ლაშა ამირეჯიბი პასუხობს.

რატომ შექმნა ბიზნესმენთა დაცვის ლიგა და რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერს მხარს ლაშა ამირეჯიბი — მეგობარ გიორგი მარგველაშვილს თუ თანამებრძოლ ნინო ბურჯანაძეს

— „ბიზნესმენთა დაცვის ლიგა“ იმიტომ შეიქმნა, რომ ბიზნესი აღარავინ შეაწუხოს, არც ახალი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელმა და არც იმან, ვისაც ძველი ბიზნესის დაბრუნება სურს. ყოველი ახალი რეკეტის შემთხვევაში, ამის შესახებ ბრიფინგებს ჩავატარებთ, იურისტებს დავიხმართ და ამ ადამიანებს ახალი ხელისუფლების კლანჭებისგან გავათავისუფლებთ. სხვათა შორის, ჩვენთან მეწარმეები თავად მოვიდნენ, საუბარია ათამდე ადამიანზე... მსგავსი ფაქტების არსებობას ბიძინასა და მთელ საქართველოს გავაგებინებთ!

— ბატონო ლაშა, თქვენ რას წარმოადგენთ, რომ ბიზნესმენები დასახმარებლად მაინცდამაინც თქვენთან მოდიან და არა პროკურატურაში, ან ბიზნესომბუდსმენთან?

— ისინი უკვე იყვნენ პროკურატურაშიც, ბიზნესომბუდსმენთანაც, ათასი წერილი გაუგზავნეს დავით უსუფაშვილს, თეა წულუკიანს, არჩილ კბილაშვილს, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. ამიტომაც იმასთან მიდიან, ვინც აქტიურობს და ამ ყველაფერზე ღიად საუბრობს ანუ ჩვენთან.

— თუ გელა ხვედელიძის საქმე, პირობითად, თქვენს პირველ საქმედ უნდა განვიხილოთ, მაშინ რა შედეგს მიაღწიეთ — ხვედელიძე 5000 ლარით „სამაგალითოდ“ დაისაჯა?

— ჯერ ერთი, გიორგი ფარესაშვილს წინ კიდევ ბევრი საქმე აქვს — გელა ხვედელიძის მიერ დადებული ფარული ჩანაწერის ექსპერტიზას ითხოვს. ხვედელიძეზე კი ასეთი აჟიოტაჟი იმიტომ ავტეხეთ, რომ ეს შემთხვევა ფესვშივე ამოძირკვულიყო. ასეთი რამ, ცხრა წილის განმავლობაში, ნაციონალებსაც არ უკადრიათ!

> **პირი ქვისკენ მიქნია, სულაც არ მესიამოვნება, ჩემი რომელიმე ახლობლის თავი ვინმეს ბინძურ ტანზე დადებული რომ ვნახო! ხვედელიძე ასე იოლად იმიტომ „გამოძვრა“, რომ მის საქმეს, თურმე, ლაშა ნაცვლიშვილი იძიებდა. ისინი მეგობრობენ, ერთ სისტემაში მუშაობენ და, როგორ წარმოგიდგენიათ, ნაცვლიშვილის მიერ ამ საქმის ობიექტურად გამოძიება?!**

— პრემიერი ბოლო პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით აგრესიული სწორედ ამ თემებზე საუბრისას იყო — ნაცვლიშვილის წინააღმდეგ რეალური ფაქტების დადებას ითხოვდა და ტყუილში გადანაშაულებდათ.

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბიძინა, არასწორი საკადრო პოლიტიკის გატარების გამო, საკუთარ თავზე იყო გაბრაზებული. აშკარად არ ეგონა, თუ მისი მეგობარი და მის მიერ დანიშნული კაცი ასეთ ნაგავში აღმოჩნდებოდა! დოკუმენტები, რასაც ბატონი ბიძინა ითხოვდა, არსებობს და ელისო კილაძემ პროკურატურაში ორი საქმე შეიტანა. ერთ დოკუმენტზე პირდაპირ ნაცვლიშვილის მიერ 2005 წელს გაკეთებული ხელმოწერაა, შპს „გიორგის“ საქმესთან დაკავშირებით — ეს ბიზნესი სწორედ ხვედელიძე-ნაცვლიშვილმა დააქციეს. მეორე დოკუმენტშიც, რომელიც „რუსთავმეტალს“ ეხება, ლაშა ნაცვლიშვილის ინტერესები ჩანს — მისი უახლოესი მეგობრის ძმა ამ კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ივანიშვილს ეს დეტალები რომ სცოდნოდა, ამ საკადრო პოლიტიკას არ გაატარებდა, თორემ ხომ ხედავთ, ყველაფერი უკან მასვე შეუბრუნდა!

— როგორც მახსოვს, კოალიციის ლიდერების უმეტესობას თავიდანვე უპირისპირდებოდით. ხვედელიძის წინააღმდეგ ბრძოლა მიზნად შურისძიებას ხომ არ ისახავს — რაკი ივანიშვილი, თავის დროზე, არ შეგხვდათ და არც „ოცნებაში“ მიგიღოთ?

— არა! ჩემსა და ივანიშვილს შორის შეხვედრებიც შედგა და მის გუნდში ბევრი ადამიანიც მომწონს. უბრალოდ, უსამართლობას ვხედავ და ამის შესახებ ღიად ვსაუბრობ! ჩემი მიზანია, ხელისუფლების სათავეში უკეთესი გუნდი მოვიდეს!

— კიდევ ერთი რამაა გაუგებარი: უშიშროებაში ნამუშევარმა გელა ხვედელიძემ გული მაინცდამაინც თქვენ რატომ გადაგიშალათ და ფარესაშვილისა და ქართველი ბიზნესმენების წინააღმდეგ შემუშავებულ საკუთარ გეგმებზე რატომ გიამბოთ, თანაც ჟურნალისტის თანდასწრებით?

— ეს ჟურნალისტი და ხვედელიძე ერთად პირველად ვნახე იმ ოჯახში, სადაც ვიყავით. ხვედელიძეზე მანამდე საჯაროდ რომ ვწერდი, მისი მხრიდან, ასე ვთქვათ, რბილი სიგნალები მოდიოდა, გაჩერდიო. მერე საქართველოში გიორგი ფარესაშვილი დაბრუნდა და მანაც ღიად დაიწყო წერა, რადგან ხვედელიძის მიმართ პირადი წყენა ჰქონდა. იფიქრეს, რომ ფარესაშვილს მე ვმართავდი, მაგრამ ამხელა კაცს ჩემი სამართავი არაფერი სჭირდა — ხვედელიძემ იგი „ოცნებიდან“ გამოაგდო. ჩვენი შეხვედრა საერთო ახლობელმა მოაწყო, რომლის ვინაობასაც ვერ გაგიმხელთ — იგი „ოცნების“ გულშემატკივარია. საუბარი პატივცემული კირვალიძით დავიწყეთ და გელა ხვედელიძემ მითხრა, რომ მას კირვალიძის სამინისტროში ჩახედვა დაევალა.

— ხვედელიძის „აღსარება“ საეჭვოდ არ მოგეჩვენათ?

— ძალიან — „ჩეკისტები“ ასე ნამდვილად არ მოქმედებენ. უბრალოდ, გახსნილი საუბარი გვქონდა და სიტყვამ მოიტანა ისევე, როგორც გიორგი ფარესაშვილის საკითხი. კვერცხის ბიზნესზეც ვილაპარაკეთ და თქვა, რომ ქართველი მეწარმე იმპორტირებული იაფი კვერცხით უნდა გაენადგურებინა. შს მინისტრის პირველ მოადგილეს ამ თემებზე, რა თქმა უნდა, არ უნდა ესაუბრა და ეს მეც გამიკვირდა.

> **გინდათ, პირდაპირ გითხრათ, რა მოხდა? — ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი გელა ხვედელიძეს მოერივნენ! საქმე ის იყო, ამ სამიდან რომელი შეასწრებდა ბიძინასთან და საკუთარ უდანაშაულობაში დაარწმუნებდა!**

— ბატონო ლაშა, ახლა უკვე დასახელებულ საპრეზიდენტო კანდიდატებზეც ვისაუბროთ. გიორგი მარგველაშვილს, რომელიც თავის დროზე, კრებასთან დაახლოებული ექსპერტი იყო, ივანიშვილი უალტერნატივოდ მიიჩნევს...

— ბიძინა მისი განათლების დონემ მოხიბლა. გიორგი კარგი ბიჭია, კარგი ოჯახიშვილი, „ჯიპას“ პრეზიდენტი, თუმცა სჯობდა, „ჯიპას“ პრეზიდენტადვე დარჩენილიყო. ისე, ბიძინას ვერ შეედავები, რატომ გიორგი და არა — კახი კალაძეო?! გიორგისთან მეც საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს.

— მარგველაშვილი თქვენი მეგობარია, ნინო ბურჯანაძე კი — სახალხო კრების საპრეზიდენტო კანდიდატი. მხარს რომელს დაუჭერთ?

> **— კრება ნინო ბურჯანაძეს საპრეზიდენტო კანდიდატად 26 მაისს დაასახელებს, მაგრამ ვერ ვიტყვი, ამ 2 კანდიდატს შორის რომელია კარგი და რომელი — ცუდი. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი, სანამ დროა, კანდიდატს შეცვლის. ნინო ბურჯანაძე, ალბათ, „ოცნების“ ნომერპირველი კონკურენტია და მას ბევრად დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს, ვიდრე მარგველაშვილს. რა თქმა უნდა, ბურჯანაძე პოლიტიკურად გაიმარჯვებს, მაგრამ ბიძინას ფაქტორი ისევ სერიოზულად მუშაობს. მერე არ მითხრათ, ვანგა ხარო — მაინც მგონია, ივანიშვილი მარგველაშვილის კანდიდატურას შეცვლის და უფრო ძლიერ კანდიდატს დაასახელებს.**

— იმასაც ამბობენ, ივანიშვილმა სუსტი კანდიდატის დასახელებით ბურჯანაძეს გამარჯვებისკენ გზა გაუხსნაო...

— ლოგიკაში ესეც ჯდება და მეტსაც გეტყვით — ნინო არ ნერვიულობს! დიახ, ნამდვილად ვხედავ, რომ ბურჯანაძის დაჯგუფება არ ნერვიულობს.

— თქვენც ხომ „ბურჯანაძის დაჯგუფება“ ხართ?

— არა, მე კრების დაჯგუფება ვარ და არა — ბურჯანაძის, მაგრამ თუ ღია არჩევანზე მეკითხებით, მაშინ არ ვიცი, მხარს ნინო ბურჯანაძეს დავუჭერ თუ გიორგი მარგველაშვილს.

დავით ბერძენიშვილი სასულიერო პირების დასჯას ითხოვს?

მე-3 გვერდიდან

— იმ ფონზე, როცა ქვეყანაში სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვა ვერ ხერხდება, საგარეო მიმართულებითაც გარკვეული პრობლემებია და, ჯერჯერობით, ვერც წინასაარჩევნო დაპირებებს ასრულებთ, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის გაზრდას რატომ გამორიცხავთ?

— არჩევნების შემდეგ კოალიციის რეიტინგი საკმარისზე მაღალია. რაც მთავარია, არჩევნებში გამარჯვებული ძალის მიმართ საზოგადოების ნდობა მყარდება და ის ადამიანებიც კი, რომლებიც ნიჰილისტურად ან სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, დღეს ჩვენ მხარეს დგანან, რადგან სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქვეყანაში ტრადიციულად, ხელისუფლების მხარდამჭერი ელექტორატი არსებობს. ვფიქრობ, რეიტინგის პრობლემა დიდხანს არ გვექნება, თუმცა პირველი სერიოზული გამოცდა თვითმმართველობის არჩევნებზე გველის.

— საპრეზიდენტო არჩევნებზე აქცენტს რატომ არ აკეთებთ, მით უმეტეს, რომ თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატს ხალხი, პრაქტიკულად, არ იცნობს...

— გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია, რომელსაც როგორც კოალიციის კანდიდატს, ფორა აქვს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე მარგველაშვილის პერსონალური რეიტინგიც ამაღლების პროცესშია და ხმებს მხოლოდ კოალიციის ხარჯზე ხმებს არ მიიღებს. საპრეზიდენტო არჩევნებში პოლიტიკური ძალები პრეზიდენტობისთვის კი არა, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებისთვის იბრძოლებენ. ნაძალადევის რაიონში ჩატარებული შუალედური არჩევნები, შესაძლოა, ოქტომბრის არჩევნებში ფართო მასშტაბით განმეორდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ამიტომაც ვსაუბრობთ მუდმივად ახალი ოპოზიციური ძალების შექმნაზე.

— როცა პოლიტიკური ძალების დაბალანსებაზე საუბრობთ, არ გეჩვენებათ, რომ ძალაუფლების უზურპირებას ახდენთ? ბევრი ელოდა, რომ ძალთა დაბალანსების თვალსაზრისით, კოალიცია საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს გუნდის გარეთ მყოფ კანდიდატს დაუჭერდა.

— არ მესმის, კოალიციის ხარჯზე კენჭი სხვამ რატომ უნდა იყაროს? „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსასვლელად ბევრი იბრძოლა, ერთ გუნდად შეიკრა და, ნაციონალური მოძრაობის პირობებში, ოპოზიციურ ფლანგზე უმძიმესი წელი გამოიარა. გახსოვთ, ალბათ, როცა ნაციონალების მთავარი დარტყმის ობიექტები ვიყავით, როგორ წნეხს გავუძელით. არ მგონია, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის ან სხვა რომელიმე პოლიტიკოსის საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერა გამართლებული ნაბიჯი ყოფილიყო.

— პრემიერმა მარგველაშვილის სავარაუდო კონკურენტი სალომე ზურაბიშვილიც გაანეიტრალა, როცა განაცხადა, ზურაბიშვილი რამდენიმე თანამდებობაზე დანიშვნას ითხოვდაო. ფიქრობთ, ესეც გამართლებული პოლიტიკური ნაბიჯია?

— სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ კვალიფიციური პოლიტიკოსია, ამიტომ თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, საპრეზიდენტო კანდიდატად კენჭს იყრის თუ არა. მთავარია, ხელს ერთ პოლიტიკურ ძალასაც არ ვუშლით, პირიქით, თავისუფალი მედიასივრცისა და პოლიტიკური კონკურენციის წახალისებით, პარტიებს განვითარების საშუალებას ვაძლევთ. კი ბატონო, კოალიციის გარეთ მყოფმა პარტიებმა დამოუკიდებლად იბრძოლონ, თუმცა ჩვენს ხარჯზე რეიტინგს ვერავინ აიმაღლებს. საპრეზიდენტო არჩევნები თამაში სულაც არ არის!

ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია ჰუმანურობის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვით, საზოგადოების სიყვარულსა და ნდობას დაიმსახურებს!“

19 მაისს საქართველოში პოლიციელის დღე აღინიშნა. მართალია, პოლიციელთა პროფესიულ დღედ 6 მაისი მიიჩნევა, მაგრამ წელს საზეიმო თარიღი იმიტომ შეიცვალა, რომ 6 მაისი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა... მართალია, სააკაშვილის მმართველობის დროს, ნაციონალები ირწმუნებოდნენ, პოლიცია ხალხის დიდი ნდობით სარგებლობსო, მაგრამ ფაქტია: მერაბიშვილის ხელქვეითები არაერთ სისხლიან დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი, შვიდი თვის განმავლობაში, ერთი ფაქტიც არ დაფიქსირებულა, როცა პოლიციამ ადამიანის უფლებები დაარღვია. ეს კი, ცხადია, შსს-ს ხელმძღვანელობის, კერძოდ, მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. სწორედ ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, გელა ხვედელიძის ირგვლივ განვითარებული მოვლენები — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პრაქტიკულად, პირველად მოხდა, რომ შს მინისტრმა საკუთარი მოადგილე დაიჭირა!

 პოლიციის ეთიკის კოდექსი, ახალი კანონპროექტი და სხვა სიახლეები, რომლითაც ქართულმა პოლიციამ პროფესიული დღე აღნიშნა

პოლიციამ პროფესიული დღე რამდენიმე ღონისძიებით აღნიშნა: მოეწყო პოლიციელის ახალი ფორმის, სამხრე ვიდეოკამერის, ახალი ჟეტონის, ავტომანქანების, ავტომანქანების ვიდეორეგისტრატორისა და ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია. ამასთან, სამინისტრომ ისეთი ინოვაციურ სიახლეები წარმოადგინა, როგორიცაა მობილური აპლიკაცია.

ამასთან, 19 მაისს ცნობილი გახდა, რომ პოლიციის შესახებ ახალი კანონპროექტი შემუშავდა, რომელიც პოლიციის საქმიანობის სრულიად ახალ კონცეფციას აყალიბებს. კანონპროექტის უმთავრეს სიახლეს კი პოლიციის პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ფუნქციების გამიჯვნა წარმოადგენს. გარდა ამისა, შემუშავდა პოლიციის ეთიკის კოდექსიც, რომელიც ადგენს პოლიციის ეთიკის ძირითად პრინციპებსა და ქცევის წესებს, რომელთა დაცვა პოლიციელისთვის სავალდებულოა როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ასევე სამსახურის გარეთაც.

პოლიციელის დღესთან დაკავშირებით, პოლიციელები დაჯილდოვდნენ.

პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, დიპლომატიური კორპუსი და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული დელეგაციები დაესწრნენ.

„პოლიციელებს, ჩვენი ქვეყნის წინაშე უაღრესად რთული და საპატიო მისია გაკისრიათ. თქვენ უზრუნველყოფთ წესრიგის დაცვას, ახერხებთ და იცავთ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას, თქვენ ხართ თითოეული ჩვენგანის უსაფრთხოების სადარაჯოზე და ხშირად, ამ უსაფრთხოებას საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავთ. ამის კარგი მაგალითია გუშინწინ, თბილისში, ცენტრალურ მოედანზე განვითარებული მოვლენები, როდესაც ღირსეულად მოახერხეთ და შექმენით გასასვლელი უმცირესობისთვის, რომ საკუთარი უფლებების დაცვა მოგეხერხებინათ. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ჩადექით და მაშინ, როდესაც ნახეთ, რომ სიტყვის თავისუფლების ნაცვლად, პირველ ადგილზე გადავიდა ადამიანის უსაფრთხოების დაცვა მაშინ, როდესაც არ მოხერხდა აჟიტირებული უმრავლესობის შეკავება, სწორედ თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოების ფასად, საკუთარ თავზე აიღეთ ყველა სიმძიმე და გაარიდეთ უმცირესობა საფრთხეს“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე თქმით, ამ მოვლენების დროს 20-მდე პოლიციელი დაშავდა.

ამასთან, პრემიერმა შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა: **„ეს არის ძალიან წესიერი, მოწესრიგებული და საიმედო კაცი. ამავე დროს, ის კიკ-ბოქსიორი გახლდათ, სპორტსმენია და ხელჩართული ჩხუბიც თუ დასჭირდება, იქაც არ დაიხევს უკან“.**

პოლიციელის დღესთან დაკავშირებით, შსს-ში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული პოლიცია ჰუმანურობის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვით მთელი ქართული საზოგადოების სიყვარულსა და ნდობას დაიმსახურებს.

„შსს წამყვანი სამართალდამცველი უწყებაა. ჩვენი სტრუქტურა მოიცავს რამდენიმე სახის პოლიციას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოში არსებული კანონიერების განუხრელ დაცვას, საზოგადოების უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. დანაშაულის გახსნისა და მისი აღკვეთის მიზნით, ჩვენი უწყება თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. დღეს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, შევქმნათ და განვავითაროთ საზოგადოებაზე ორიენტირებული და დეპოლიტიზებული პოლიცია, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგსა და უსაფრთხოებას ეთიკისა და მორალის დაცვით და არამც და არამც, მოქალაქეთა რეპრესირებისა და ჩაგვრის ხარჯზე. პოლიციელი თითოეული მოქალაქის მეგობარია და არა მისი ოპონენტი. ეს ხედვაა ჩვენი სამინისტროს გენერალური ღერძი. საზოგადოებასა და პოლიციას შორის ღია, ანგარიშვალდებული ურთიერთობის ჩამოყალიბების გარანტიად გვესახება პოლიციელის ყოველდღიური საქმიანობის, ჰუმანურობის, ადამიანობისა და კანონიერების პრინციპებზე აგება. ამ გზით დავიმსახურებთ მოსახლეობის ნდობასა და სიყვარულს, რის შედეგადაც ჩვენი პროფესიული დღესასწაული ჭეშმარიტ სახალხო ზეიმად იქცევა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრის ინფორმაციითვე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, მემორიალი აიგება.

„მინდა, განსაკუთრებული პატივი მივაგო იმ პოლიციელთა ხსოვნას, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლასა და საერთაშორისო მისიაში ქვეყნის ინტერესების დაცვას შეეწირნენ. მინდა აღვნიშნო, რომ აქამდე, სამინისტროს სისტემაში არ შეუდგენიათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილ თანამშრომელთა სრული სია. ჩვენ განვახორციელეთ არქივში მონაცემთა დაზუსტება და ვგეგმავთ ამ თანამშრომლების უკვდავსაყოფად მემორიალის აგებას“, — აღნიშნა შს მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ისაუბრა:

„სახელმწიფოს მიერ ამ კონფლიქტის პოლიტიკური გზით და მხოლოდ მშვიდობიან გადაწყვეტას ყველა სახელმწიფო ორგანოს მიერ განსაკუთრებით გონივრული, თანმიმდევრული, მაღალპროფესიული მიდგომა სჭირდება, რათა აღვადგინოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ძმებთან“.

შრომის კოდექსი მეორე მოსმენით ჩავარდა

„შრომის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი მეორე მოსმენით კენჭისყრისას ჩავარდა. კანონპროექტს მხარი 74-მა დეპუტატმა დაუჭირა. მის გასვლას სულ მცირე 76 დეპუტატის ხმა სჭირდებოდა.

კენჭისყრის ასეთი შედეგის დადგომის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განმარტა, რომ რაკი საკითხი მეორე მოსმენაზეა წარმოდგენილი, შესაძლებელია, კანონპროექტის ინიციატორმა, პარლამენტს შემდგომ სასესიო კვირაში კვლავ წარუდგინოს. ამასთან, უსუფაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი შრომის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის მიღებას არ შეაფერხებს.

კანონპროექტის მიხედვით, ახლებურად რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების ფორმასთან, ვადასთან, სამუშაო დროის ხანგრძლივობასთან, ზეგანაკვეთური სამუშაოს განსაზღვრასა და მის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები.

რადიო „კომერსანტი“

ირაკლი ეზუგბაიას მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო

შპს „საქართველოს რკინიგზისთვის“ 65 000 000-ლარიანი ზიანის მიყენების ბრალდებით, რამდენიმე პირი უკვე დაკავებულია, „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, ირაკლი ეზუგბაიას წინააღმდეგ კი სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების მითვისება-გაფლანგვას ეხება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიებით უკვე დადგინდა, რომ „საქართველოს რკინიგზასა“ და „ვაგონმშენებელ კომპანიას“ შორის, ვაგონების გარემონტების მიზნით, 2008 წლიდან გაფორმდა 5 ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, „საქართველოს რკინიგზამ“, ერთი სატვირთო ვაგონის შეკეთებისთვის ხელოვნურად გაზრდილი თანხა — 39 000 აშშ დოლარი დააფიქსირა. რეალურად, ერთი ვაგონის შეკეთების საბაზრო ღირებულება 31 000 ლარი იყო. ამ ქმედებით, „საქართველოს რკინიგზას“ 65 000 000 ლარის ზიანი მიადგა.

რადიო „კომერსანტი“

ვახტანგ ბალავაძის თქმით, იმერეთში სავარგულების მხოლოდ 65%-ია დახნული

იმერეთის გუბერნატორი ვახტანგ ბალავაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წერილობით მიმართავს. წერილში გუბერნატორი უწყებას საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით, რეგიონში შექმნილი ვითარების ადგილზე გაცნობას სთხოვს:

ვახტანგ ბალავაძის მტკიცებით, ამ დროისთვის, იმერეთის რეგიონში, სავარგულების მხოლოდ 65%-ია დახნული, რაც საგანგაშო მაჩვენებელია. ბალავაძის თქმით, ხვნა-თესვის სამუშაოების შეფერხება ტექნიკის არასაკმარისმა რაოდენობამ და სამეურნეო ბარათების დარიგების პროცესში არსებულმა ხარვეზებმა გამოიწვია.

რადიო „კომერსანტი“

„ოცნება“ პრეზიდენტის დედის ავიაცოდვებს იძიებს?

თბილისის აეროპორტის ტენდერის დღემდე უცნობი სკანდალური დეტალები — რატომ დაინტერესდა ახალი ხელისუფლება „ტავ-ჯორჯიას“ ხელშეკრულების პირობებით და როგორ იშოვა ქართული ავიაბაზრის თურქმა მონოპოლისტმა მილიარდები გიული ალასანიას ლობირებით

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ჩვენს აეროპორტში, რომელსაც თურქული კომპანია „ტავი“ მართავს, პრობლემაა ასაფრენი ზოლი, სადაც კატასტროფული მდგომარეობაა. თვითონაც დავფრინავ და რამდენჯერმე დაენარცხა თვითმფრინავი, ისეთი ხმა აქვს. რომელ ქვეყანაშიც უნდა წახვიდეთ, მსგავსი ზოლებით აღარ სარგებლობენ, ასფალტი იყრება და შენობაც არ არის იდეალურ პირობებში“, — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა „ვერსიის“ კითხვას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მთავრობის სუსტი რგოლი არის თუ არაო და ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი ბოლო თათბირის შინაარსიც გაასაჯაროვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „ტავ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს განიხილავს. მეტიც, მინისტრი დეტალურ გამოკვლევას აპირებს, რატომაა ასაფრენი ზოლი ავარიულ მდგომარეობაში. „ვერსიის“ ინფორმაციით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „ტავ-ჯორჯიას“ ხელშეკრულების პირობებით მაინცდამაინც ახლა იმიტომ დაინტერესდა, რომ აეროპორტის ასფალტაყრილ ასაფრენ ზოლზე პრემიერ-მინისტრის პირადი თვითმფრინავის საბურავები გაცვდა... ნებისმიერ შემთხვევაში, „ტავ-ჯორჯიასა“ და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მართლაც, გადასახედია. „ვერსია“ ამ კაბალური ხელშეკრულებისა და თბილისის აეროპორტის ტენდერის სკანდალურ დეტალებს გთავაზობთ.

რატომაა „ტავ-ჯორჯია“ ავიაბაზრის მონოპოლისტი

„ტავ-ჯორჯია“, წინა ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნის ხელშეწყობით, საქართველოს ავიაბაზარზე მონოპოლისტ კომპანიად ჩამოყალიბდა და, კორექტულად რომ ვთქვათ, კომპანიის თურქმა მფლობელმა მილიარდებიც ჩაიჯიბა. „ვერსია“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ წერდა, რომ „ტავი“ მონოპოლისტია, თუმცა ერთადერთი შედეგი, რაც მაშინ ჩვენს სტატიას მოჰყვა, ის იყო, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელმა მინისტრმა, ვერა ქობალიამ კოპიტნარის აეროდრომის ერთ ლარად გაყიდვა გადაიფიქრა.

ისე, კოპიტნარს იმ დროს, როცა ამ აეროდრომიდან 220 კილომეტრში, თურქულ ავიაკომპანიას თბილისის აეროპორტი მენეჯმენტში ჰქონდა აღებული, უცხოური ავიაკომპანია, ბუნებრივია, არ იყიდდა. სხვათა შორის, როდესაც თურქები შემოვიდნენ, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, ხელშეკრულებაში პირდაპირ დააფიქსირა, რომ 300 კილომეტრის რადიუსში, არც ერთ ავიაკომპანიას არ ჰქონდა უფლება, აეროპორტი გაეკეთებინა. ხელშეკრულების ეს მუხლი ახლაც მოქმედებს და სწორედ ეს მუხლი იყო მიზეზი, რის გამოც ბათუმის აეროპორტიც თურქებს გადასცეს.

თავის დროზე, „ვერსია“ იმასაც წერდა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემოგარენში თურქებმა ყველა კაფე-ბარი დახურეს, მხოლოდ ერთი კაფე აიღეს იჯარით (თვეში 1 800 აშშ დოლარს იხდიდნენ), მაგრამ მალე ისიც დაკეტეს და ეს იმიტომ გააკეთეს, რომ მხოლოდ აეროპორტის ბარმა იმუშაოს, სადაც საშინელი სიძვირეა. მაგალითად, „კოკა-კოლა“, ან ჩაი რომ დალიოთ, 5-10 ლარი უნდა გადაიხადოთ.

თბილისის აეროპორტის ტენდერის სკანდალური დეტალები

აეროპორტის ტენდერს, რომელიც 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სკანდალური ისტორია აქვს: ტენდერამდე ერთი წლით ადრე, თბილისის აეროპორტით ცნობილი გერმანული კონსორციუმი „ტაკომ გლორია პივდენი“, ანუ „ტაკომი“ დაინტერესდა, რომელსაც, როგორც იმხანად ითქვა, აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ლობირებდა. სხვათა შორის, გერმანულ კონსორციუმს აეროპორტების მშენებლობის გამოცდილება ჰქონდა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. თურქულ კონსორციუმს კი, პრეზიდენტის დედა გიული ალასანია ლობირებდა. ამასთან, მაშინდელ პრესაში პრეზიდენტის ბიძის, თემურ ალასანიას ინტერესზეც წერდნენ, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ასეთი ინტერესი გიული ალასანიას ჰქონდა, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც: ამჟამად გიული ალასანია ფლობს შავი ზღვის საერთაშორისო ინსტიტუტს და, ამასთან, თურქებს, როგორც „ვერსიის“ წყარო ამბობს, მიწის ასობით ჰექტარი სწორედ მისი ლობირებით აჩუქეს.

მოკლედ, აეროპორტის ტენდერთან დაკავშირებით, ზურაბ ჟვანიასა და გიული ალასანიას ინტერესები გადაიკვეთა და, ცხადია, ტენდერში უპირატესობა პრეზიდენტის დედის პროტეჟე კომპანიას მიანიჭეს, ოღონდ მაშინ ზურაბ ჟვანია უკვე გარდაცვლილი იყო... „ვერსიის“ კარგად ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, ჟვანიას დაჟინებით სთხოვეს, თურქული კონსორციუმის წარმომადგენლებს შეხვედროდა, მაგრამ იმის გამო, რომ თურქულ კომპანიას აეროპორტის მშენებლობის არცთუ დიდი გამოცდილება ჰქონდა, ჟვანიას შეხვედრა არ უნდოდა, მაგრამ დაჟინებულმა თხოვნამ, როგორც ჩანს, გაჭრა და ბოლოს, ჟვანია თურქებს კანცელარიაში, საკუთარ კაბინეტში შეხვდა. წყარო გვიამბობს, რომ ნახევარი საათის შემდეგ, ზურაბ ჟვანიამ თურქები კაბინეტიდან ყვირილით გამოყარა...

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციითვე, გერმანულმა კომპანიამ მაშინდელ პრემიერ-მინისტრს აეროპორტის უფრო დახვეწილი დიზაინი შესთავაზა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა,

რომ ზურაბ ჟვანია თბილისის აეროპორტის ტენდერს გრძელვადიანი სტრატეგიის ჭრილში განიხილავდა, მას თურქულ კომპანიაზე აეროპორტის გადაცემა გამართლებულად არ მიაჩნდა, ვინაიდან საფრთხეს ხედავდა, რომლითაც საქართველო, თურქული საჰაერო სივრცის „აპენდიქსი“ გახდებოდა, რაც, რეალურად, მოხდა კიდეც.

რა კაბალური ხელშეკრულება გაფორმდა „ტავ-ურბანთან“

როგორც სააკაშვილის მთავრობაში აცხადებდნენ, თბილისს ისეთი აეროპორტი სჭირდებოდა, რომელიც საათში 1 500 მგზავრს გაატარებდა, სინამდვილეში კი, აეროპორტი საათში 87-90 მგზავრს ატარებს. თანამედროვე აეროპორტის მშენებლობა 62 000 000 აშშ დოლარი დაჯდა და, ექსპერტების შეფასებით, მშენებელ კომპანიას მართვის უფლებით, საკმაოდ კაბალური პირობებით გადასცეს. შეგახსნებთ, რომ მას შემდეგ, რაც თურქულმა „ტავ-ჯორჯიამ“ ახალი აეროპორტი ააშენა, რომელსაც სახურავი რამდენჯერმე გადაეხადა და მშენებლობის დროს მუშებიც დაშავდნენ, ძველი აეროპორტი, რომლის რეკონსტრუქცია შევარდნაძეს 15 000 000 აშშ დოლარი დაუჯდა, გაუქმდა.

თბილისის აეროპორტის ტენდერი, როგორც აღვნიშნეთ, 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სადაც თურქული „ჩელების“, ლუქსემბურგული „ჯი-თი-ეს“-ისა და ამერიკული „ეი-ენდ-ჯეი“-ს კონსორციუმმა გაიმარჯვა, თუმცა ამ კომპანიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, კონსორციუმს მალე ლუქსემბურგული კომპანია გამოეყო, რის გამოც გამარჯვებულ კონსორციუმს, რომელსაც „ჩელები“ წარმოადგენდა, ფინანსური პრობლემები შეექმნა და დადგენილ ვადებში საკუთარი გამარჯვება ფინანსური გარანტიით ვეღარ გაამყარა. მთავრობა იძულებული გახდა, ამ კომპანიასთან ურთიერთობა გაეწყვიტა. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ აეროპორტის მშენებლობის უფლება ტენდერში მონაწილე და თავის დროზე დაწუნებულ სხვა თურქულ კომპანიას, ანუ „ტავ-ურბანს“ გადააბარა — „ტავთან“ კონტრაქტი 2005 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა.

„ტავ-ურბანმა“, რომელმაც საქართველოში „ტავ-ჯორჯია“ დააფუძნა, სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, თბილისის აეროპორტის მართვის უფლება 20-წლიანი ვადით მიიღო. კონტრაქტითვე, თურქულმა კომპანიამ თბილისის აეროპორტის მშენებლობაზე 62 000 000 აშშ დოლარი, ბათუმის აეროპორტისთვის კი, 28 500 000 აშშ დოლარი დახარჯა. აეროპორტების მშენებლობისთვის თურქულმა „ტავ-ჯორჯიამ“ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან („იბიარდი“) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან 27-27 000 000 აშშ დოლარის სესხი აიღო.

წყარო გვიამბობს, რომ ეს სესხი, საბოლოო ჯამში, ისევ სახელმწიფოსა და მგზავრების გადასახდელი გახდა. მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში ახალი აეროპორტის აშენება დადგა, გაიზარდა მოსაკრებელი, რაც თითო ბილეთზე 22 აშშ დოლარია — ნებისმიერი მგზავრი, რომელიც თბილისის აეროპორტიდან მიფრინავს, დამატებით 22 დოლარს იხდის და ეს თანხა აეროპორტის მმართველ კომპანია „ტავ-ჯორჯიას“ რჩება. თუ თბილისის აეროპორტი საათში 1 500 მგზავრითაა დატვირთული, გამოდის, რომ მხოლოდ მოსაკრებლიდან თურქული კომპანია უზარმაზარ ფულს იღებს.

გარდა ამისა, 22 საათიდან დილის 6 საათამდე, არათურქული ავიაკომპანიებისთვის აეროპორტის მიერ გაწეულ მომსახურებას 25%-ი ემატება, თურქული კომპანიებისთვის კი, — 10%-ი. მაგალითად, იმ ბოინგების ტექნიკური მომსახურება, რომლებიც დღეს ყველაზე ხშირად დაფრინავენ თბილისის აეროპორტიდან, არათურქულ კომპანიას 765 დოლარი უჯდება, თურქულს კი — 650. თუ არათურქული ავიაკომპანიისთვის მგზავრთა მომსახურება 415 დოლარი ღირს, თურქული კომპანიისთვის ეს მომსახურება მხოლოდ 340 დოლარია.

რატომ არ არის თბილისის აეროპორტი სატრანსპორტო ჰაბი

საინტერესოა, არღვევს თუ არა „ტავ-ჯორჯია“ საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას თუნდაც იმის გამო, რომ არსებული და მოქმედი ასაფრენი ზოლი შესაკეთებელია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, თეა ბოლქვაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, „ტავ-ჯორჯია“ ვალდებულია, მოქმედი ასაფრენი ზოლი შეაკეთოს და შეინარჩუნოს.

ბოლქვაძის თქმითვე, ნებისმიერი ტიპის დარღვევის შემთხვევაში, კომპანიას სანქციას სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უწესებს, რის შემდეგაც, კომპანია დარღვევის გამოსწორებას იწყებს და ასეთი პრეცედენტი არსებობს.

რაც შეეხება ახალი ასაფრენი ზოლის აშენებას, თეა ბოლქვაძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ ამასთან დაკავშირებით წინა ხელისუფლებამ „ტავ-ჯორჯიას“ ახალი ხელშეკრულება გაუფორმა და თბილისის აეროპორტის 20-წლიანი მმართველობა კიდევ 10 წლით გაუგრძელა. გიორგი კვირიკაშვილი „ტავ-ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას სწორედ ამ დეტალთან დაკავშირებით მართავს. მოლაპარაკების შედეგად გაირკვევა, კონკრეტულად ვინ ააშენებს ახალ ასაფრენ ზოლს — ისევ „ტავ-ჯორჯია“, სახელმწიფო თუ რომელიმე სხვა კომპანია.

მოლაპარაკების დასრულებამდე, გიორგი კვირიკაშვილს ამ თემაზე საუბარი არ სურს. არადა, იმის გათვალისწინებით, რაც ტენდერსა და კაბალურ ხელშეკრულებაზე გავარკვიეთ, საინტერესოა, ითვლება თუ არა „ტავ-ჯორჯია“ ავიაბაზრის მონოპოლისტად. „ვერსია“ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს, **კახა ბაინდურაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ „ტავთან“ გაფორმებული ხელშეკრულება კაბალურია, თურქული კომპანია კი, — თბილისის აეროპორტის მონოპოლისტი:

„ჩემი პოზიციიდან ბიზნესის კრიტიკა, როგორც მინიმუმ, არაკორექტულია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დღეს რომ „ტავის“ ნაცვლად, თბილისის აეროპორტის მართვას მთავრობა ახორციელებდეს, ან „ტავთან“ კონტრაქტი სხვანაირ პირობებს შეიცავდეს, თბილისის აეროპორტი სატრანსპორტო ჰაბი იქნებოდა. ვისაც უნდა, იმას ჰქონდეს კერძო აეროპორტი, მაგრამ ერთს ჰქონდეს, სხვას ხელს უშლიდეს და რაც აქვს, იმასაც ვერ უვლიდეს, ამას ბიზნესს რთულად ვუწოდებ. ხელშეკრულება კაბალურია, დაწყებული იმით, რომ „ტავს“ უამრავი უფლება და შემოსავალი, სამაგიეროდ, მცირე ვალდებულება აქვს. მეტიც, კომპანიას სრული მონოპოლია გააჩნია და, პრაქტიკულად, მხოლოდ ოპერატორი კი არაა, არამედ, პოლიტიკასაც ის განსაზღვრავს. მოდი, ვითარება ბოლომდე თვალგახელილებმა შევხედოთ: ყველამ კარგად იცის, რომ თბილისის საავიაციო ჰაბის განვითარების გასაღები „ტავის“ ხელთაა. ექსპერტულად კი არა, ჩვეულებრივად შევაფასოთ, რა გაკეთა „ტავმა“ — შენობა რომ ააშენა, გასაგებია, თუმცა ამ ნაწილშიც ბევრი კითხვა არსებობს. მიუხედავად ამისა, მთავარია, რომ ამ კომპანიას ძირითადი თანხები საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა მისცეს. არადა, ეს თანხა სახელმწიფოს „ტავის“ გარეშე რომ აეღო, გაცილებით ნაკლები დაუჯდებოდა. მეტიც, ასეთ შემთხვევაში, აეროპორტის შემოსავლებიც ქვეყნის ბიუჯეტს დარჩებოდა და ისევ მის განვითარებას მოხმარდებოდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ საფრენი ბილიკიც არ გაუკეთებია.“

რაც შეეხება ფრენების სიხშირესა და მგზავრთა ნაკადს, კახა ბაინდურაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მართალია, მგზავრთა ნაკადი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ეს „ტავის“ დამსახურება ნამდვილად არ არის. მიუხედავად ამისა, შემოსავლები მთლიანად თურქულ კომპანიას რჩება:

„ფრენების მიმართულებები საერთოდ არ შეცვლილა და რაოდენობრივად იმდენივეა, რამდენიც 2003 წელს იყო. მგზავრთა ნაკადის ზრდით კი, პრაქტიკულად, „ტავის“ შემოსავლები გაიზარდა, ასევე, გაიზარდა „თურქიშ ეარლაინსის“ შემოსავლები, ვინაიდან მგზავრები, ძირითადად, მას გადაჰყავს. საქართველოს დივიდენდი კი გაუარესებული საფრენი ზოლი, აეროპორტის ამორტიზებული შენობა, ქვეყნის ეკონომიკიდან გასული მილიონები, ფრენების შეზღუდული მიმართულებები და დახურული ავიაბაზარია“.

გასართობი ინდუსტრიის თურქული ქსელი საქართველოში შემოდის

გასართობი ინდუსტრიისა და რესტორნების ცნობილი თურქული ქსელის მფლობელი Reina საქართველოში ინვესტირებას გეგმავს. საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ინფორმაციით, ამ მიზნით Reina-მ კომპანია ჟასმინე დააფუძნა, რომელიც აჭარაში სასტუმრო კომპლექსს ააშენებს.

Reina-ს გენერალური მენეჯერის, გუვენ ქარათაშის განცხადებით, საქართველოში 25 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. აშენდება კომპლექსი, რომელიც სასტუმროს, რესტორანს, გასართობ კლუბსა და სამორინეს გააერთიანებს. ადგილზე 240 ადამიანი დასაქმდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟასმინე საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის წევრი გახდა. რაც შეეხება Reina-ს, ეს ქსელი თურქეთში 2002 წლის 17 იანვრიდან მოღვაწეობს და ცნობილია არა მხოლოდ თურქეთის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

Reina აერთიანებს ცნობილი ბრენდების რესტორნებს. მისი ობიექტები მსოფლიო დონის ვარსკვლავების, საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწეებისა და ბიზნესმენთა თავშეყრის ადგილია.

სააგენტო BPI

პატარა 50-თეთრიანებს მიმოქცევიდან 2015 წლის ბოლოს ამოიღებენ

1995 წელს გამოშვებულ 50-თეთრიან მონეტებს, მიმოქცევიდან 2015 წლის ბოლოს ამოიღებენ. 0,5 ლარის ნომინალის მონეტების მიმოქცევიდან ამოღებას, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) საბჭოს №2 დადგენილება ითვალისწინებს, რომელიც 15 მაისს გამოიცა.

ამავე ნომინალის დიდი ზომის მონეტები კი 2006 წელსაა ემიტირებული.

სააგენტო BPI

„გალფმა“ და „ლუკოილმა“ საწვავის ფასი შეამცირა

„ლუკოილისა“ და „გალფის“ ქსელში საწვავის ფასი შემცირდა. კომპანია „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“, რომელიც „გალფის“ ბრენდით, საქართველოში ავტოგასამართი სადგურების ქსელს ფლობს, საწვავის ფასი 5-7 თეთრით შეამცირა. ევრო დიზელის ფასი — 7 თეთრით, ხოლო ყველა სხვა პროდუქტზე ფასები — 5 თეთრით შემცირდა.

შესაბამისად, „გალფის“ ქსელში ფასები ასე გამოიყურება: პრემიუმი — 2,10 ლარი; ევრო რეგულარი — 2,00 ლარი; რეგულარი — 1,95 ლარი; ევრო დიზელი — 2,12 ლარი; დიზელი — 2,00 ლარი; გაზი — 1,05 ლარი. აღსანიშნავია, რომ გაზის ფასი არ შეცვლილა.

ყველა ტიპის საწვავის ფასი „ლუკოილმაც“ 5 თეთრით შეამცირა. მის ქსელში ახალი ფასები ასე გამოიყურება: ევრო სუპერი — 2,15 ლარი; პრემიუმი — 2,10 ლარი; ევრო რეგულარი — 1,95 ლარი; ევრო დიზელი — 2,10 ლარი.

სააგენტო BPI

სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით შექმნილ ორგანიზაციაში 10 ათასი ადამიანი გაერთიანდა!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

19 მაისს, თითქმის სავსე სპორტის სასახლეში, დღის 2 საათზე, ნანა კაკაბაძის ორგანიზაციამ — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ პარლამენტისთვის გადასაგზავნი რეზოლუცია მიიღო და, 15 ათასამდე ადამიანთან ერთად, ნაციონალების რეჟიმის გასამართლება და სამართლიანობის რეალური აღდგენა მოითხოვა. „საზოგადოებამ პირველ ოქტომბერს განაჩენი გამოუტანა მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს და ამით უარი უთხრა ძალადობას, ეკლესიების ნგრევას, ბიზნესის დაწიოკებას, ქონების უკანონოდ გასხვისებას, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნას, ადამიანის უფლებების უხეშ რღვევას. უკვე ყბადაღებული ტერმინი „კოჰაბიტაცია“ ზოგად ასპექტში მისაღებია, მაგრამ არის ზღვარი, რომლის გადალახვა არ ეგების. ორმაგი სტანდარტების შემცველი ვერანაირი ფარული ქმედება, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გადარჩენას ემსახურება, ჩვენთვის მისაღები ვერ იქნება. მივმართავთ პარლამენტს მოთხოვნით, შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის ძველი ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს და მათ შესაბამის სამართლებრივ შეფასებას მისცემს! მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას და მოვითხოვთ ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში სამართლიანი და ობიექტური პოზიციის დაფიქსირებას“, — ესაა რეზოლუცია, რომელიც ე.წ. დაზარალებულთა შეკრებაზე ნანა კაკაბაძემ და ყრილობის ორგანიზატორებმა წაიკითხეს.

ნანა კაკაბაძის ყრილობის კუღუარები — რა წერია რეზოლუციაში, რატომ გაიქცა მომღერალი „უცნობი“ სპორტის სასახლიდან, ვინ შეარქვა მიკი მაუსი სააკაშვილს და რა ინციდენტი შეემთხვა ნინო ბურჯანაძეს

სპორტის სასახლეში შეკრებილებმა, პირადი მონაცემების მითითებით, შეავსეს სპეციალური ბლანკები, რის შემდეგაც თითოეული მათგანი დაზარალებულთა საქმეების შემსწავლელი კომისიის წევრი გახდა. როგორც ნანა კაკაბაძემ განაცხადა, ამ ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შემდეგ მონაცემები კომპიუტერულ ბაზაში აისახება, რომლის მეშვეობითაც წევრებს, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულად დაუკავშირდებიან.

„შეიქმნება სხვადასხვა დაზარალებულ ჯგუფთა კომისია უკანონო პატიმრების, პოლიტპატიმრების, ბიზნეს და ქონებაწართმეული ხალხის, სახლებიდან გამოყრილი და იპოთეკით დაზარალებული ადამიანების, ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების ოჯახებისა და ა.შ. ყველა ამ დაზარალებული ჯგუფის თითო წარმომადგენელი გაერთიანდება ჩვენს საზოგადოებრივ კომისიაში. მათ საშუალება ექნებათ, მოძრაობას ყრილობის დასრულების შემდეგაც შეუერთდნენ, ოღონდ ერთი ჯგუფი 100 კაცის ინტერესს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. ეს ადამიანები სამართალს დღესაც ეძებენ, რადგან „ოცნების“ მთავარი დანაპირები — სამართლიანობის აღდგენა — დღემდე არ შესრულებულა. ამ აქციით ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ის ვალდებულება, რაც მან საზოგადოების წინაშე აიღო! თუ აქვს პოლიტიკური ნება, მაშინ ჩვენს მიერ შექმნილი კომისია ხელს შეუწყობს პარლამენტს რეჟიმის გასამართლებაში“, — განუცხადა „ვერსიას“ **ნანა კაკაბაძემ**, რომლის თქმითაც, ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი 10 ათასამდე ადამიანმა გამოთქვა.

ღონისძიებას როგორც პოლიტიკური ლიდერები, ასევე საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ — ჯონდი ბაღათურია, კახა კუკავა, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ირაკლი ბათიაშვილი, გია ბურჯანაძე, შალვა ოგბაიძე, რეზო ესაძე...

კოჰაბიტაციით გამორჩეულად აღშფოთებული „ქართული დასის“ ლიდერი, **ჯონდი ბაღათურია** ჩანდა: **„ოცნების“ სამართალი ურმით კი არ დადის, წინ საერთოდ არ მიდის! ახალი მთავრობა და პარლამენტი სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება სამართლიანობის აღდგენას, მეტიც — „ოცნების“ ერთი ნაწილი შესულია დანაშაულებრივ გარიგებაში ნაციონალებთან და ბიზნესების გადაფორმების სანაცვლოდ, მათ დაუსჯელობას ჰპირდება!“**

ამასობაში, საპროტესტო პლაკატებითა და დარბეული აქციების ფოტოებით გაფორმებულ სცენაზე ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის — „ხალხი ხალხისთვის“ — თავმჯდომარე უილიამ **ვანდერ გაიდი** ავიდა და საკმაოდ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. საქართველოს პირველი ლედის თანამემამულემ პრეზიდენტი ათასგვარი ტერმინით შეამკო და, მხურვალე ტაშის ფონზე, ბოლოს მატყუარაც უწოდა: **„ევროკავშირი ბევრჯერ დაეხმარა საქართველოს, მაგრამ სანდრა რულოვსმა მთელი დრო და ფინანსები თავის მეუღლეს მოახმარა, რომელიც პროფესიონალი მატყუარაა. სააკაშვილს შეეძლო, გამხდარიყო ერთ-ერთი ძლიერი ლიდერი ევროპაში, მაგრამ ის გახდა მიკი მაუსი! გასაკვირია, რომ ამდენი შეცდომის შემდეგ, ბოდიში არ მოუხადა ქართველ ხალხს. ის არაა თქვენი პრეზიდენტი — ვაძლევ რჩევას, დაუყოვნებლივ, დღესვე გადადგეს თანამდებობიდან!“**

ამასობაში, „ვერსიამ“ ორი პარლამენტარი — კობა დავითაშვილი და გედევან ფოფხაძე შენიშნა. როგორც საკუთარ სახელისუფლო გუნდთან მუდმივ დაპირისპირებაში მყოფმა **კობა დავითაშვილმა** განაცხადა, რომ საკუთარ ამომრჩეველთან მივიდა და ამის გამო საპარლამენტო უმრავლესობის წევრებისგან მორიგ უსიამოვნებას არ ელის. **„მოვედი, რათა აქ შეკრებილთა შეხედულებები მოვისმინო. მეც მაქვს ჩემი შეხედულებები და თუ აქ დააინტერესებთ, ვეტყვი, თუ არადა, უბრალოდ, ხალხს მოვუსმენ და წავალ. ფაქტია, „ოცნების“ სამართალი ურმით მიდის. დღემდე ძლივს მოვახერხეთ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მიღება და სასამართლო კორპუსში ისევ ნაციონალები სხედან. ეს რეალობაა და ამ რეალობას გავიზიარებ თუ არა, ამით არაფერი შეიცვლება. პოლიტიკური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია, როცა საზოგადოება იკრიბება და მართლმსაჯულების აღდგენას მოითხოვს. პარლამენტის წევრი ვარ და ვალდებული ვარ, შევხვდე ამომრჩეველს, აქ კი ძალიან ბევრი ამომრჩეველია“,** — განაცხადა დავითაშვილმა, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრის შემდეგ მაღალი სიცხე მოიმიზეზა და სპორტის სასახლე დატოვა.

სამაგიეროდ, საკუთარ ამომრჩეველთან ვრცელ საუბარს ვერ გადაურჩა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გედევან ფოფხაძე**, რომელმაც „ოცნების“ დანაშაული კიდევ ერთხელ აღიარა: **„ვალდებული ვიყავი, მოვსულიყავი და ეს პრეტენზიები მომესმინა. შეიძლება, არსებობს რაღაც ობიექტური ახსნა, რატომ ვერ ვაკმაყოფილებთ ყველა ადამიანს. რაღაც არგუმენტები ჩვენც გვაქვს, მაგრამ დღეს ჩემი ვალდებულებაა, ყველა ამ ბრალდების შესახებ ვიცოდე. რეჟიმის გასამართლება, წმინდა იურიდიული კუთხით, დროის საკითხია, თუმცა პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, არსებობს. ამ ხალხს აქვს უფლება, ითხოვდეს სამართლიანობას, ჩვენ კი ამ მოთხოვნას უნდა მოვუსმინოთ და მისი შესრულების გზებზე ვიფიქროთ. ყოველ შემთხვევაში, ხალხს უკმარისობის გრძნობა აქვს — მოლოდინი მეტი იყო, ჩვენ კი ვერ შევძელით, ხალხის მოთხოვნებისთვის ადეკვატურად გვეპასუხა და მათი პრობლემები მყისიერად გადაგვეწყვიტა. ვისმენ ამ პრეტენზიებს და იმედი მაქვს, ხელისუფლება ყველაფერს გაიაზრებს და გაიზიარებს!“**

ამასობაში, სცენაზე ორი ვიდეორგოლი გავიდა — ერთი ახალი, სადაც ყოფილი პოლიტპატიმრები საკუთარ განაჩენზე საუბრობდნენ, მეორე კი ყველა აქციის ლაიტმოტივი — 26 მაისისა და სხვადასხვა აქციის დარბევის კადრები. ხმამაღალი მუსიკის ფონზე, ღონისძიების დაწყებიდან ზუსტად ერთი საათის შემდეგ, სპეციალური კორდონის თანხლებით, „დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მოვიდა. სხვათა შორის, მის მოსვლას ექსცესის გარეშე არ ჩაუვლია — ყრილობის ერთ-ერთი მონაწილე ქალბატონი დოდო ცხვედაძე ბურჯანაძის დანახვისას აყვირდა, ძმა შენ მომიკალიო. ცხვედაძეს ყრილობის სხვა დელეგატებმა სპორტის სასახლე უხეშად და ოპერატიულად დაატოვებინეს. „ვერსიისთვის“ კარგად ნაცნობ ქალბატონს, რომელიც 2003 წლიდან ოპოზიციის ერთ, მათ შორის, ნინო ბურჯანაძის მიტინგებსაც არ გამოკლებია, კომენტარი არ გაუკეთებია. ნინო ბურჯანაძემ „გმირობა“ შეიფერა და ღონისძიების მიწურულს განაცხადა, ოცნება-ნაციონალებს კოჰაბიტაცია მალე დანაშაულებრივ თანამშრომლობაში გადაეზრდებათო: **„პრობლემები, რაზეც აქ იყო საუბარი, არა რომელიმე, თუნდაც ძლიერმა და ავტორიტეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, არამედ ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს! აქ ადამიანები იმიტომ შეიკრიბნენ, რომ ხელისუფლებას უთხრან, ჩვენ არ მიგვიცია ხმა პირველი ოქტომბრის არჩევნებში დამნაშავე რეჟიმთან კოჰაბიტაციისთვის! ხალხმა ხმა ახალ ხელისუფლებას მისცა იმიტომ, რომ ათიათასობით ადამიანი, რომლის უფლებებიც შეილახა, სამართლიანობის აღდგენას ელის. აქ მათთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად და ჩემი, როგორც პოლიტიკოსის პოზიციის დასაფიქსირებლად მოვედი. სამართლიანობა უნდა აღდგეს! წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაცია შესაძლოა, დანაშაულის ტოლფასიც გახდეს“!**

სხვათა შორის, ღონისძიებას საშუალო დონის ორგანიზება არა მხოლოდ სტუმრების მობრძანების დროზე, არამედ გამომსვლელთა სიტყვასა და რაოდენობაზეც ეტყობოდა — მარადიულმა კონფერანსიემ, დიმიტრი ჯაიანმა სიტყვით რამდენიმე გამომსვლელი მოულოდნელად დაასახელა. საარჩევნო საკითხების ექსპერტი კახა კახიშვილი კი სცენაზე ნათხოვარი პიჯაკით ავიდა, რადგან არ ელოდა, ხალხის წინაშე გამოსვლა თუ მოუწევდა. მერე, კახიშვილმა პიჯაკი სცენის უკან მოწყობილ კულისებში დააბრუნა. მის ფეხდაფეხ მიმავალი „ვერსია“ კი, მომღერალ ნატო მეტონიძესა და ყოფილ რაგბისტ ბიძინა გეგიძესთან ერთად, თავიდან ფეხებამდე შავებში გამოწყობილ „უცნობს“, იგივე გიორგი გაჩეჩილაძეს გაესაუბრა. **„სცენაზე გავდივარ — ფეხისწვერებზე მინდა დავდგე! ახლა შემოქმედებით წვაში ვარ, გადავწყვიტე, ინტერვიუები აღარასოდეს მივცე, ასე გადაწყვიტა ლევანმაც“,** — განაცხადა „უცნობმა“, თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — საფინალო კონცერტი უკვე დაწყებული იყო, როცა გაღიზიანებული „უცნობი“ ნანა კაკაბაძესა და დიმიტრი ჯაიანთან მივიდა და განუცხადა, სცენაზე აღარ გამოვალ, აქ სიმღერა არ მინდაო. ორგანიზატორებმა შეშფოთებაც ვერ მოასწრეს, „უცნობმა“ სპორტის სასახლე ისე სწრაფად დატოვა და კაკაბაძე სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე მხოლოდ მისი კლიპის გაშვებას დასჯერდა.

ჰომოფობიის ანუ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში ძალადობით აღნიშნეს!

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

17 მაისის მოვლენები განსჯა-გაანალიზების საგანი კიდევ კარგა ხანს იქნება. „ვერსია“, LGBT პირების უფლებების დამცველთა და მათ მოწინააღმდეგეთა აქციებიდან, უბრალოდ, რეპორტაჟს გთავაზობთ...

მართალია, სექსუალურ უმცირესობათა უფლებადამცველთა აქციას რამდენიმე ათასი პოლიციელი იცავდა, მაგრამ LGBT საზოგადოების წარმომადგენლებმა რუსთაველის გამზირზე გავლა კი არა, გადაადგილებაც ვერ შეძლეს — ვითარებას საეკლესიო პირები აკონტროლებდნენ. „ეს არის სოდომ-გომორის ცოდა“, „მამათმავლებო, შორს საქართველოდან“, „ჩვენ პატივს ვცემთ ადამიანის თავისუფლებას, მაგრამ ვგმობთ გარყვნილების პროპაგანდას“, — სკანდირებდნენ სხვადასხვა რელიგიური თუ სამოქალაქო დაჯგუფების წარმომადგენლები.

შუადღემდე ვიტარება კონტროლს ექვემდებარებოდა — თავისუფლების მოედანზე, „ქორთიართ მარიოტის“ წინ, შს სამინისტროს წარმომადგენლებსა და ათამდე სასულიერო პირს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი ცდილობდა, სამღვდელოება დაეყოლიებინა, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მიმართულებით გავლის საშუალება მიეცათ, თუმცა სასულიერო პირები უარზე იყვნენ...

„კი, მაგრამ ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, მამაო?“ — დააწია მრევლისკენ დაძრულ სასულიერო პირებს კითხვა ნინო გიორგობიანმა... რამდენიმე წამიც და, მრევლმა პოლიციის კორდონი გაარღვია და იქვე მდგომ ყვითელ ავტობუსებს შეესია.

„მოკალით, ჩაქოლეთ ეგ პედერასტები!“ — ყვიროდა ასობით ადამიანი, რომელსაც ეგონა, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ყვითელ ავტობუსებში ისხდნენ. ქვებით, სკამებითა და სხვადასხვა ნივთით შეიარაღებული მორწმუნეები მზად იყვნენ, ადამიანები ჩაექოლათ და რომ არა პოლიციის ძალისხმევა, ბევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი არა, სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ დადგებოდა... მრევლმა ავტობუსებს ლესელიძის ქუჩის ბოლომდე სდია... ერთი ავტობუსი აქციის მონაწილეებმა ალყაში მოაქციეს და ქვები დაუშინეს. ეს ისტერია მას მერე შეწყდა, რაც ავტობუსში მოძღვარი ავიდა... ამასობაში, ვიღაცამ თქვა, „ელჯიბითები“ აქციის გამართვას ბუკიას ბაღში აპირებენო და მორწმუნეებმაც გეზი იქით აიღეს, თუმცა ეს ინფორმაცია ცრუ აღმოჩნდა...

ქაშუეთთან ცისარტყელას ფერებით შემოსილი, კისერზე სათამაშო ცისარტყელაშემოდებული გოგონა გამოჩნდა, რომელიც ირწმუნებოდა, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი ვარო.

„დიახ, მე სწორედ ის ვარ, რამე პრობლემა გაქვთ?!“ — გოგონას ამ რიტორიკულმა კითხვამ გარშემომყოფთა გაღიზიანება გამოიწვია. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ კი, კისრიდან სათამაშო ჩამოგლიჯა. „ელჯიბითი გოგონამ“ დასახმარებლად მამაოს მიმართა... ჩასაქოლად განწირული გოგონა პოლიციამ და სპეცრაზმმა იქაურობას ძლივს გაარიდა. სხვათა შორის, აქციის მონაწილეები პოლიციის მიმართ უკმაყოფილებას იმიტომ გამოთქვამდნენ, რომ გოგონა სიკვდილისგან იხსნა... „გაუმარჯოს საქართველოს გეების გარეშე!“ — სკანდირებდა გავეშებული ხალხი, რომელიც, სხვათა შორის, არც ჟურნალისტებს ინდობდა.

„თქვენ გეების პროპაგანდით ხართ დაკავებულები, მიდით და ისინი გააშუქეთ,“ — მორწმუნეები ჟურნალისტებთან საუბარს თავს ამ სიტყვებით არიდებდნენ...

ამასობაში, მოსაღამოვდა... ხალხი დაშლას არ აპირებდა და სკანდირებდა: „ყოჩაღ, ბიჭებო, მაგათ საქართველო ჰოლანდია ხომ არ ჰგონიათ?!“

მოკლედ, ჰომოფობიის ანუ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში ძალადობით აღნიშნეს!

მარკ მალენის თქმით, 17 მაისის მოვლენები წინასწარ იყო ორგანიზებული

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მარკ მალენი მიიჩნევს, რომ 17 მაისის არეულობა თბილისში წინასწარ იყო ორგანიზებული.

როგორც მალენმა განაცხადა, იგი 17 მაისს პარლამენტის შენობასთან იმყოფებოდა, სადაც მართლმადიდებელი აქტივისტები იკრიბებოდნენ, რომლებმაც შემდეგ ჰომოფობიის წინააღმდეგ აქცია ძალის გამოყენებით ჩაშალეს.

„მე ვიყავი პარლამენტის შენობასთან და ვნახე ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ ფურცლები სახელებითა და ტელეფონის ნომრებით“, — აღნიშნა მალენმა. მისი თქმით, არ იცის, კონკრეტულად ვინ ხელმძღვანელობდა ხალხის შეკრებას, მაგრამ მისთვის აშკარა იყო, რომ პროცესს კოორდინირებული ხასიათი ჰქონდა.

„ბევრჯერ მინახავს ხალხმრავალი შეკრებები საქართველოში და იქ ვნახე ჯგუფები, რომლებიც ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს მოსყიდულები იყვნენ“, — განაცხადა მალენმა.

მარკ მალენის თქმით, **„ეკლესია, ან ეკლესიის ხელმძღვანელობა სიძულვილს ქადაგებდა, ეკლესიის ნაწილი კი ძალადობისკენ აქტიურად მოუწოდებდა. ეს ძალიან საშიშია“.** მან ქართულ საზოგადოებას ურჩია, „შეისწავლოს, რა მოხდა ირანში 70-იან წლებში“ და დასკვნები გამოიტანოს.

მანვე აღნიშნა, რომ 17 მაისს ქუჩაში გამოსული ადამიანები აცხადებდნენ, რომ ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ გამოდიან, მაგრამ, სახელმწიფოსა და ერისთვის საფრთხეს არა ჰომოსექსუალიზმი, არამედ, სიძულვილი და ძალადობა წარმოადგენს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

აფხაზეთიდან დევნილმა გვარი შეიცვალა და პუტინად დარეგისტრირდა

აფხაზეთიდან დევნილი ლევან ტყებუჩავა, ამიერიდან, ორი გვარის მატარებელია: მოსკოვში მცხოვრები ქართველი ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც ლევან ტყებუჩავა-პუტინი.

ამ თემაზე საგანგებო რეპორტაჟი „ლაიფნიუსმა“ მოამზადა და გაოცებული რეესტრის თანამშრომლებიც აჩვენა, რომლებიც აცხადებენ, რომ მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში არ ჰქონიათ.

სიუჟეტიდან ირკვევა, რომ ლევან ტყებუჩავა-პუტინი 10 წელზე მეტია, მოსკოვში ცხოვრობს, რუსეთის ნაკრების გულშემატკივარია ჩოგბურთში და დიდი ხანია, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს გულშემატკივრობს.

ტყებუჩავა-პუტინი ამბობს, რომ ახალი ხელმოწერის დამუშავება-ათვისება მოუწევს. ამაყობს, რომ მისი გვარის დასახელებაში პუტინი გაჩნდა.

რუსეთის პრეზიდენტსა და რუსულ სპორტს ლევანის მეუღლე, ოლია ტყებუჩავაც გულშემატკივრობს, მაგრამ გვარის გადაკეთებისგან მაინც თავს იკავებს.

სამაგიეროდ, ლევან ტყებუჩავას გადაწყვეტილება ძალიან მოსწონთ მის თანაპარტიელებს: ისინი ტყებუჩავა-პუტინზე დაუფარავი აღტაცებით საუბრობენ.

„ნიუპოსტი“

ანაკლიაში თენგიზ გუნავა პალმის რტოებით სცემეს

„არ გამოდგა ბიძინა, ჩვენ რომ გვეგონა, ის კაცი!“ — რა პრეტენზიები აქვთ პრემიერთან, რატომ მოსწონთ ირაკლი ღარიბაშვილი და რის გამო სწყევლიან ზუგდიდელები მიხეილ სააკაშვილს

ირუსუდან შელია
557-100-768

ზუგდიდში, ავადმყოფი ბებიის სანახავად მიმავალს, სამარშრუტო ტაქსში შუახნის ქალბატონი, გულნარა ჭითანავა დამემგზავრა. სასაუბრო თემა დიდხანს არ გვიძებნია, ბიძინაზე რას ფიქრობო, მკითხა და პოლიტიკის „საფუძვლიან“ განხილვა-ანალიზს შეუდგა...

— რამდენი ხანია ზუგდიდში არ ყოფილხარ? — მკითხა მეგრული კილოთი.

— ორი წელი, — ვუპასუხე და დავაპირე მეთქვა, იმედი მაქვს, მშობლიური ქალაქი შეცვლილი და გალამაზებული დამხდვება-მეთქი, მაგრამ ქალბატონმა გულნარამ სიტყვა მეგრული სისწრაფით ჩამომართვა:

— ოოო, ორი წელი ბევრია, მაგრამ მთავრობის გარდა, შეცვლილი არაფერი დაგხვდება, ჩემო ძვირფასო, პირიქით, პირიქით... ხომ ვარ მართალიო? — „ჩაეკითხა“ მესამე მგზავრს და ისევ მომიბრუნდა:

— არ გამოდგა ბიძინა, ჩვენ რომ გვეგონა, ის კაცი, შვილო...

— რატომ? — მიამიტურად ვიკითხე... ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებაში, ქალბატონ გულნარას სამარშრუტო ტაქსის მგზავრთა უმეტესობა აჰყვა.

— ხალხს ოქროს სასახლეებს დაგვპირდა და ქოხსაც ვეღარ გვიშენებს. კარგად მახსოვს, არჩევნებამდე ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილებს როგორ გვითხრა, სამეგრელოსა და ზუგდიდის განსავითარებლად 100 მილიონს ჩავდებ, სამუშაო ადგილებს შევქმნი, ქარხნებს ავამუშავებ და ახალგაზრდებს დავასაქმებო... სადაა ეს ყველაფერი?

— აბა, აბა... — რეპლიკებს, მგზავრებთან ერთად, მძღოლიც ისროდა.

— არჩევნების შემდეგ მთავრობას ზუგდიდში კაპიკი არ დაუხარჯავს, — არ ცხრებოდა ქალბატონი გულნარა, — რომ ჩავალთ, შენც იგრძნობ, შვილო, რომ ქალაქი თითქოს გაჩერდა, — ამის თქმა იყო და მზერა გაეყინა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ, შეწყვეტილი აზრი გააგრძელა:

— შენ იცი, რომ ბანკის ვალის გამო, ზუგდიდში ქალმა თავი მოიკლა?

— ვიცი...

— ჰოდა, მეორე დღეს, გვამი ჯერ გაციებულიც რომ არ იყო, ბანკის ოფიცერი გარდაცვლილის ოჯახში მივიდა, მერე რა, რომ თავი მოიკლა, ახლა კრედიტი მემკვიდრეობით შვილებზე გადავიდა და სესხი უნდა გაისტუმროთ, თორემ სახლს წაგართმევთო. ესაა ბიძინას გაკეთებული საქმე?

— და ბიძინა ბანკთან რა შუაშია? — ისევ მიამიტურად ვკითხე და მაშინვე მივხვდი, რომ დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი: ქალბატონი გულნარა გაბრაზდა...

— კარგი, ახლა! ბიძინა არ გვპირდებოდა, ბანკის ვალების დაფარვაში დაგეხმარებით და დაბალპროცენტიან სესხებს მოგცემთო?! სამეგრელოში ყველას ბანკის ვალი აქვს, ზოგი ჯერ კიდევ ახერხებს გადახდას, მაგრამ უმეტესობას ქუჩაში გაყრა ემუქრება. ბაზარში პროდუქტებს ვყიდი და კარგად ვიცი, როგორ უჭირს ხალხს. ერთხელ, მოხუცი კაცი მოვიდა და ჩხუბი დამიწყო, რატომ ყიდი ვაშლს ძვირადო? რა ვქნა, კაცო, ჩემი ეზოს ვაშლი კი არ არის, 10 „კაპიკს“ ვიგებ და ამით ჩემ სტუდენტ შვილს სწავლის გადასახადს ვუფარავ-მეთქი...

აღარ შევედავე... ქალბატონი გულნარას დამშვიდება სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩადებული საკმაოდ სოლიდური დაფინანსებაზე საუბრით ვცადე. არაფერი გამომივიდა...

— რომელი სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს, როცა სოფლის მაცხოვრებლებისთვის დასახნავი ფული ჯერ კიდევ არ დაურიგებიათ?! ჩემს მეუღლეს სოფელ დარჩელში ნაკვეთი აქვს გაფორმებული და დოკუმენტურად დადასტურებული, მაგრამ რად გინდა? — რიგში ვართ და თანხის აღებას ივლისში გვპირდებიან. დაველოდები, როდის ინებებს მთავრობა და დაფინანსებას ჩემთვისაც გაიმეტებს, — გაბრაზებული გულნარა სოფლის მეურნეობის გადამდგარ მინისტრს დიდხანს ლანძღავდა. გული რომ მოიოხა, სიტყვა სამეგრელოში არსებულ მონოპოლიებზე ჩამოაგდო. გაკვირვებულმა ვკითხე, ბიზნესებს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ლობირებენ-მეთქი?

— კი, კაცო, აბა, არა?! ხომ იცი, ადრე გოროზიას ჰქონდა წილები, მერე ახალაიები, ქობალიები და მისი მეგობრები ღლეტდნენ გლეხებს.... ახლაც იგივე ხალხი იბარებს თხილს, ვინც სააკაშვილის დროს იყო და, რაც მთავარია, ფასმა წინა წლებთან შედარებით, დაიწია. ისე, რა უქნა ახალაიების ოჯახს მიშა არგასახარებელმა, როგორ დაანგრია ოჯახი და ორივე ძმა გაწირა.

— ადგილობრივი მოსახლეობა ახალაიების ტერორისგან გათავისუფლდა?

— შვილო, ხალხში შიში, მართლაც, გაქრა. ვისი უნდა გვეშინოდეს — საცოდავი თენგიზ გუნავასი? პირიქით, გუნავა შიშისგან ხალხში ვერ დადის. რამდენიმე დღის წინ, ვიღაც მიყვებოდა, ანაკლიაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა ჰქონია და ხალხს აქეზებდა, შეხედეთ, ანაკლიაში ყველა პროექტი გაჩერებულია, თქვენ კიდევ ხმას ვერ იღებთო. ანაკლიელებს კი მისთვის გამხმარი პალმის რტოები და ჯოხები დაუშენიათ. ამის მერე გამოჩენას ვეღარ ბედავს, თურმე...

— აღარც მიშა გსტუმრობთ?

— მიშას ზუგდიდში ცხოვრებაც უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ სამეგრელომ ღალატი არ აპატია და ჩამოსვლა ვეღარ გაბედა. ისე, თვეში ერთხელ მაინც დადის ზუგდიდის რეზიდენციაში. ცოტა ხნის წინ, „ჯიპებით“ მოაგრიალა საჯაია, ბაქრაძე, საყვარელიძე... უყვარს პრეზიდენტს სამეგრელოში ამოზელილი ღომი და ელარჯი... ეჰ, მაგიტომაც გავუშვით მოუსვლელში ნაციონალები, რომ ასეთ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეგვეძლო, მაგრამ რა? — ვაის გავეყარეთ, ვუის შევეყარეთო, ასეა ჩვენი საქმე.

— არჩევნებიდან ჯერ შვიდი თვეა გასული, ვაცალოთ, იქნებ, მართლაც გამოვიდეს რამე, თან პრემიერი ოთხ წელიწადში ეკონომიკის აყვავებას გვპირდება.

— ოთხ წელიწადში ცხრაჯერ სიკვდილს მოვასწრებ. შვიდი თვეო, რომ მეუბნები, არჩევნების მერე მინისტრებმა წონაში მომატება ხომ კარგად მოასწრეს? არა, შვილო, არ უჩანს კარგი პირი ამ მთავრობასაც, თორემ ამ ხნის განმავლობაში კი უნდა გამოჩენილიყო სასიკეთო ნაბიჯები. ცუდი ხალხი ჰყავს ამ ბიძინას გვერდით, ჭკვიანი კაცი ჩანს და ამას ამდენი ხანი როგორ ვერ მიხვდა, მიკვირს...

— თქვენ რომელი თანაგუნდელი არ მოგწონთ, ქალბატონო გულნარა?

— რომელია მოსაწონი? ახლა პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი აირჩიეთო, გვეუბნება. რატომ, კაცო, რატომ უნდა გახდეს ფილოსოფოსი მარგველაშვილი ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, ამისთანა რა დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე? ტელევიზორს ხშირად ვუყურებ, მიყვარს საინფორმაციო გადაცემების მოსმენა, ამიტომ ვიცი, რომ მარგველაშვილი დედამიწაზე დააბიჯებს, მაგრამ ჩემი მეზობლები ამ კაცს საერთოდ არ იცნობენ.

ზვიად გამსახურდიას მერე გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტი იმიტომ უნდა ერქვას, რომ საღამოობით ბიძინას ფილოსოფიაზე ელაპარაკება? ისე, ირაკლი ღარიბაშვილი კარგი ბიჭია... გვიყვარს მეგრელებს პრინციპული ჩინოვნიკები...

ამასობაში, სამარშრუტი ტაქსი გაჩერდა — ზუგდიდში ისე ჩავედი, ვერც გავიგე... ქალაქი რომ შევათვალიერე, უკეთესობისკენ შეცვლილი არაფერი მეჩვენა... ტაქსი გავაჩერე და დანიშნულების ადგილზე მიყვანა ვთხოვე. მეორე საჯარო სკოლასთან რომ ჩავიარეთ, ჩაფიქრებულ მძღოლს ვკითხე:

— სტადიონი უკვე დაანგრიეს?

— კი, დიდი ხანია და აქ ლამაზი პარკი უნდა აშენებულიყო, მაგრამ ხომ ხედავ, მშენებლობა გაჩერებულია. ახლა არც პარკი გვაქვს და აღარც — სტადიონი.

— იუსტიციის სახლის მშენებლობის დასრულებაც არ იგეგმება? — ვკითხე მძღოლს, როცა ზუგდიდის თეატრის გვერდით, ხარაჩოებში ჩასმული, დაუსრულებელი იუსტიციის სახლი შევნიშნე.

— არა, არც ამის დასრულებას აპირებს ვინმე, რამდენიმე თვეა, ასე უპატრონოდ დგას, — მოკლედ მომიგო მძღოლმა და მანქანა მონატრებული ბებიის სახლის წინ გამიჩერა...

სექტემბრიდან ბავშვებს ბაგა-ბაღებიდან მასობრივად გარიცხავენ

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უფასო სწავლა დააკანონა, ბაგა-ბაღების სააგენტოს ვაუჩერული დაფინანსების ინიციატივა შემოაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაგა-ბაღები, რომლებსაც 100-მდე აღსაზრდელი ჰყავთ, თითოეულ ბავშვზე წელიწადში 1500 ლარს მიიღებენ. 101-დან 200-მდე — 1 200 ლარს; 201-დან 350-მდე — 800 ლარს, 351-დან 450-მდე — 700 ლარს, 451 ბავშვის ზემოთ კი — 600 ლარს.

თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორის, რამაზ სულამანიძის განმარტებით: „ვაუჩერული დაფინანსება ბაგა-ბაღებს საშუალებას მისცემს, თანხა, მშობლებისგან დაკომპლექტებულ სათათბირო ორგანოსთან შეთანხმებით, საკუთარი შეხედულებისამებრ დახარჯონ, რაც საბავშვო ბაღების ავტონომიურობას უზრუნველყოფს. ახალი კანონმდებლობით, ბაგა-ბაღებს დამატებითი თანხების მოზიდვის უფლება აღარ აქვთ... სხვათა შორის, უკვე ამოქმედდა მონიტორინგის სამსახური, რომელიც ბაღებს ამოწმებს და დარღვევებიც გამოავლინა: 14 ბაღის დირექტორს სასტიკი საყვედური გამოვუცხადეთ, 11 ბაღის დირექტორს — შენიშვნა, 27 ბაღის დირექტორს — საყვედური; 2 ბაღის დირექტორი კი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა, რადგან ერთ ბაგა-ბაღში, კვების პროდუქტებში ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერება — ეიკოლის ვირუსი აღმოჩნდა. მეორე ბაგა-ბაღში კი, წინასააღდგომო პერიოდში, აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი კვების პროდუქტები — 6 ქათამი, 12 კარაქი, რამდენიმე კილოგრამი კარტოფილი, კომბოსტო და ხახვი შინ წასაღებად ჰქონდათ გამზადებული“.

იმის გამო, რომ ახალი სასწავლო წლიდან ბაგა-ბაღებში სწავლა უფასო ხდება, დიდი ალბათობით, ბაღებში ბავშვთა კონტინგენტი მოიმატებს, თუმცა თბილისის მერია ახალი ბაღების აშენებას ან გახსნას არ აპირებს. ამიტომაც, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიღება, როგორც იტყვიან, დასწრებაზე იქნება. ამჟამად მუნიციპალურ ბაგა-ბაღში 44 000 ბავშვი სწავლობს. რეალურად კი, ბაგა-ბაღის ასაკის 70 000 ბავშვია. რამაზ სურამანიძე ადასტურებს, რომ მას შემდეგ, რაც უფასო გახდება, ბაღზე მოთხოვნა გაიზრდება. სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, კარგი იქნება, თუკი 25-ბავშვიანი ჯგუფი 35-მდე გაიზრდება, 35-იანი კი — 40-მდე. იმ შემთხვევაში, თუ სათათბირო ორგანოები ამ ინიციატივას დაამტკიცებენ, ბაღებისთვის აღსაზრდელთა რეკომენდებული ნორმა დაირღვევა.

პარლამენტის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებების გამო, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო სააღმზრდელო დაწესებულებებში აღსაზრდელთა მიღება-გარიცხვის წესს ცვლის — თუკი ადრე ბაღებში ბავშვის მიღება-გარიცხვის განმსაზღვრელი თანხის გადახდა-არგადახდა იყო, ახალი ნორმით, ბაღიდან ბავშვის გარიცხვა გაცდენაზეა დამოკიდებული, ანუ თუ ბაღში ზედიზედ 5 დღე არ მივა და, მომდევნო ორი დღის განმავლობაში, მშობელი სათათბირო ორგანოს სამედიცინო ცნობას არ წარუდგენს, აღსაზრდელს ბაღიდან გარიცხავენ და მის ადგილს სხვა ბავშვი დაიკავებს. ბავშვი ბაგა-ბაღიდან იმ შემთხვევაშიც გაირიცხება, თუ თვეში 10-დღიანი გაცდენა „დაუგროვდა“, მშობელმა კი გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი ცნობა ვერ წარადგინა.

ახალი სასწავლო წლიდანვე ამოქმედდება ელექტრონული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კვების მენიუს, კალორაჟის კონტროლსა და ბაღების საწყობსა და სამზარეულოს შორის საქონლის მოძრაობას. სააგენტოს დირექტორის გათვლით, ეს პროგრამა კვების პროდუქტების დანაკარგს მაქსიმალურად შეამცირებს.

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია ბაღების სააგენტოს გაუქმებას მოითხოვს: „მიმაჩნია, რომ ეს სააგენტო უნდა გაუქმდეს, ბაგა-ბაღებზე კონტროლი და კოორდინაცია კი მერიის შესაბამისმა საქალაქო სამსახურმა და რაიონულმა გამგეობებმა უნდა გადაინაწილონ. ამით თანხა დაიზოგება, ამასთან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ნაციონალური მოძრაობის ამოცანებისთვის გამოყენებული ორგანოები აღარ იქნება. დღეს ბაღების სააგენტო პოლიტიკურად ანგაჟირებულია, რაც აბსოლუტურად მიუღებელია“.

ზაზა გაბუნიას არ ეთანხმება თბილისის საკრებულოს, ასევე, უმცირესობის წევრი ირაკლი შიხიაშვილი, რომელსაც გამგეობაში მუშაობის გამოცდილება აქვს. შიხიაშვილის განმარტებით, გამგეობები ბაღების მაკონტროლებლის ფუნქციას ვერ შეითავსებს, რადგან იქ ყველა თანამშრომელს თავის საქმე აქვს.

სწორია თუ არა ბაღიდან ბავშვის გარიცხვა გაცდენის გამო? — ამ კითხვით „ვერსიამ“ თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნება თბილისელების“ თავმჯდომარეს, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრს გულიკო ზუმბაძეს მიმართა: „რაღაც რეგულაციების შემოღება აუცილებელი გახდება, ვინაიდან ბავშვი სასწავლო პროცესს ჩამორჩება, მაგრამ ერთკვირიანი გაცდენის გამო ბავშვის ბაღიდან გარიცხვა არასწორია. ამ საკითხის დარეგულირებაში მონაწილეობას საკრებულო მიიღებს.

— ქალბატონო გულიკო, ბევრი ოჯახი დანგრეულია და ბავშვი ხან დედასთანაა, ხან — მამასთან. შესაბამისად, ბაღს აცდენს...

— ამ შემთხვევაში, ბავშვი მეორე მშობელმა შაბათ-კვირას უნდა წაიყვანოს. თუ ასეთი აუცილებლობა იქნება, მშობელმა უნდა დაწეროს განცხადება, რომ მისი შვილის კვებაზე თანხა არ გამოიყოს...

— ბაგა-ბაღები ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადადის, თუმცა ბაღების ნაწილი აქაც დაიჩაგრება, ვინაიდან ერთი ბავშვია განმსაზღვრელი, ბაღი რამდენიმე ასეული ლარით მეტს მიიღებს თუ ნაკლებს.

— ყველაფერს გადავხედავთ. არც ბაღი უნდა დაიჩაგროს და არც — ბავშვი. სექტემბრიდან სხვა ცუდი რეალობის წინაშე დავდგებით — ყველას ექნება სურვილი, რომ შვილი ბაღში მიიყვანოს, მაგრამ საამისოდ საკმარისი ბაღები არაა, მერია ამბობს, რომ ახალი ბაღების გასახსნელად ფული არ აქვს, ამიტომ იმ ბაღების რაოდენობა უნდა დაადგინონ, რომელთა აღდგენაც შეიძლება. აღდგენისთვის თანხა კი ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გამოყოს.

— მერია გამოსავალს იმაში ხედავს, რომ არსებული რეკომენდაციები დაარღვიოს და ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა გაზარდოს. ამის გაკეთება სწორად მიგაჩნიათ?

— ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობას ახლაც ისე ვუყურებ, როგორც კატასტროფას, რადგან მხოლოდ სააღმზრდელო პროცესი კი არ ირღვევა, ბავშვებს ჟანგბადი არ ჰყოფნით. ჯგუფების გაზრდით ხელს ბავშვების ჯანმრთელობის გაუარესებას შევუწყობთ. საერთოდ, როცა ჯგუფში ბევრი ბავშვია, სააღმზრდელო და სასწავლო პროცესების ხარისხი იკარგება... როცა მერიაში დავაყენეთ ინიციატივა, რომ ჯგუფები შეემცირებინათ, გვიპასუხეს, კერძო ბაღებმა რა ქნანო ანუ მერიას აწყობს, მუნიციპალურ ბაღებში, ჯგუფში 40 იყოს, კერძოში კი — 15-15, რათა მშობელი დახარბდეს და ბავშვი კერძო ბაღში მიიყვანოს. საერთოდ, სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით, ერთიანი ეროვნული კონცეფცია არ არსებობს... ნაციონალურმა მოძრაობამ, თავის დროზე, ბევრი ბაღი გააუქმა და ახლა წინააღმდეგობებს ამიტომ ვაწყდებით: კონტინგენტი დიდია, მაგრამ მერია ახალ ბაღებს არ ხსნის და ამბობს, კერძო ბაღების ინტერესები დაირღვევაო, მაგრამ ეს არგუმენტი გაუმართლებელია.

ირანში 5,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

ირანის სამხრეთ ნაწილში, ხორმოზგანის პროვინციაში 5,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. აშშ-ს გეოლოგიური სამსახურის ცნობით, ერთმანეთის მიმდევრობით ორი მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა, რომელთაგანაც ერთის სიმძლავრე 5,6, მეორესი კი 5,5 მაგნიტუდას შეადგენდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მიწისძვრას 2 წლის ბავშვი შეეწირა და 20-მდე ადამიანი დაშავდა.

„მედიანიუსი“

ცნობილი რუსი ჯამბაზი ყელგამოჭრილი იპოვეს

ცნობილი რუსი ჯამბაზი, ევგენი მარანოგლი ყელგამოჭრილი იპოვეს. მის სხეულზე ასევე აღმოჩენილია მრავლობითი, დანით მიყენებული ჭრილობა.

დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას გაირკვა, რომ იგი თავს იცავდა. ოთახში ასევე აღმოჩენილია სპირტიანი სასმელი. ჯამბაზს სხეულზე დანით მიყენებული 6 ჭრილობა აღმოაჩნდა, გადაჭრილია ყელი და ხორხი.

„ნიუპოსტი“

სააკაშვილი ტაილანდის სამეფოს პრემიერ-მინისტრს შეხვდა

ტაილანდის სამეფოში, ქალაქ ჩან მაიში საქართველოს პრეზიდენტსა და ტაილანდის სამეფოს პრემიერ-მინისტრს ინგლუქ შინავათრას შორის შეხვედრა გაიმართა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ლიდერებმა ორმხრივი ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მნიშვნელობაზე გაამახვილეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს.

მიხეილ სააკაშვილი და ინგლუქ შინავათრა საქართველოსა და ტაილანდს შორის არსებულ 20-წლიან დიპლომატიურ ურთიერთობასაც შეეხნენ და ამ ტრადიციის უფრო გაღრმავების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

ქვეყნის პირველი პირი ტაილანდის სამეფოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

მიხეილ სააკაშვილი ორმხრივი შეხვედრების გარდა, აზია-წყნარი ოკეანის წყლის მეორე სამიტის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

სამიტს მსოფლიოს 37 ქვეყნის 2000 მაღალი რანგის სახელმწიფო პირი, პოლიტიკოსები და ექსპერტები ესწრებიან.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სტიქიით დაზარალებულ კახელებს სპილენძის შემცველი პესტიციდები დაურიგდათ

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, დავით გალეგაშვილმა კახეთის რეგიონში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას სპილენძის შემცველი პესტიციდები გადასცა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ეს პესტიციდები სეტყვით დაზიანებული ვაზისა და ხეხილისთვის აუცილებელია. გურჯაანის მუნიციპალიტეტში სტიქიით ყველაზე მეტად დაზარალებული სოფლების: ვეჯინის, კარდენახის, ბაკურციხისა და კოლაგის მოსახლეობას სპილენძის შემცველი პესტიციდებით ნარგავების დამუშავება, ნაწილობრივ მაინც შეუმცირებს მიყენებულ ზიანს.

„დაპირებისამებრ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გურჯაანის სოფლებს დავურიგეთ უმაღლესი ხარისხის სპილენძისშემცველი პესტიციდები. აღნიშნული პესტიციდი სეტყვით დაზიანებული ვაზისა და ხეხილისათვის აუცილებელია. ეს დაიცავს მცენარეებს, რათა არ მოხდეს დაზიანებულ ადგილებში პათოგენის სოკოს (ჭრაქის) შეჭრა და დაავადება, რაც საბოლოოდ, გამოიწვევს მრავალწლოვანი ნარგავების სრულ განადგურებას“, – განაცხადა დავით გალეგაშვილმა.

სამინისტროს ცნობით, საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, აქტიურად მუშაობენ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების შემოტანა-დანერგვაზე, რაც მომავალში, მაქსიმალურად შეამცირებს სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობას.

მინისტრის მოადგილე გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების რწმუნებულთათვის მიწის მესაკუთრეთა დამატებითი სიების მიხედვით დაბეჭდილი სასოფლო-სამეურნეო ბარათების გადაცემის პროცესსაც დაესწრო.

„მედიანიუსი“

თედო ჯაფარიძე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა. ჯაფარიძემ ასამბლეაზე სამოქალაქო განზომილებისა და უსაფრთხოების კომიტეტს მიმართა, ასევე აღნიშნა, რომ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულება კი არა, ეროვნული კონსენსუსის უმთავრესი ნაწილია. საქართველო ისტორიულად, ყოველთვის დასავლეთ კულტურის ნაწილად განიხილებოდა. თედო ჯაფარიძე შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა – რუსეთთან დავის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების აუცილებლობა, ISAF-ის მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის გაგრძელება.

„ჩამოყალიბებულნი ვართ იმაზე, რომ უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები და უნდა გავაგრძელოთ მეგობრებთან თანამშრომლობა, რათა გავაძლიეროთ საქართველოს უსაფრთხოების სისტემა, მაგრამ ამავდროულად, გათავისებული გვაქვს, რომ საქართველოს სამომავლო უსაფრთხოება და სტაბილურობა, დიდწილად, დამოკიდებული იქნება დემოკრატიის ხარისხზე, დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერესა და კანონის უზენაესობაზე. ჩვენ ეს გზა არჩეული გვაქვს და გვსურს, საქართველო რეალურად გახდეს თავისუფალი ქვეყანა, სწორედ ამისთვის გვჭირდება ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება“, – აღნიშნა თედო ჯაფარიძემ.

„მედიანიუსი“

რეპორტაჟი მაკლერების ბირჟიდან

რაფომ გაძვირდა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თბილისში ბინები, რომელი უბნებია მოთხოვნადი და რაფომ ერიდება ხალხი სახლის ყიდვა-დაქირავება-დაგირავებას გლდანსა და თემქაზე

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

დედა ენის ბაღთან, როგორც წესი, უამრავი ხალხია: ზოგი „მაკლერია“, რომელიც პურს, წლებია, აქ დგომით ჭამს, ზოგს ბინის ყიდვა უნდა, ზოგს გაყიდვა, ზოგი აგირავებს ან აქირავებს... ისეთებიც არიან, ვინც ბინას „ახურდავებს“... გასაყიდი ბინის ფასი 20 ათასიდან იწყება და 500 ათასამდე ადის, მაგრამ 500-ათასიანს მყიდველი ნაკლებად ეტანება...

— გინდ გიგირავებია და გინდ გიყიდია, თითქმის ერთი ფასი აქვს, — ეუბნება ერთი ქალი მეორეს.

— რაო, რა გითხრეს?

— გარეუბანში ბინის გირაობას 15 ათასი უნდაო. ბარემ, 5-6 ათასს დავუმატებ და ვიყიდი, ჩემი მაინც ერქმევა.

— ის 6 ათასიც რომ არ არის? — ორი დიაცის საუბარში საშუალო ასაკის მამაკაცი ერთვება.

— ეგ კი არა, ერთოთახიანი ბინაც საძებარია: ვისაც ფული აქვს, ყიდულობს და მერე აქირავებს. აბა, ბიზნესი მოკვდა და, ხალხს ფული რომ არ გაუფუჭდეს, ბინებს ყიდულობს, — საშუალო ასაკის მამაკაცს სიტყვას ჭაღარათმიანი აწყვეტინებს, რომელიც, როგორც ვატყობ, „მაკლერია“, — კლიენტი მყავს, რომელიც ერთოთახიანში 23 ათასსაც იხდის, მაგრამ თვეზე მეტია, ბინა ვერ ვუშოვე, მეუბნება, არ დავეძებ, როგორი იქნება, მთავარია, კედლები იყოსო.

— ერთოთახიანი ბინები ასეთი დეფიციტი რატომაა? — ვინტერესდები.

— ამას ბევრი მიზეზი აქვს: ზოგმა იპოთეკაში ჩადო ბინა, ბანკი ანუ იპოთეკარი უყიდის და, სულ რომ ღია ცისქვეშ არ დარჩეს, ერთოთახიანს ეძებს. ისე, რომ იცოდეთ, ნახევარ თბილისს ბინა იპოთეკაში აქვს ჩადებული. ზოგსაც ეშინია, დიდი ბინა რომ იყიდოს, გაყიდული არ აღმოჩნდეს, ამიტომ დიდი და ძვირიანი ბინის ყიდვას ვერავინ რისკავს... ზოგიც რძალს ან სიძეს ვერ ეგუება — დიდი ბინა გაყიდა და ორი ერთოთახიანი ბინის ყიდვა სურს. ზოგსაც გასაქირავებლად უნდა.

— არჩევნების შემდეგ, ბინების ფასმა მოიმატა?

— ადგილსა და ბინას გააჩნია. ზოგან გაიაფდა, ზოგან მოიმატა. ბინების ფასის კლება-მატება მოთხოვნაზეა დამოკიდებული. დიდი ბინები და სახლები ცოტა გაიაფდა — კლიენტი ნაკლებად ჰყავს, ხალხს პურის ფული უჭირს და რა ბინის მყიდველია?! იმ უბნებში, სადაც ძველი ბინებია, ფასები 35-დან 60 ათასამდე მერყეობს.

ვაკის, ვერისა და მთაწმინდის ბინების ფასს საბურთალოსა და ისნის ბინების ფასი უსწრებს. ხალხმა ჭკუა ისწავლა — ურჩევნია, გარეუბანში იცხოვროს, ვიდრე — იტალიურ ეზოში, სადაც არავინ იცის, როდის ჩამოინგრევა ჭერი. ვაკეში კი ტრანსპორტის პრობლემაა: თუ მანქანა არ გყავს, იქ ვერ იმოძრავებ. ძველ უბნებს უფრო რაიონებიდან ჩამოსული ფულიანი ხალხი ეტანება, მერე, სოფელში რომ იამაყონ, მთაწმინდაზე ბიჭს ბინა ვუყიდეო. ამ დროს კი, ეს ბინა დანგრეული და დამპალია.

— გირაო რატომღა გაძვირდა?

— მაგაზეც გაიზარდა მოთხოვნა. წლებია, „მაკლერად“ ვმუშაობ და ბოლო სამი წელია, ყოველწლიურად, 20 ათასი დოლარით იმატებს ყველაზე დაბალფასიანი გირაოს ფასი. ხალხს ურჩევნია, ქირაში ფულის ყრას, ბანკის ვალი აიღოს და ბინა იგირაოს.

— გასაქირავებელი ბინების ფასმაც მოიმატა?

— არა, ზაფხულის მერე, პირიქით, მოიკლო. ბინები ყველაზე ძვირი აგვისტო-სექტემბერშია, ახლა თითქმის ყველა დაბინავებულია. გარეუბანში ბინის ქირაობა 250-350-ლარამდე ღირს. კერძო სახლებში ოთახის ქირაობა კი, 100-150 ლარადაცაა შესაძლებელი. ძველ უბნებში, თუ გარემონტებულია და სველი წერტილიც ბინაშივეა, 300-400 დოლარიც ღირს. ვაკე-საბურთალოზე კი, 700 დოლარს აღწევს.

— ყველაზე მეტი კლიენტი სად არის?

— ისან-სამგორის მხარეს. გლდანი, მუხიანი და თემქა იმდენად მოთხოვნადი აღარაა. კლიენტს რომ ვეტყვი, გლდანში მაქვს ბინა-მეთქი, გარბის, იქ სად მიშვებ, ან ვინე დამაყაჩაღებს, ან სახლს გამიტეხავს, ან ჩემი შვილი თავს ციხეში ამოყოფსო, თან იქით ბინები უფრო ძვირია.

— რას ამბობენ, ბინების ფასი კიდევ მოიმატებსო?

— თუ გაჩერებული მშენებლობები არ დაიძრა, გაძვირდება. მყიდველი არის, გასაყიდი ბინა კი, პრაქტიკულად — არა, ან არის, მაგრამ ისეთი ძვირია, კლიენტი გარბის.

მაკლერების გვერდით მოხუცი ქალბატონი დგას, რომელსაც გულზე ტრაფარეტი აქვს მიკრული: „ვაქირავებ ოთახს შანიძეზე, სტუდენტ გოგონაზე, ან წესიერ ქალბატონზე“.

— ქალბატონო, რამდენად აქირავებთ? — ვეკითხები.

— 150 ლარად, მიჭირს, ბებო, თორემ იმ ბინას გააქირავებს ადამიანი, სადაც ცხოვრობს?!

— მარტო ცხოვრობთ?

— კი. ერთ დროს, ფულიც მქონდა და კარგი სამსახურიც, მაგრამ სიბერემ ყველაფერი წაიღო. წამლებს, გადასახადებსა და საჭმელს ჩემი პენსია ვერ წვდება. ორი წლის წინ, ერთმა ქალმა მითხრა, მოგივლი, თუ ბინას დამიმტკიცებო, ერთი-ორი თვე ვაცხოვრე ჩემთან უფასოდ, იქით ვაჭმევდი. მერე მითხრა, დამიმტკიცე ბინა, ბანკში ჩავდებ, ბიზნესს დავიწყებ და, ფული რომ გამიჩნდება, მოგივლიო. ვერავის ვენდობი, შვილო, თაღლითებითაა ქვეყანა სავსე. ეგრე ჩემი მეზობელი გაბრიყვდა — დაუმტკიცა ბინა და მერე, სახლიდან გამოაგდეს. პატრული გამოიძახა იმ საცოდავმა, მაგრამ თურმე, იმ არაკაცს გაყიდვაზე მოუწერინებია ხელი. შეწუხდა პატრულიც, მაგრამ რა ექნათ? თქვეს, კანონი კანონია და ჩვენ ვერაფერს შევცვლითო.

„ვახურდავებ ან ვყიდი ბინას“ — ამ წარწერით ხალხში მოხუცი მამაკაცი ტრიალებს.

— რამდენად ყიდით?

— 75 ათასად მინდა, ან ორი 2-ოთახიანი ბინა.

— რა ამბავია? — რეპლიკა ესროლა ახალგაზრდა ქალბატონმა.

— ნახალოვკაში, კერძო სახლია. რძალმა მოინდომა მარტო ცხოვრება და იძულებული ვარ, გავყიდო ან გადავცვალო. უკიდურეს მდგომარეობაში ვარ, თორემ ჩემი ხელით აშენებულ სახლს შეველეოდი? ვფიქრობდი, ერთი ბიჭი მყავს, შვილიშვილებთან სიამტკბილობაში გავატარებ სიბერეს-მეთქი, მაგრამ რძალი შემოვიდა ისეთი, დაუჟინია, მარტო ცხოვრება მინდაო. ეს რა მოდა შემოიღეს ამ ახალგაზრდებმა, აიტაცეს ვიღაც სულელის ნათქვამი, ახალგაზრდა ოჯახი ცალკე უნდა ცხოვრობდესო. ადრე თაობები ვცხოვრობდით ერთჭერქვეშ, მეტი სიყვარულიც იყო, მოხუცის პატივისცემაც და ბავშვებიც ბებია-ბაბუასთან სხვანაირად იზრდებოდნენ.

ქართველი ფიზიკოსის გამოგონებით ნასა დაინტერესდა

დავით დევიძე
593-219-042

რასაც ახლა წაიკითხავთ, შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ: ქართველმა ფიზიკოსმა ბიძინა მინდორაშვილმა შექმნა თეორია, რომელიც კოსმოსურ ტექნოლოგიებში რევოლუციას მოახდენს. ამ თეორიით ასაგები კოსმოსური აპარატების ნახაზი მინდორაშვილმა ნასა-ს გაუგზავნა და... ნასა-მ ქართველი ფიზიკოსი აშშ-ში მიიწვია. კონკრეტულად, რა გამოგონებაზეა საუბარი და რით დამთავრდა ნასა-სთან სამუშაო კონტრაქტის დადების საკითხი? — „ვერსია“ ქართველ გამომგონებელს, ფიზიკოს ბიძინა მინდორაშვილს ესაუბრა.

— საქმე ნეიტრონული ტექნოლოგიებით დამზადებულ საფრენ აპარატს, უფრო ზუსტად, მომავლის ძრავას ეხება, რომლის გამოყენებაც ყველაფერში შეიძლება — წყალქვეშა ნავებიდან დაწყებული, კოსმოსური ხომალდებით დამთავრებული.

— ახალი ძრავის დამზადებამდე რამ მიგიყვანათ?

— თეორიამ, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩამოვაყალიბე.

— ამ თეორიას რა ჰქვია?

— „სივრცისა და მისი გრავიტაციის ფიზიკური თეორია“... მკითხველისთვის ადვილი გასაგები რომ იყოს, რაზეა საუბარი, ტექნიკურ ტერმინოლოგიას თავს ავარიდებ და შევეცდები, ყველაფერი მარტივად აგიხსნათ: ამ თეორიას იქამდე მივყავართ, რომ შესაძლებელია, ახალი ტიპის ძრავის შექმნა, სადაც ნეიტრონი წარმოდგება, როგორც ენერგომატარებელი.

— ანუ, კოსმოსურ ხომალდში ენერგიის წყარო წყალბადი კი არა, ნეიტრონი იქნება. ეს რას გვაძლევს?

— რას გვაძლევს და, მძლავრ მაგნიტურ გაფართოებად ენერგიას, რომელიც სიჩქარეში აისახება. უკეთ რომ აგიხსნათ, ერთ მაგალითს მოვიყვან: დღეს დედამიწიდან მარსამდე თანამედროვე ხომალდი მისვლას 7 თვეს უნდება. ასეთი ტიპის რაკეტით კი, შესაძლებელია, ეს მანძილი 10-15 წუთში (!) დაიფაროს და ეს, თავისთავად, კოლოსალური განსხვავებაა. ამ ხომალდის ნახაზი, თავისი აღწერილობით, ნასა-ში გავგზავნე. მოეწონათ და გამომიგზავნეს სპეციალური წერილი, სადაც მთხოვდნენ, ყველაფერი დაწვრილებით აღმეწერა. ამასთან, ნასა-მ სპეციალური ელექტრონული გვერდი გამომიყო და დღემდე მომდის წერილები აშშ-ს კოსმოსური სააგენტოდან. ყველაფერი აღვწერე და გავგზავნე ნასა-ს სპეციალური კოდური ნომრით. ამის მერე მიმიწვიეს ჯერ კონფერენციაზე, შემდეგ კი, ნასა-ს შეკრებაზე ახალ ორლეანში. იქ ჩასვლის შემდეგ უნდა გაგვეფორმებინა კონტრაქტი და ჩემი მეთვალყურეობით დაგვეწყო კოსმოსური ხომალდების აგებაზე მუშაობა, მაგრამ ვერ წავედი — არავინ დამაფინანსა.

— არადა, გრანდიოზულ პროექტზეა საუბარი. არ გიცდიათ, ხელისუფლებისთვის მიგემართათ? ეს ხომ მთელი ქვეყნის პიარი იქნებოდა.

— სააკაშვილის რეზიდენციაში ვიყავი. თავიდან დამპირდნენ, გაგიშვებთო. ვინმე საჯაია იყო, რუსლანი, რაღაც საბუთები მომთხოვა, მოგვიტანეო. როცა ნასა-ს მიერ გამოგზავნილი მოწვევა და ყველა დოკუმენტაცია, რისთვისაც ეს ვიზიტი იყო საჭირო, მივიტანე, დაფინანსებაზე რატომღაც უარი მითხრეს... შემრცხვა, ნასა-ს ხომ არ მივწერდი, ჩამოსასვლელი ფული გამომიგზავნე-მეთქი. ასეთი რამ მიუღებელია.

— რა თანხა გჭირდებოდათ?

— 5 ათასი დოლარი. ეს თანხა მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯისთვის იყო საჭირო.

— მერე, სააკაშვილისთვის 5 ათასი დოლარი რა იყო?

— არაფერი, მაგრამ იმით, რამაც ნასა დაინტერესა, ესენი არ დაინტერესდნენ. არადა, საუბარი ფუნდამენტურ პრობლემებზეა. ხომალდს შეუძლია, განავითაროს სინათლის ნაწილაკის — ფოტონის სიჩქარე, წამში 300 ათასი კილომეტრიც.

— ეს განცხადება ფანტასტიკურად ჟღერს. ამ საკითხებს ზოგადად ვიცნობ და ვიცი, რომ აინშტაინის თეორიის თანახმად, ერთ ფიზიკურ სხეულსაც კი არ შეუძლია, სინათლის სხივთან მიახლოებული სიჩქარე განავითაროს. თქვენი გამოგონებით, ამ თეორიის გადასინჯვა ხდება?

— აინშტაინის თეორია მართალია და მისი გადასინჯვა კი არა, გაგრძელება ხდება. ნეიტრონები, რომლებიც გარს ერტყმის, ხომალდს, ზომისა და წონის მიუხედავად, ერთგვარ ფოტონად აქცევს. ასე მიიღება სიჩქარე, რომელზეც დღემდე ფანტასტიკოსი მწერლები წერდნენ.

— ასეთი ხომალდით, მართლაც, ფანტასტიკური პროექტების განხორციელება იქნება შესაძლებელი — კოსმოსში სწრაფი მოგზაურობა.

> **— ამ ხომალდით გალაქტიკიდან ვერ გაფრინდები, მაგრამ მზის სისტემის შიგნით თავისუფლად იმოძრავებ. რაც შეეხება მზის სისტემიდან გასვლას, ყველაზე ახლო ვარსკვლავი ჩვენგან ორნახევარი სინათლის წლითაა დაშორებული. არ მგონია, ვინმე დაჯდეს გინდაც სინათლის სისწრაფით მოძრავ ხომალდში. ახლა ამაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ არსებობს მეორე ტიპის ხომალდის აგების საშუალება, სადაც სისწრაფე აღარაა საჭირო და წინა პლანზე სხვა განზომილებები გამოდის, რომელთა შესახებ საუბარი აქ უადგილოა, თუმცა მოკლედ გეტყვით, რომ ამ ხომალდით მოხდება გადაადგილება ასობით, ათასობით სინათლის წლის მანძილზე თითზე ჩამოსათვლელი საათების განმავლობაში (?!).**

— მართლაც, ფანტასტიკურ თემაზე საუბრობთ. ნასა-ს თქვენი აშშ-ში ჩაყვანა აღარ უცდია?

— ნასა-ს კი უნდა, მაგრამ საქართველოში მდგომარეობა შეიცვალა და მირჩევნია, ყველაფერი აქ გავაკეთო. გვყავს კარგი ფიზიკოსები, მაგალითად, ისეთი, როგორიც გია დვალია. მათთან ერთად შესაძლებელია ამ პროექტის განხორციელება, მით უმეტეს, რომ რამე ახალი ხელსაწყო თუ დეტალი არაა საჭირო. მთელი რიგი ტექნოლოგიები არსებობს, რომლებსაც, უბრალოდ, თავმოყრა უნდა.

— რას გვაძლევს ყველაფერი ეს?

— საქართველო ხდება რევოლუციის ავტორი კოსმოსურ ტექნოლოგიებში. ამას რომ გავაკეთებთ, მერე ნასა აქ თვითონ ჩამოვა. ყველანი ჩემთან მოვლენ...

P.S. ერთი სიტყვით, თუ ყველაფერი ეს მართალია და ქართველი ფიზიკოსის თეორია პრაქტიკითაც დადასტურდა, ქართველები კოსმოსურ ტექნოლოგიებში, მართლაც, გრანდიოზულ ცვლილებას შევიტანთ. წინა ხელისუფლებას ეს არ აინტერესებდა და იქნებ, ახალმა მაინც მიაქციოს ყურადღება იმ ნიჭიერ გამომგონებლებს, რომლებიც, საბედნიეროდ, ბევრი გვყავს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება ბიძინა მინდორაშვილის პროექტის განხორციელების შემთხვევაში? — ყველაზე დიდი ტექნიკური ინოვაციების მქონე ქვეყანა გავხდებით, რაც საქართველოს ფანტასტიკურ სიკეთეს მოუტონს. ამიტომ, საინტერესოა, რა რეაქცია ექნებათ ქვეყნის მესვეურებს ქართველი ფიზიკოსის ზემოხსენებულ სენსაციურ თეორიასთან დაკავშირებით — სააკაშვილივით მიაგდებენ მას თუ საფუძვლიანად შეისწავლიან...

სომხეთი, შესაძლოა, რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს

რუსეთის პოლიტიკური წრეების კულუარებში რუსეთის ფედერაციაში სომხეთის ჩართვის საკითხი განიხილება. როგორც რუსეთის დიპლომატიური სტრუქტურებიდან წყარო იტყობინება, რომელსაც არ სურს საკუთარი ვინაობის გამჟღავნება, მოსკოვს მიაჩნია, რომ მოვიდა უფრო აქტიური მოქმედებების დრო პოსტსაბჭოთა სივრცეში. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარქისიანის წინასწარი თანხმობა მიღებულია.

რუსეთთან შეერთება თვითონ სომხებისთვის მიწოდებული იქნება, როგორც შესაძლებლობა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა, რისგანაც დამოუკიდებლად თავის დაღწევის პერსპექტივა ახლო თვალსაწიერზე არ ჩანს. ამას გარდა, მოცემული პერსპექტივა დაკავშირებული იქნება საგარეო საფრთხის სამომავლო ნეიტრალიზებასთან.

ეს წლები სომხეთი რუსეთზე ეკონომიკურადაა დამოკიდებული. მთელი რიგი მსხვილი დარგები და საწარმოები ვალის გადასახადების სახით, გადაცემულია რუსეთისთვის. ჯერ კიდევ სომხეთის კონტროლქვეშ მყოფი მსხვილი კომპანიებიც უზარმაზარი ჩრდილოეული მეზობლისკენ მიჩოჩავენ. მაგალითად, ავიაკომპანია „არმავიას“ გაბანკროტების გამო, ერთადერთი პოტენციური მყიდველი რუსეთია.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ რუსეთი არასოდეს ჩქარობდა სომხეთში ინვესტიციების ჩადებას. შესაძლოა, ეს სომხეთთან დაკავშირებით კრემლის შორსმიმავალი გეგმის ნაწილი იყო, რაც სომხეთის სრული ბანკროტის მდგომარეობამდე მიყვანაში მდგომარეობდა, რის შემდეგაც რუსეთთან შეერთების საკითხი დაისმებოდა.

სომხეთი სუვერენიტეტის ნაწილს ყოველწლიურად კარგავდა: **„სომხეთის დამოუკიდებლობის პირველ წლებში ის თანდათანობით თმობდა სუვერენიტეტის ნაწილს, მაგრამ შემდეგ ამან სტიქიური ხასიათი მიიღო და ქვეყნის თითქმის მთელი ინფრასტრუქტურა რუსეთზე დამოკიდებული გახდა“,** — წერს „ინოსმი.რუ“-ს მიმომხილველი.

სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს, რომელსაც პუტინმა უფლება მისცა, ხელმეორედ არჩეულიყო, ესმის, რომ ამ ნდობას გამართლება სჭირდება. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ხელახლა არჩევის შემდეგ, თავისი პირველი ვიზიტის დროს მოსკოვში, სარქისიანმა დაადასტურა თანხმობა რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით და განიხილა ამ მიმართულებით მოქმედების გეგმა.

ვიზიტის შემდეგ სარქისიანმა განაცხადა, რომ **„ვიზიტი იყო კანონზომიერი, რადგან რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მასთან გვაერთიანებს, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები. არჩევნებით არაფერი მთავრდება, ახალი სამუშაოები იწყება და უნდა გავაცნობიეროთ, რას ელოდებიან ჩვენგან პარტნიორები. ეს ეხება გაზს, პოლიტიკურ ინტეგრაციას, „ოდკბ“-ს, საბაჟო კავშირს, აფხაზეთის რკინიგზას“.**

მოსალოდნელია, რომ სომხეთი რუსეთის შემადგენლობაში შევა, როგორც ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტი. შედარებითი სიახლოვე ჩრდილოკავკასიასთან განსაზღვრავს მის ჩართულობას ამ არეალში. მუშავდება საკითხი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური მხარისთვის კავკასიის სახელის მინიჭებისა, რაც განპირობებულია ფედერაციაში შემავალი სუბიექტების გეოგრაფიის გაფართოებით.

საინტერესოა, რომ ორი წლის წინ პარტია „დაშნაკცუტუნის“ ერთ-ერთი ლიდერი ვან ოვანესიანი აკეთებდა პროგნოზს იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობდა რეალური საფრთხე სომხეთის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადაქცევისა კალინინგრადის პრეცედენტზე მითითებით, რომელსაც რუსეთთან სახმელეთო კავშირი არ აქვს.

„შემაშფოთებელია სომხეთიდან რუსეთში მიგრაციის მასშტაბი. რუსეთში გაედინება აქტიური და ხარისხიანი ნაწილი სომხური საზოგადოებისა. ეს პრობლემა შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური, ეკონომიკური და გნებავთ, ფილოსოფიური თვალსაზრისითაც. ამ მოვლენას უნდა ვებრძოლოთ“, – აცხადებდა მაშინ ოვანესიანი.

ახლა იმ სომხების რაოდენობის გაზრდით, რომლებიც მთლიანად რუსეთზე არიან დამოკიდებულნი, რუსეთისთვის გაცილებით ადვილი ხდება სომხეთის შეერთება.

„ივერონი“

„თუ ვინმეს ჩემი არსებობა აღიზიანებს, მაპატიოს, რომ ვარსებობ!“



სოხუმის დევნილი თეატრის მმართველი, შეთავაზების შემთხვევაში, მოსკოვში გასტროლზე უარს არ იტყვის

ნათია ვასაძე
555-98-61-65

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სოხუმის თეატრს მიაშურა და 28 წელია, ამ თეატრის ცხოვრებით ცხოვრობს... დევნილობის ბედიც მშობლიურ თეატრთან ერთად გაიზიარა და ოცი წლის განმავლობაში სოხუმისგან შორს ყოფნის ტკივილი წამითაც არ განელებია... თეატრის მმართველად რომ დაინიშნა, ყოფილი მმართველი, დიმა ჯაიანი გაუნაწყენდა და ღალატში დაადანაშაულა... ძველი მეგობრისგან სხვა ბევრი ტკივილიც ახსოვს... მოკლედ, თეატრალური მოღვაწეობის სასიამოვნო და მტკივნეულ დეტალებზე „ვერსიას“ მსახიობი, სოხუმის თეატრის ამჟამინდელი მმართველი მერაბ ბრეკაშვილი ესაუბრა.

— თეატრალური ინსტიტუტი რომ დავამთავრე და სოხუმში დავბრუნდი, თეატრს უკვე გოგი ქავთარაძე ხელმძღვანელობდა. ბატონმა გოგიმ დასში მთელი ჯგუფი აგვიყვანა და ჩვენი სადიპლომო სპექტაკლიც „გააკეთა“.

— ომი რომ დაიწყო, სოხუმში იყავით?

— არეულობა რომ დაიწყო, ლესელიძეში, აქციაზე ვიყავით. მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძეც იქ იყვნენ... მახსოვს, რომ ვბრუნდებოდით, გუდაუთის გზა უკვე გადაკეტილი იყო.

— დედაქალაქმა როგორ მიგიღოთ?

— ისე, როგორც დედაქალაქს ეკადრება: თავდაპირველად, რუსთაველის თეატრმა შეგვიფარა, სადაც საკმაოდ დიდი ხანი დავყავით. მერე, თეატრში რემონტი დაიწყო და რუსთაველის თეატრის დასიც სპექტაკლებს პროფკავშირების სახლში ატარებდა. რაღა უნდა გვექნა? — სხვადასხვა თეატრში დავიწყეთ მოგზაურობა.

— თეატრისთვის შენობის გამოყოფის თხოვნით, არავის მიმართეთ?

— თეატრისთვის შენობის გამოყოფა ძალიან დიდ თანხებს მოითხოვდა. იყო სხვა პრობლემებიც, რომლებზეც საუბარი არ მინდა... დაახლოებით, ერთი წლის წინ, ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა და უზნაძის ქუჩაზე ჩვენი თეატრისთვის შენობა გამოიყო. შენობა სარემონტოა და ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი — სცენა, დარბაზი, საგრიმიოროები... იმედია, კულტურის სამინისტრო სარემონტო თანხებსაც მოიძიებს.

— კულტურის ამჟამინდელი მინისტრიც სოხუმელია და მშობლიური ქალაქის თეატრს, იმედია, ზრუნვას არ მოაკლებს.

— გურამ ოდიშარიას კარგად ვიცნობ — შესანიშნავი პიროვნება და მწერალია. მისი პიესა — „ზღვა რომელიც შორია“ თემურ ჩხეიძემ ჩვენს თეატრში დადგა. მჯერა, ბატონი გურამი, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი თეატრისთვის ყველაფერს გააკეთებს. შარშანდელთან შედარებით, წელს დაფინანსება გაგვიზარდეს, რამაც საშუალება მოგვცა, თანამშრომელთა უმრავლესობისთვის ხელფასი მოგვემატებინა. იმედია, ყველა პრობლემის მოგვარებას ეტაპობრივად შევძლებთ.

— ახალი მსახიობები გყავთ?

— სამწუხაროდ, ბევრი მსახიობის მიღების საშუალება არ გვაქვს. ახლახან, ორი ახალგაზრდა მსახიობი ავიყვანეთ. საშუალება რომ იყოს და შტატი მქონდეს, რამდენიმეს კიდევ მივიღებდი. თეატრს ნამდვილად სჭირდება ახალი სახეები... თანაც ჩვენს თეატრში ახალგაზრდებს სამაგალითოდ ბევრი მსახიობი ეყოლებათ — ლორენა პაპიაშვილი, ლიანა მიქაშავიძე, ნუგზარ წერედიანი... ჩვენთან მაღალი დონის პროფესიონალები არიან და, პირადი პრობლემების მიუხედავად, ჩვეული პროფესიონალიზმით მუშაობენ. მაგალითად, ლორენა პაპიაშვილს აღარავინ დარჩა — შვილი ომში დაელუპა, ქმარმა, ეს ამბავი რომ შეიტყო, თავი მოიკლა. ქალბატონი ლორენა კი, გამოდის სცენაზე და ჩვეული ენერგიით თამაშობს.

— ვიდრე მმართველად დაინიშნებოდით, თეატრში რა პრობლემები იყო?

— იმ დარღვევებს თუ გულისხმობთ, რის გამოც, წინა მმართველი გაათავისუფლეს, ამაზე საუბარს აღარ ვაპირებ. სოხუმის თეატრის შემოქმედებითი დონით კი არავინ ყოფილა უკმაყოფილო. ეს თეატრი კარგი არტისტებითა და სპექტაკლებით, დასაბამიდანაა განებივრებული. ბუნებრივია, რეპერტუარში არის ჩვეულებრივი სპექტაკლები, მაგრამ წარმატებული სპექტაკლი უფრო მეტია: „გუშინდელნი“, „მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები“, „პრემიერა“, „კირკასის უცნაური გარდაცვალება“ და სხვა.

— როგორი უნდა იყოს სპექტაკლი, მაყურებელი რომ არ მოაკლდეს?

— მაყურებელს დარბაზიდან გასვლის მერეც უნდა გაჰყვეს ემოცია: შეიძლება, რაღაცას ეთანხმებოდეს და რაღაცას — არა, მაგრამ თუ სპექტაკლმა დააფიქრა, ესე იგი, შედგა. მაყურებელს თეატრში დასვენება უფრო უნდა, ზოგიერთი სპექტაკლი კი მძიმე და დამთრგუნველი საყურებელია. ასეთ დროს, ვცდილობთ, მძიმე თემა მსუბუქად ავხსნათ და მაყურებელს იმედის სხივი დავუტოვოთ.

— წელს სოხუმის დაცემიდან 20 წელი სრულდება. ხომ არ გეგმავთ, ამ ტრაგიკულ თარიღს სპექტაკლი მიუძღვნათ?

— რა თქმა უნდა, ვაპირებთ. თემა ძალიან რთულია — ვერც მსუბუქად გააკეთებ და დამძიმებაც არ ივარგებს. ისიც ვიცი, ვინ დადგამს სპექტაკლს, მაგრამ წინასწარ არაფერს ვიტყვი. იმდენად იდეალური ჩანაფიქრია, მისი ნახევარიც რომ შესრულდეს, ჩავთვლი, რომ სპექტაკლი შედგა. ყველა სპექტაკლი ბეწვის ხიდზე გავლაა — სულ გაქვს შიში, გამოვა თუ არა. რომ გაქებენ, კარგია, მაგრამ ჯანსაღი კრიტიკაც აუცილებელია. ოღონდ ჯანსაღი კრიტიკა და არა — ჩასაფრებული ადამიანის პოზიცია.

— ე.წ. ჩასაფრებული კრიტიკა ხშირად მოგისმენიათ?

— ის, რაც მომისმენია, კრიტიკა არაა, ამიტომ თუ ვინმეს ჩემი არსებობა აღიზიანებს, მაპატიოს, რომ ვარსებობ!

— ხმაურიანი აღმოჩნდა მმართველად თქვენი დანიშვნა — ყოფილმა მმართველმა თქვენი მისამართით ბევრი შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა... ამჟამად რა ურთიერთობა გაქვთ დიმა ჯაიანთან?

— თუ ჩხუბის შემდეგ, მხოლოდ ერთ მხარეს უნდა დაახლოება და მეორე ამის საშუალებას არ იძლევა, შერიგების სურვილიც იკარგება. დიმა ჯაიანი იმას, რაც მოხდა, არასოდეს შეეგუება. რაც შეეხება ხმაურსა და შეურაცხყოფას, ეს ჩემს ინტერესებში არ შედიოდა. არც ერთი მმართველის წასვლით სოხუმის თეატრი არ დაილუპება, უბრალოდ, წასვლასაც ფორმა უნდა ჰქონდეს — ადამიანს ლამაზად წასვლა უნდა შეგეძლოს. ეს თეატრი არც მამაჩემს დაუარსებია. სანამ ვარ, ღირსეულად ვიქნები და ჩემს მერე, თუ ვინმე საქმეს უკეთესად გააკეთებს, მასზე ნაწყენი რატომ უნდა ვიყო?

— რეჟისორობა არ გიცდიათ?

— არა და არც მომავალში ვაპირებ. რეჟისორობა აბსოლუტურად სხვა პროფესიაა, თუმცა ბევრმა მსახიობმა მოსინჯა ძალები რეჟისურაში და გამოუვიდა. მირჩევნია, რაც ვიცი, ის ვაკეთო, სპექტაკლები კი სხვებმა დადგან.

— რეჟისორის საქმეში, ალბათ, ნაკლებად ერევით?

— ნაკლებად კი არა, არასოდეს ვერევი. არც პიესის განხილვის დროს მიმიცია მითითება რეჟისორისთვის, რა, როგორ გააკეთოს და არც როლების განაწილებაში ჩავრეულვარ. რეჟისორს აქვს თავისი ხედვა და როგორც წარმოუდგენია, სპექტაკლი ისე უნდა დადგას. რომელიმე მსახიობის როლზე აყვანა რომ ვურჩიო, სხვა მსახიობის „დაბლოკვა“ გამომივა, მე კი არავის „დაბლოკვა“ არ მინდა და არც ის მომწონს, მე რომ „მბლოკავენ“.

— თქვენი თეატრი პოლიტიკურ მოვლენებში იყო ჩართული?

— თეატრში ერთმანეთისგან განსხვავებული პოზიციის ადამიანები მუშაობენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საქმის კეთებაში. პირადად მე, პოლიტიკაში აქტიურად ჩართული არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა როცა ქვეყნის ბედზეა საუბარი, არ შემიძლია, გვერდზე გავდგე და ვთქვა, აპოლიტიკური ვარ-მეთქი.

— თეატრის მმართველებს ხშირად ნაციონალების მიერ ჩანერგილებს გიწოდებდნენ. გწყინდათ?

— სულერთი ნამდვილად არ იყო, ჩემზე რას იტყოდნენ, მაგრამ ვინც მიცნობს, იცის, რომ არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, მათ შორის — არც ნაცმოძრაობისა.

— დღეს თქვენი თეატრი რომ დევნილია, ამაში ლომის წილი რუსეთის მთავრობას მიუძღვის. როგორ ფიქრობთ, კულტურული ურთიერთობების დათბობა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების მოგვარებას?

— ფაქტია — ომით აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ, ალბათ, საჭიროა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. მოკლედ, სწორი პოლიტიკური სვლებია საჭირო.

— მოსკოვში გასტროლზე ჩახვიდოდით?

— რატომაც არა?! მიმაჩნია, რომ კულტურა ისევე, როგორც სპორტი და მედიცინა, საზღვრებსგარეშე უნდა იყოს. რუსეთში უამრავი ქართველი, მათ შორის, სოხუმელი ცხოვრობს. ბოლოს 2000 წელს ვიყავით მოსკოვში და დარბაზი ქართველებით იყო სავსე.

— აფხაზეთთან კავშირი გაქვთ?

— თავის დროზე, ვმეგობრობდით, მაგრამ როცა არეულობა დაიწყო, ყურება ამრეზით დაგვიწყეს და ჩვენც გავუცხოვდით. სოხუმში ასეთ ვითარებაში ჩამსვლელი არ ვარ.

— „თეატრების შესახებ კანონში “ შესული ცვლილებების მიხედვით, მმართველის პოსტი უნდა გაუქმდეს...

— ამასთან დაკავშირებით თეატრში უკვე ვმუშაობთ. თეატრს ჰყავს რეჟისორი, მალე ეყოლება მთავარი რეჟისორი, დამდგმელი რეჟისორი... დროებითი სამხატვრო ხელმძღვანელიც გვყავს. ახლა სამხატვრო საბჭომ თავისი კანდიდატურა უნდა წარადგინოს კულტურის მინისტრთან, შემდეგ კი, სამხატვრო ხელმძღვანელი წარადგენს დირექტორის კანდიდატურას. დასმა უმრავლესობით უნდა გადაწყვიტოს, ვისი დანიშვნა აჯობებს თეატრისთვის. ახალ კანონში ბევრი რამ ჯერ კიდევ ვერ გავიგე, მაგრამ ვცდილობ, გავერკვე.

— თუმცა ამბობენ, ამ კანონში ახალი არაფერია და თეატრები ძველ მოდელს დაუბრუნდებიანო.

— მოდელი, მართლაც, ძალიან ძველია. ასე ვიტყოდი: Закон суров, но он закон.

— შეიძლება, დირექტორის თანამდებობაზე გიხილოთ?

— არაა გამორიცხული, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. როგორც დასი გადაწყვეტს, ისე იქნება.

— ანუ თუ დასი მხარს არ დაგიჭერთ, შეგიძლიათ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, სცენაზე გადაინაცვლოთ?

— სპექტაკლებში ახლაც ვთამაშობ და მომავალშიც ვითამაშებ. რა თქმა უნდა, უხმაუროდ წავალ — საკუთარ ამბიციებს თეატრი არ უნდა გადააყოლო.

— სოხუმში დაბრუნებაზე ფიქრი ხომ არ შეგიწყვეტიათ?

— საშინელებაა, საკუთარ ქვეყანაში დევნილი თეატრი გერქვას. სოხუმში დაბრუნება ჩვენი ყველაზე დიდი ოცნებაა. ქართველებს ყველაფერი უცებ გვინდა, რეალურად კი, ამას გარკვეული დრო სჭირდება. გუბეში რომ წყალი დამყაყდება, ღარი თუ არ გაუკეთე და პარალელურად, უწყვეტი ნაკადული არ მიუშვი, ვერ დაიწმინდება. მჯერა, რომ აფხაზეთში ნელ-ნელა და სწორი ნაბიჯებით, აუცილებლად დავბრუნდებით!

ვერსიანიუსი

„ევროვიზიაზე“ ქართველმა კონკურსანტებმა მე-15-ე ადგილი დაიკავეს

2013 წლის „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლები — სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი, სიმღერით Waterfall მე-15 ადგილზე აღმოჩნდნენ. 58-ე „ევროვიზიის“ გამარჯვებული დანიის წარმომადგენელი ემილიე დე ფორესტი გახდა, საკონკურსო სიმღერით Only Teardrops. მან 281 ქულა მოიპოვა, ამ გამარჯვებით კი დანიამ „ევროვიზია 2014“-ის მასპინძელი ქვეყნის სტატუსი მიიღო. მეორე ადგილზე აზერბაიჯანის წარმომადგენელი ფარიდ მამედოვი აღმოჩნდა 234 ქულით, ხოლო მესამე ადგილი უკრაინის კონკურსანტმა ზლატა ოგნევიჩმა დაიმსახურა 214 ქულით.

„ევროვიზიის“ რიგით 58-ე კონკურსს შვედეთის ქალაქი მალმე მასპინძლობდა, კონკურსში 39 ქვეყანა მონაწილეობდა. შოუს პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განახორციელა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მხარდამჭერი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყო. საკონკურსო სიმღერა Waterfall ქართველებისთვის შვედმა კომპოზიტორმა ტომას ჯეისონმა შექმნა. სცენოგრაფიაზე რეჟისორი ლაშა ონიანი მუშაობდა. სასცენო კოსტიუმები ქართველი კონკურსანტებისთვის დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემ შექმნა. საქართველომ „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-12 ადგილი დაიმსახურა, სიმღერით My Story. 2008 წელს ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ღურწკაიამ წარადგინა, სიმღერით Peace Will Come. მომღერალი 11-ე ადგილზე აღმოჩნდა. 2009 წელს, საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული ჯგუფი სტეფანე და 3G გახდა, თუმცა მოგვიანებით, საქართველომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. 2010 წელს ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა. კონკურსზე, რომელშიც 39 ქვეყანა მონაწილეობდა, მან მეცხრე ადგილი დაიკავა. 2011 წლის „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა Eldrine, სიმღერით One More Day მეცხრე ადგილი დაიკავა. 2012 წლის ევროფესტივალს ქართველი კონკურსანტი ანრი ჯოხაძე სიმღერით, I'm a Joker ნახევარფინალური ტურიდან გამოეთიშა.

„ინტერპრესნიუსი“

ქვათა მატიანე

მტკვრის საიდუმლო

დასავლეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი

ახჩიის გვირაბში შესასვლელი და მის ძირში მდებარე ეკლესია

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, **ოლოდაში**, კლდეში ნაკვეთი მონასტრის გარდა, სხვა მონასტერიც არსებობდა. იგი მტკვრისა და **ქარზმეთისწყლის** (თუ არ ვცდები, მას **ხინგრისწყალიც** ჰქვია) შესართავთან, ზედ თურქეთ-საქართველოს ამჟამინდელ საზღვარზე მდებარეობდა.

ახალგაზრდა მესაზღვრეების თანხლებით, ოლოდის კლდის ნამონასტრალიდან ქვევით ვეშვებით და მტკვრის მეორე ნაპირზე ფიცარაყრილი ხიდით გადავდივართ. გაღმა გასულები ჯერ კლდეზე ვებღოტებით და მერე ვიწრო ბილიკს მივუყვებით სამხრეთით. მალე თურქეთის ტერიტორიას 50 ნაბიჯზე მივუახლოვდით.

ზუსტად ამ ადგილზე, ერთი მცირე დარბაზული ეკლესიის ნაშთია, რომლის პერანგი სრულიად გაუძარცვავთ და მისი თლილი ქვები თავიანთი საჭიროებისთვის გაუზიდავთ რუს მესაზღვრეებს.

ოლოდის ეკლესია და მისი ერთ-ერთი იმპოსტი

სამცხე-ჯავახეთის ცნობილი მკვლევარი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც აქაური ძეგლები 1932-33 წლებში შეისწავლა, ოლოდას ოსმანად მოიხსენიებს და აღნიშნავს — მცირე ეკლესიის ზევით კიდევ ერთი ტაძარი დგასო. და მართლაც, ორასი მეტრით ზევით, კვლავ ხევისა და საზღვრის პირზე, უსურვაზითა და სუროებით დაბურული, ოსტატურად ნაგები კედელი მოჩანს. ეს ტაძრის შვერილი აბსიდია. მოგვიანებით, ტაძრისთვის სამხრეთიდან პორტალით დაგვირგვინებული ნავი მიუშენებიათ, რომლის კედლები გადმოქანებულია და ალბათ, მალე წაიქცევა, გადახურვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უკამაროდაა დარჩენილი ძირითადი დარბაზიც, რომელიც ჩრდილოეთ მხარეს კვერცხისებრი ფორმის სამი გახსნილი თაღით სრულდება. ამ თაღნარით მთავარი დარბაზი კლდეში გამოკვეთილ ასიმეტრიულ დარბაზს უკავშირდება. ტაძარი სამნავიანი ბაზილიკის ერთგვარი ვარიაციის შთაბეჭდილებას ტოვებს და თუმცა კი, XIII საუკუნის ძეგლად არის მიჩნეული, XI საუკუნის ნაგებობასაც მოგვაგონებს.

ტაძრიდან დასავლეთით, ოროკოებზე საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებია შეფენილი. **ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ არსებული ცნობა, ოლოდაში მცხოვრები 21 ქრისტიანი ქართული კომლის შესახებ, მართალია. ამ დავთრის თანახმად, დასახელებულ 21 კომლში მღვდელი იაკობიცაა.**

ოლოდის ტერიტორიაზე, ასევე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ახლახან აღწერილი მონასტრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 2 კილომეტრში, ის ციხე-კოშკი და მაღალ კლდეში გამოკვეთილი პარეხებია, რომლებიც „მესხურ ქრონიკებშია“ ნახსენები.

... ოლოდიდან ვარძიისაკენ წამოსულები გზიდან და მტკვრიდან მარჯვენა მხარეს შეფენილ სოფელ **მირაშხანში** ვჩერდებით. მირაშხანზე ერთი ასეთი სიმღერა არსებობს: „შენ მირაშხანო-ბაღდადო, წალკოტო ყვავილოვანო“. და მართლაც, აქაურ ბაღებში ბევრია კაკალი, თუთა, ქლიავი, ჭანჭური, მრავალგვარი ვაშლი და მსხალი. **მე-19 საუკუნეში ქართველთაგან დაცლილ მირაშხანში ქურთები (თუ არ ვცდები, გრიგორიანული სარწმუნოების) დასახლდნენ და 1933 წლამდე რომ აქ ცხოვრობდნენ, ნიკო ბერძენიშვილის მოგზაურის ჩანაწერებიდან ჩანს. ახლა ამ სოფელში (1942 წლის შემდეგ) ქურთები აღარ არიან. ისინი გასული საუკუნის ბოლოს აჭარიდან მოსულმა ეკომიგრანტებმა ჩაანაცვლეს**. სოფლის ცენტრში, საფიხვნოზე რამდენიმე მათგანს გამოველაპარაკე და 1983-84 წლები გავიხსენეთ, როცა ხულოსა და ქედას რაიონებიდან ჩამოსახლებული ახალმონაშენები ხის სახლებში ცხოვრობდნენ და მეც მათი დასახლებიდან რამდენიმე რეპორტაჟი მოვამზადე გაზეთებისათვის. ახლა აჭარლებს სხვა რამეს ვეკითხები: — შემორჩენილია თუ არა სადმე ბუდეშური ჯიშის ვაზი, რომლითაც განთქმული იყო მესხეთი. აჭარლები ერთმანეთს შესცქერიან და მხრებს იწურავენ — არაფერი გვსმენიაო. არადა, ბუდეშური დავიწყებას ეძლევა. მხოლოდ სოფელ ატენში ნავაწყდი ადრე მას ორი მოსახლის კარმიდამოში. ერთგან ხეივნად იყო გაშლილი, მეორეგან კი სამი თუ ოთხი ძირი იყო ჭიგოზე შემოხვეული. ბედნიერებაა, თუ მისმა პატრონმა ვაზი ამრავლა ამის მერე.

აჭარელ მოსახლეობასთან გაბაასების შემდეგ სოფლის მახლობლად არსებული კლდეში ნაკვეთი კომპლექსისაკენ მივისწრაფით. კომპლექსის ქვედა სართულებზე მოხვედრა იოლია, რადგან მათთან ბილიკი მიდის. აქ ჩვენ რამდენიმე მცირე ოთახი და ერთიც უშველებელი, ეზოს მსგავსი დარბაზი გვხვდება. იგი დასავლეთის მხრიდან ერთ დროს მთლად გაშიშვლებულა და ამიტომაც მომდევნო ხანაში, გარკვეულ სიმაღლემდე ფლეთილი ქვით ამოუშენებიათ. **კიდევ უფრო მაღლა, ერთ-ერთ ოთახში, გვხვდება ის ცნობილი წარწერა, რომელიც მე-11 საუკუნის 60-იან წლებში არფასლანის თურქ-სელჩუკთა ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში ფარსმან თმოგველი ერისთავთ-ერისთავის დაღუპვას შეეხება.**

მირაშხანის კლდის ქვაბები სხვადასხვა ეპოქაში და მათ შორის XVI-XVII საუკუნეებშიც უნდა იყოს შექმნილი, როცა ადგილობრივი მოსახლეობა მათ სამალავებად იყენებდა თურქ-ოსმალთა ბატონობის ჟამს.

მირაშხანის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ზედ სამანქანო გზის თავზე, კლდეში ნაკვეთი კიდევ ერთი კომპლექსია. ამ ადგილს **ახჩია** ჰქვია, რაც თურქული ფულის ერთეულის „ახჩის“-გან უნდა მომდინარეობდეს. კომპლექსის პირველ მონაკვეთში მოხვედრა ძალზე იოლია სამხრეთიდან. ექსპედიციის წევრები მსგავს ადგილებში სამოგზაუროდ შემონახულ კვარს ცეცხლს ვუკუდებთ და ანთებული ჩირაღდნებით შევდივართ ქვაბებში, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმულ ორ გვირაბს წარმოადგენს. მათი სიგანე დაახლოებით, 3 მეტრია და, სავარაუდოდ, ტიხრებით იყო დანაწევრებული. გვირაბი მთავრდება კლდეზე გამავალი ბაქანით, საიდანაც მტკვრის ჭალისა და მირაშხანის ქვაბების ხედები იშლება. თუ კლდის შვერილზე ფრთხილად გავალთ და ხელმარცხნივ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ მორღვეული ქანების იქით კვლავ გრძელდება ქვაბები, მაგრამ მათში მოხვედრა მხოლოდ აღპინისტური აღჭურვილობის დახმარებითაა შესაძლებელი. როცა უკან ვბრუნდებით და სამანქანო გზაზე ჩავდივართ, აღმოვაჩენთ, რომ ეს ქვაბები ჩრდილოეთით გრძელდება და დარბაზული ეკლესიის თავზე გამოდის. კლდე აქაც მორღვეულია და ქვაბებში მოხვედრა ამჟამად აქედანაც შეუძლებელია. **რაც შეეხება დარბაზულ ეკლესიას, იგი ზედ სამანქანო გზის პირზეა აღმართული. დასავლეთის კედლით იგი კლდეზეა მიკრული. ნაგებია თლილი ქვით. საკურთხევლის სარკმლის თავზე დატანებულ ჯვარსა და ნახევარწრეს თუ არ ჩავთვლით, ტაძარი უსამკაულოა და შიგნითაც ძუნწად აღწევს დღის სინათლე. ინტერიერიც სუფთად გათლილი ქვების პერანგში ზის და ერთსაფეხურიანი პილასტრები ლამაზი თაროს მსგავსი, კაპიტელებით სრულდება. ეს ახალადაღდგენილი ეკლესია X საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.**

ახჩია-მირაშხანიდან ჩრდილოეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მაღალ კლდეებში გამოკვეთილია რამდენიმე ქვაბი, რომელთაც აქ **ნავარძიევს** უწოდებენ. რას გვეუბნება ეს სახელწოდება, ძნელი დასადგენია. იქნებ, ვარძიის მონასტრის აგება თავდაპირველად აქ იყო გამიზნული და შემდეგ გადაიფიქრეს?... ნავარძიევიდან კვლავ მტკვრის გაყოლებაზე, ამავე მარჯვენა მხარეს, ლამის ზედ მდინარის პირზე, ერთ დაბალ კლდეში, ორი მცირე ხვრელი მოჩანს. ამ ადგილსა და ტაძარს რამდენიმე სახელით იცნობენ აქ: **„სამერცხლე“, „ვერტაში“, „თავკვეთილა“**. ტაძარი უძველესი დროიდან იოანე ნათლისმცემლის სახელზე რომ ყოფილა გამოკვეთილი, ამას ბოლო სახელწოდება „თავკვეთილაც“ ადასტურებს. აქ ყოველი წლის 11 სექტემბერს, ანუ იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს, აღევლინება ხოლმე წირვა-ლოცვა. მაგრამ იბადება შეკითხვა — როგორ უნდა მოხვდე იქ, როცა არსაიდან არ უდგება ბილიკი? მას შემდეგ, რაც ყველა მცდელობის მიუხედავად, „თავკვეთილაში“ ვერ მოვხვდით, **ერთმა ადგილობრივმა კაცმა გვირჩია, რომ 11 სექტემბერს დავლოდებოდით. თურმე, მტკვარი ამ დღეს კლებულობს და მდინარეში გატოპვა ხერხდება. ნუ იტყვით და, მლოცველებიც ასე გადიან მტკვარში ყოველ წელს**. ეს რომ ასეა, შემთხვევით ხელში ჩავარდნილმა ფოტოსურათმაც ცხადყო, მაგრამ ახლა აგვისტოს ბოლოა. მართალია, მტკვარი აღარ ბობოქრობს, მაგრამ არც ისეთი მშვიდია, რომ თუნდაც სამხიდიანი ავტომანქანით შეჰბედო. ამის დასტურია გაღმა დარჩენილი ორხიდიანი „გაზ-66“. გასვლით კი გასულა, მაგრამ რამდენიმე დღეში წყლის დონეს ისე აუწევია, რომ უკან ვეღარ გამოსულა. არც ფეხით გატოპვა ეგების. წყალი წელს ზევითაა და მტკვრის ძალას ვერ დაუდგებით, თანაც ძვირადღირებული გადამღები ტექნიკაა სატარებელი!

თავკვეთილას კლდის ეკლესიის სარკმელი და მისკენ მიმავალი მრევლი მტკვარში

თავკვეთილაში მოხვედრის სურვილი იმდენად დიდია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი ვარძიიდან კარგად ცნობილი გზით აფნიაში ავა მანქანით, იქიდან ღართაში გადავა, მირაშხანისაკენ დაღმავალ გზას დაადგება, კანიონის ერთ მონაკვეთში ხელმარჯვნივ გადაუხვევს და სულ ასე, უფსკრულ და უფსკრულ ივლის სანამ თავკვეთილაში არ დაეშვება. თავკვეთილას ტაძარში კლდეში გაჭრილი ვიწრო ხვრელით და ქვის კიბით შევდივართ. თურმე, ნუ იტყვით და, იმ ორი ხვრელიდან, რომელიც გაღმა მხრიდან მოჩანდა, ერთი ამ კიბის გვირაბის დასაწყისი ყოფილა, მეორე კი ტაძრის დასავლეთის სარკმელი. ეს სარკმელი იმდენად ანათებს ეკლესიას, რამდენადაც ლოცვაში გართულ კაცს სჭირდება. თვალი ნელ-ნელა მკაფიოდ აღიქვამს მთელ ინტერიერს და სამ აბსიდს, რომელთა კონქები ერთ წრეში იყრის თავს. სამივე აბსიდი ნალისებრია, მაგრამ აღმოსავლეთისა საგრძნობლად ჭარბობს. მკლავში წყვილ-წყვილი ფოსიებია ამოკვეთილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ხის პატრონიკე იყო. დასავლეთის სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე ორსაფეხურიან ამბიონს ეცემა.

ნათლისმცემლის ყველა საყდრის აგებისას, კლდეში ნაკვეთია იგი თუ ქვით ნაგები, ხუროთმოძღვარი მას განსაკუთრებული იდუმალებით მოსავდა და არასდროს არ აძლევდა საზეიმო სახეს...

ავტორის ფოტოები

ჰოროსკოპი
20 მაისი

ვერძი — დღეს ბევრი ადამიანი შეეცდება თქვენთვის ნერვების მოშლას, მაგრამ შეძლებთ უველა წინააღმდეგობის გადალახვას და თავს აარიდებთ კონფლიქტებს. თვალი მიადევნეთ გარშემომყოფების ქცევებს. ახლა გაქვთ შანსი, თქვენი ნაცნობების ნამდვილი სახე შეიცნოთ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ნიღაბს ირგებდნენ.

კურო — კუროებს დღეს დაუოკებელი ფანტაზია შემოქმედებითი პროცესის მიუწვდომელ მწვერვალამდე აიყვანს. ჩაიძირეთ ხელოვნების სამყაროში და ცოტა ხნით დავიწყეთ არსებული პრობლემები.

ტყუპები — ეოველდღიური საზრუნავი იძულებულს გაგხდით, დღევანდელი გეგმები შეცვალოთ. არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე მიწვევაზე უარი თქვათ, მაგრამ ამის გამო ძალიან ნუ დაითრგუნებით, რადგან იეჯახში გატარებული დრო, განტვირთვაში დაგეხმარებათ.

კირჩხიბი — კირჩხიბები სერიოზული საუბრებისთვის უნდა მოემზადონ, მოვლენები იმაზე სწრაფად ვითარდება, ვიდრე ვარაუდობდით, არადა რადიკალური ცვლილებებისთვის მზად არ ხართ და ამიტომ, უმჯობესი იქნება, დაგეგმილ შეხვედრას სხვა დროისთვის თუ გადადებთ.

ლომი — დღეს არსებული ვითარება გაიძულებთ, ფინანსებზე დაფიქრდეთ. შესაძლოა, რაიმე საინტერესო იდეა გაგიჩნდეთ იმასთან დაკავშირებით, როგორ გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა და არც ისაა გამორიცხული, უოფილი ბიზნესპარტნიორებისგან მიიღოთ საინტერესო წინადადება.

ქალწული — დღეს თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ და საეკარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები ჩიხში შევა.

სასწორი — დღეს სასწორებს სხვისი პრობლემების გადაჭრა მოუწევთ და ვერც თხოვნაზე უარის თქმას მოახერხებთ, რადგან თქვენი დახმარება უახლოეს ადამიანის სჭირდება.

ღრიანკალი — დღეს საამაეე არ მოგცემთ უფლებას, საუკეთესო თვისებები გამოავლინოთ. სავსებით შესაძლებელია, სადამოს ინანოთ, ასეთი შანსი ხელიდან რომ გაუშვით.

მშვილდოსანი — შესაძლოა, დღეს ისეთი ადამიანი გაიცნოთ, ვისზეც დამოკიდებული იქნება თქვენი კეთილდღეობა. შეეცადეთ, ზედმეტი გაპრანჭვისა და წინასწარ მოფიქრებული ფრაზების გარეშე, თანამოსაუბრეზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოთ.

თხის რქა — დღეს თავს უარი არაფერზე უთხრათ, ზომიერების ფარგლებში, რასაკვირველია. ძალიან წაგადგებათ დასვენება მეგობრებთან ერთად, რაიმე გასართობ კონკურსებში მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, რომ დიდი ბოლოს სიურპრიზი მიიღოთ ნაკლებად ნაცნობი ადამიანისგან.

მერწყული — დღეს როგორც უნდა გინდოდეთ, დრო საეკარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ, სჯობს, ამას თავი აარიდოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ კამათი გელით, მით უმეტეს, რომ თავადაც ვერ მიხვდებით, ისე მოულოდნელად განვითარდება მოვლენები. ასე რომ, სჯობს დღე სიმარტოვეში გაატაროთ.

თევზები — შეეცადეთ, დღეს ოცნებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს გიმტროთ, ამიტომ აჯობებს, უველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვაროთ, სადამო კი მეგობრების წრეში გართობას დაუთმოთ.

ბუტერბროდი 122 დოლარად

სიდნეის ერთ-ერთი რესტორანი კლიენტებს საუზმეზე ბუტერბროდს სთავაზობს, რომლის ღირებულებაც 122 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამ ძვირიანი სენდვიჩის დაგემოვნება მსურველებს ერთი კვირის განმავლობაში შეეძლებათ მაშინ, როცა ბეკონის კვირა აღინიშნება. 122-დოლარიანი ბუტერბროდის შემადგენლობაში შედის საუკეთესო ავსტრალიური ბეკონი, იხვის შემწვარი კვერცხი, ყველი „ჩედერი“, ცოტა ტრიუფელი, ფუა-გრა, შებოლილი პომიდორი, კემ-ფრეში და ხიზილალა. ამ სასწაული ბუტერბროდის ავტორის, კარლა ჯონსის თქმით, თავად არ შეჭამდა ასეთ სენდვიჩს, რადგან ზოგიერთი ინგრედიენტი, მაგალითად, ტრიუფელი არ უყვარს.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუ

ადვილი

2		1		7				
4					2			8
	3		1	4		2		
						3	5	
		9				1		
	4	8						
		5		6	1		7	
7			3					5
				5		8		1

სტანდარტი

	6		8					
5		9				2		
4	8			1	9			
				3			9	
8			7		4			3
	4			8				
			1	5			2	4
		5				3		1
					3		5	

რთული

		9	4					
						5	3	
6			8	2		7		
1							9	
			7		4			
	7							5
		8		5	3			2
	6	4						
					8	6		

ექსპერტი

	6				5		4	3
	4		9			7		
1				3		9		2
6						2		7
				9				
8		4						5
7		5		6				4
		6			7		2	
3	9		1				7	

ჯვარედინი

1. სურინამის დედაქალაქი
2. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
3. ერთი ხალხის გათქვეფა სხვა ხალხში
4. სააღდგომო ნამცხვარი
5. მეკვლანუ-აშვილის სახელი
6. ტრაბახა ბარონი გერმანულ ლიტერატ.
7. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი
8. ჯარისკაცთა დასაკავი ნაგებობა ომში
9. დამოუკ. მცხოვრები ქალი ძვ.საბერძ.
10. კიმონოს შესაკრავი ქამარი
11. მედუდუკეთა ანსამბლი
12. საქალაქო ტრანსპორ.
13. იტალ. მსახიობი
14. სკვითების მახვილი
15. კოსმეტ. ფირმა „...-ფაქტორი“
16. ლეგენდარული ამერიკ. მომღერალი
17. რაჭის „დედა-ქალაქი“
18. ძველრომაელი პოეტი
19. აგატა კრისტის დეტექტივი ... პუარო
20. ოდისეე-სის ვაჟი
21. ქვეყნის ნაწილი
22. სასულთნო აზიაში
23. „ისტორიის მამა“
24. სომხეთის დედაქალაქი
25. ... დეიმონი
26. ადგილი, მარტივი
27. უუფლებო ადამიანი
28. რუს. ესტრადის პრიმადონას სახელი
29. კათოლიკური ჯვარი
30. ველური კოშში
31. ნიკარაგუას დედაქალაქი
32. თამბაქოს ბოლის ჩაშვება ფილტვებში
33. ავტორბოლა
34. ასტრონომიის მუზა
35. ზაფხულის მეორე თვე
36. საპორტო ქალაქი ეგვიპტეში
37. ყველაზე პატარა თითი
38. ბულგარეთის საკურორტო ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე
39. თხლად დაჭრილი შემწვარი კარტოფილი
40. დიდი, გრანდიოზული
41. თავაზიანი მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
42. სოფელი თელავის რაიონში
43. თხების ჯგოგი
44. სათამაშო კოშის მთავარი მხარე
45. საოჯახო ელექტროხელსაწყო
46. დეკორატიული მცენარე
47. ტბა თბილისის შემოგარენში
48. ძველოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
49. უნგრელი მხატვარი ... ზიჩი
50. წყალწაღებულის „ხელჩასაჭიდი“
51. ბგერის გრაფიკ. ნიშანი
52. სანელებელი მცენარე
53. თვალის ფერადი გარსი
54. რძისგან დამზადებ. მომჟავო სასმელი
55. მეხსიერების დაკარგვა
56. კათოლიკური წირვა
57. რუმინეთის ქალაქი, სადაც პოეტი ბესიკ გაბაშვილია დასაფლავებული
58. შინაური ცხოველი
59. საგანთა ნუსხა
60. ქონება, სიმდიდრე
61. მუს. გამის V ნოტი
62. ურიელ აკოსტას სატრფო
63. ბოლშევიკთა გაზეთი
64. აიდას მიჯნური ვერდის ოპერაში
65. უმცირ. ნატურალური ლუწი რიცხვი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	2	6	4	9	3	1	8	7
3	7	1	8	5	6	9	4	2
4	9	8	7	2	1	6	5	3
2	3	4	6	1	9	8	7	5
8	1	9	5	7	4	3	2	6
7	6	5	3	8	2	4	9	1
6	8	3	2	4	7	5	1	9
1	5	2	9	3	8	7	6	4
9	4	7	1	6	5	2	3	8

სტანდარტი

6	5	3	4	1	9	2	7	8
8	7	9	2	6	3	5	4	1
4	2	1	8	7	5	3	9	6
7	6	4	5	9	2	1	8	3
1	3	8	7	4	6	9	2	5
5	9	2	3	8	1	7	6	4
3	4	7	1	2	8	6	5	9
2	1	6	9	5	4	8	3	7
9	8	5	6	3	7	4	1	2

ადვილი

5	4	9	7	8	6	2	3	1
3	2	1	9	5	4	8	6	7
6	8	7	3	2	1	9	5	4
4	3	8	2	1	9	5	7	6
7	9	6	5	4	8	1	2	3
1	5	2	6	7	3	4	9	8
2	1	5	8	6	7	3	4	9
9	7	4	1	3	5	6	8	2
8	6	3	4	9	2	7	1	5

სტანდარტი

4	5	6	8	1	3	2	9	7
9	3	8	7	2	6	5	1	4
7	2	1	5	9	4	8	6	3
6	1	3	4	8	2	9	7	5
5	9	7	3	6	1	4	8	2
8	4	2	9	7	5	6	3	1
1	8	5	6	4	7	3	2	9
3	7	9	2	5	8	1	4	6
2	6	4	1	3	9	7	5	8

რთული

4	3	2	6	1	9	8	5	7
1	9	8	2	7	5	3	6	4
6	5	7	4	3	8	2	9	1
5	4	6	1	2	7	9	8	3
7	8	3	9	6	4	1	2	5
9	2	1	5	8	3	7	4	6
8	1	5	3	4	2	6	7	9
3	7	4	8	9	6	5	1	2
2	6	9	7	5	1	4	3	8

ექსპერტი

4	2	9	8	3	7	6	5	1
8	1	5	2	9	6	7	4	3
3	7	6	5	4	1	9	2	8
2	8	1	4	7	5	3	6	9
9	6	7	3	8	2	4	1	5
5	3	4	1	6	9	2	8	7
1	5	3	9	2	4	8	7	6
7	9	2	6	5	8	1	3	4
6	4	8	7	1	3	5	9	2

რთული

1	6	8	3	7	9	5	4	2
5	4	3	8	6	2	1	7	9
9	2	7	4	5	1	3	8	6
7	1	6	9	4	3	2	5	8
8	9	5	1	2	7	6	3	4
4	3	2	6	8	5	9	1	7
6	5	4	2	1	8	7	9	3
3	8	1	7	9	6	4	2	5
2	7	9	5	3	4	8	6	1

ექსპერტი

5	4	1	7	6	2	9	3	8
3	2	9	1	5	8	7	6	4
8	7	6	4	9	3	2	5	1
2	1	8	9	3	7	6	4	5
6	9	5	2	1	4	3	8	7
4	3	7	5	8	6	1	2	9
1	8	3	6	7	5	4	9	2
9	6	4	8	2	1	5	7	3
7	5	2	3	4	9	8	1	6

მე-17 გვერდი: 1. პოლიტიკანი; 2. მარაო; 3. ბეროუზი; 4. მყესი; 5. კალიგულა; 6. იაგდტაში; 7. იუსტიცია; 8. ნუნუ; 9. კიარა; 10. ყრუ; 11. სოს; 12. ნიამეი; 13. რაკურსი; 14. გასიონი; 15. ბულგაკოვი; 16. რელიეფი; 17. „ისკრა“; 18. გნუ; 19. აზარტი; 20. ვაი; 21. ტრიკონი; 22. ვლტავა; 23. ლტოლვილი; 24. ობობა; 25. უზუნდარა; 26. კალია; 27. ამანათი; 28. ელო; 29. მზე; 30. არენა; 31. გომიაშვილი; 32. მახვში; 33. ბიეფი; 34. ანილინი; 35. სოფიტი; 36. ოფი; 37. „ნისანი“; 38. ილიონი; 39. ტალი; 40. ულუმბო; 41. ლახტი; 42. ხმა; 43. ადლია; 44. ონი; 45. ჰოსპისი; 46. ზუა; 47. ისლი; 48. იდეა; 49. ეშხი; 50. ვენა; 51. რაკია; 52. დიზაინი; 53. ძნა; 54. აფიშა; 55. დიკა; 56. გრიმო; 57. კარე; 58. შიო; 59. ეთილი; 60. „პასპორტი“; 61. დისპუტი; 62. სკა; 63. იოდლი; 64. აუტი; 65. ტიტა.

მე-20 გვერდი: 1. გუშინ; 2. ანტანანარივე; 3. ნამაზი; 4. ავენიუ; 5. გოლგოთა; 6. შარვალი; 7. ნოივილი; 8. ამპერი; 9. ოლიგოფრენია; 10. ელიოზი; 11. ფლირტი; 12. გერმანიკუსი; 13. იმაგო; 14. ეპატაჟი; 15. შტერი; 16. ლეთე; 17. ლილუ; 18. ატიტიუდი; 19. „აელიტა“; 20. პარიკი; 21. კერატი; 22. უინსლეტი; 23. იზიდა; 24. რეგატა; 25. ამარეტო; 26. ტრაური; 27. კროლი; 28. კორიფე; 29. ნიაზ; 30. ეხი; 31. ნინძა; 32. კუ; 33. ინტი; 34. მარტინი; 35. ესენტუკი; 36. იხტიანდრი; 37. ნეი; 38. უნა; 39. მუხა; 40. იფანი; 41. ურნა; 42. იასპი; 43. ლუი; 44. დიდი; 45. მენორა; 46. ოფი; 47. მესხი; 48. დანაე; 49. მუსიკა; 50. მისის; 51. ბუი; 52. ცელიბატი; 53. რობაია; 54. თრია; 55. ასასი; 56. ტიტა; 57. აიეტი; 58. სოს; 59. ლაპი; 60. უკრაინა; 61. როდრიგესი; 62. ლადოგა; 63. გია; 64. სოია; 65. ნიანია; 66. ბმო; 67. პრაია; 68. დილა; 69. ურო; 70. ნუგა; 71. დოგა; 72. ბეოტია; 73. უფა; 74. ტესტი; 75. პირანია; 76. არაი; 77. ლაბა; 78. ანთრაციტი; 79. ვაიო; 80. ამტი; 81. ასი; 82. სირ.

სურათზე: ანანასი.

ჰოროსკოპი

21 მაისი

ვერძი — ვერძებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემებიც გაჩნდეს.

კურო — დღეს დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

ტყუპები — დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებებისთვის და შესაფერისი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევადაც.

კირჩხიბი — კირჩხიბებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით. თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას, ურთიერთობების გართულების ალბათობა დიდია, არის დაშორების რისკიც.

ლომი — დღეს დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან ნაკლებსასურველ ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში და შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობებიც განაახლოთ.

ქალწული — ქალწულები დღეს ყურადღების ცენტრში იქნებიან, მაგრამ წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობებისთვის, სამაგიეროდ, ყველა კომერციული ოპერაცია ისე დასრულდება, როგორც გეგმავდით.

სასწორი — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

ღრიანკალი — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე ვალდებულება მთელ ყურადღებასა და ენერგიას წაიღებს, ამიტომ აჯობებს, საღამო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

მშვილდოსანი — დღეს ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, რომელიმე კომპანიონის უსინდისობის გამო.

თხის რქა — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს.

მერწყული — მერწყულებს დღეს ახალი აღმოჩენა გელით, ადვილი არ იქნება ცდუნებასთან გამკლავება, ასევე გარშემომყოფების ნეგატიური გავლენისგან გათავისუფლება, ამიტომ სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ წუწუნს უბედობასა და სხვების მხარდაჭერის არარსებობაზე.

თევზები — დღეს ფინანსური დანაკარგი გელით, სახლში დაძაბული ატმოსფერო კი იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

ცოლი შეუხედავი ბავშვის გამო გააგდო

ჩინელმა მამაკაცმა ფენგმა მეუღლეს სასამართლოში უჩივლა, როცა შეიტყო, რომ ქალს არაერთი პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და განქორწინება მოითხოვა. როგორც გაირკვა, ფენგის მეუღლეს გათხოვებამდე ოპერაციებზე 100 ათასი დოლარი დაუხარჯავს, თუმცა მომავალი მეორე ნახევრისთვის ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. თავად ფენგის თქმითაც, მას მშვენიერი ქალბატონი დანახვისთანავე შეუყვარდა და ხელიც სთხოვა. მათ შორის პრობლემები კი მას შემდეგ დაიწყო, რაც წყვილს ბავშვი შეეძინა. მამა შეძრული იყო შვილის შეუხედაობითა და იმ ფაქტით, რომ ახალშობილი არავის ჰგავდა სანათესაოში. მან ცოლს ღალატშიც კი დასდო ბრალი და დნმ-ის ანალიზის ჩატარება მოითხოვა, თუმცა პასუხმა დაადასტურა, რომ ბავშვის მამა თავად იყო. ბოლოს, ცოლი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. შეურაცხყოფილმა ფენგმა სასამართლოში იჩივლა იმ მოტივით, რომ სიცრუეში ცხოვრობდა და სასამართლომაც განაჩენი ქმრის სასარგებლოდ გამოიტანა, თუმცა ბავშვი ცოლს დაუთმო, რომელმაც ყოფილ მეუღლეს, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 120 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს.

ქალაქს ოთხი წლის მერი ჰყავს

აშშ-ში, მინესოტას შტატის პატარა ქალაქ დორსეტის მერი ოთხი წლის ბიჭი, რობერტ ტაფტსი გახდა. პატარამ ქალაქის მმართველის თანამდებობა მას შემდეგ დაიკავა, რაც ქუდიდან ამოღებულ ქაღალდზე მისი სახელი აღმოჩნდა. როგორც ბიჭმა ჟურნალისტებთან განაცხადა, ძალიან უყვარს მშობლიური დორსეტის ქუჩებში სეირნობა, ხალხთან ურთიერთობა, სიმღერა, ცეკვა, მშობლებთან ერთად სათევზაოდ სიარული და შეყვარებულიც კი ჰყავს, სახელად სოფია. უნდა ითქვას, რომ დორსეტში მერის არჩევნები მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან ამ პატარა დასახლებულ პუნქტს საკუთარი მუნიციპალური ხელისუფლება არ ჰყავს და ზემდგომი ორგანოებიდან იმართება. ამის გამო, დორსეტელები ყოველწლიურად უჩვეულო, იუმორისტულ არჩევნებს ატარებენ.

შაკიკს ბანანით მკურნალობს

ბოლო 20 წლის განმავლობაში ბრიტანელი ლიზა პოინერი ძლიერი შაკიკით იტანჯებოდა და მას მკურნალობის ტრადიციული მეთოდები ვერაფერს შველოდა. ტკივილისგან თავის დაღწევაში ლიზას ბანანი დაეხმარა — როგორც კი შეტევა ეწყება, მაშინვე ამ ტროპიკულ ხილს მიირთმევს, მთავარია, ეს მანამდე მოახერხოს, ვიდრე შაკიკის შეტევა ძალიან გართულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტკივილი ორიენტაციას აკარგვინებს, მხედველობის პრობლემა ექმნება და ხელ-ფეხი უბუჟდება. ლიზა ჯერ კიდევ მოზარდი იყო, დაავადების სიმპტომები რომ გაუჩნდა, მაგრამ ორი შვილის გაჩენის შემდეგ შაკიკი უფრო გაურთულდა. ზუსტად რა იწვევდა ძლიერ ტკივილს, მედიკოსები ვერაფრით ხსნიდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ქალბატონმა პოინერმა თავად მიაგნო შვებას: შეამჩნია, რომ შეტევა მაშინ ეწყებოდა, როცა სისხლში შაქრის დონე ქვეითდებოდა, ნახშირწყლებით მდიდარი ბანანი კი შაქრის დონეს არეგულირებს. გარდა ამისა, ბანანი შეიცავს კალიუმს, მაგნიუმსა და „ბე“-ჯგუფის ვიტამინებს.

სიგარეტის გადასაგდებად ციხეში ჩაჯდა

კალიფორნიაში, ქალაქ საკრამენტოში დააკავეს ქალი, რომელმაც პოლიციელს სახეში გაარტყა. სამართალდამცავების განცხადებით, დამნაშავის საქციელს უჩვეულო მიზეზი ჰქონდა — მას მოწევისთვის თავის დანებება სურდა და საამისოდ ციხეში ჩაჯდომა არჩია. ინციდენტი ორიოდე კვირის წინ მოხდა. 31 წლის ეტა ლოპესი ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელთან მივიდა, რომელიც ცვლის დასრულების შემდეგ, ოფისიდან გამოდიოდა და ყოველგვარი მიზეზის გარეშე, სახეში გაარტყა. პოლიციელი საკმაოდ გაოცებული დარჩა ამ ფაქტით და ქალი დანაშაულის ადგილზევე დააკავა, სასამართლომ კი ლოპესს სურვილი აუსრულდა და 63-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. ციხეში ქალს არ ექნება სიგარეტის შოვნის საშუალება, რადგან აშშ-ში, 2004 წლიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოწევა აიკრძალა.

სუდოკუ

ადვილი

			9			8	7	
5	8		7	4			9	
	9							3
		1				6	8	5
	7			5			3	
6	5	4				7		
8							5	
	1			3	9		6	8
	4	3			8			

სტანდარტი

	2	6	7				1	9
9	8					5		
7						3		
			5		7		9	
			3	8	6			
	1		2		4			
		2						8
		9					4	1
1	6				9	2	7	

რთული

	3							
2			4			3		
	1	6				8	2	
			7	6		5		8
8			3		9			7
6		9		5	4			
	8	1				6	5	
		2			5			3
							4	

ექსპერტი

8		3				4		
	2		3					
		4			1	9	8	
2				1	3			
				5				
			7	2				4
	1	7	4			6		
					7		9	
		9				5		7

ყველაზე პოპულარული ვარცხნილობები

ნისლიან ალბიონზე, სილამაზის სალონ Toni & Guy-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ბრიტანელები ყველაზე ხშირად ქეით მიდლტონისა და შერილ კოულის მსგავს ვარცხნილობას იკეთებენ. გამოკითხვებში მონაწილეობა 20 ათასმა მანდილოსანმა მიიღო. შედეგების მიხედვით შედგენილ რეიტინგში კემბრიჯის ჰერცოგინია ქეტრინი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. ლიდერის ადგილი მომღერალ შერილ კოულს ერგო. სწორედ მისი მსგავსი ვარცხნილობა სურს ინგლისელი ქალების უმრავლესობას. სიაში მოხვდნენ, ასევე, კელი ბრუკი, ჯენიფერ ენისტონი, კიმ კარდაშიანი, კემერონ დიასი, ზოი დეშანელი და ენ ჰეტუვეი. სტილისტების განცხადებით, ნებისმიერი ქალის თმა იდეალურ ფორმას 30 წლის ასაკში იღებს და ვარცხნილობაც უნიკალური ხდება — რადგან სუსტი სქესის წარმომადგენელს აღარ უწევს ექსპერიმენტების ჩატარება, რადგან საკუთარი სტილი უკვე ნაპოვნი აქვს.

პლანეტის ყველაზე ფოტოგენური ქალები დაასახელეს

ვარსკვლავების უმრავლესობისთვის არც ისე მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყურება ცხოვრებაში, უფრო მეტად იმაზე ფიქრობენ, „უყვარს“ თუ არა კამერას. იდეალურად გამოიყურებოდეს ფოტოზე — ეს კონოინდუსტრიისა და შოუბიზნესის წარმომადგენელთა უპირველესი ამოცანაა. სოციოლოგებმა ათასობით ქალი გამოკითხეს და შედეგად, პლანეტის ისტორიაში ყველაზე ფოტოგენური მანდილოსნების რეიტინგი შეადგინეს. ტოპ-ატეულის ბოლო ადგილზე კეტრინ ზეტა-ჯონსია. მუზიკლ „ჩიკაგოსა“ და „ზოროს ლეგენდის“ ვარსკვლავი, თითქოს, ფოტოკამერისთვისაა შექმნილი. ფოტოზე იგი მაშინაც არაჩვეულებრივად გამოიყურება, როცა ჟურნალისტები ეკითხებიან, როგორ მკურნალობდა კლინიკაში დეპრესიას. მე-9 პოზიცია ერგო ჰოლივუდის კიდევ ერთ ვარსკვლავს, ჯენიფერ ენისტონს. სიცოცხლით სავსე რეიჩელი სერიალიდან „მეგობრები“ ასეთივე ჩანს ცხოვრებაშიც, თუკი მის ნებისმიერ ფოტოს დახედავთ. ერთი საფეხურით წინ აღმოჩნდა მომღერალი ბიონსე ნოულზი. ყველაზე სექსუალური და ყველაზე გავლენიანი ქალების მრავალრიცხოვან რეიტინგებში იგი უცვლელად იკავებს მოწინავე პოზიციებს. ანჯელინა ჯოლი მე-7 ადგილზეა, თუმცა სტილის დედოფლობის სურვილი მას არასოდეს ჰქონია — ჯოლი მრავალშვილიანი დედა, წარმატებული მსახიობი და გაეროს კეთილი ნების ელჩია. თუმცა, ნებისმიერ ღონისძიებაზე გამოჩენისას ფოტოგრაფების ყურადღებას იპყრობს.

მე-6 ადგილის მფლობელია ლეგენდარული მერილინ მონრო. XX საუკუნის სექსსიმბოლოს ფოტოგენურობასა და მიმზიდველობას დღეს აღარც განიხილავენ. მისი გამოუქვეყნებელი ფოტოები აუქციონებზე ათასობით დოლარად იყიდება. უმშვენიერესი ოდრი ჰეპბერნი რეიტინგში მე-5 საფეხურზეა — ის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონი იყო. მე-4 პოზიციაზეა გრეის კელი — წარსულში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მსახიობი, რომლის ცხოვრებაც ჰოლივუდურ კინოდრამას ჰგავდა — რომანებით, დაშორებებითა და მოულოდნელი ფინალით. მშვენიერი, შეუდარებელი, მიუწვდომელი, ცივი... ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ ლეგენდარულ ადამიანს, რომელმაც არა მხოლოდ ჰოლივუდის, არამედ მონაკოს პრინცის გულის დაპყრობაც შეძლო. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ის ქალური სილამაზის სიმბოლოდ იქცა.

ლიდერთა სამეულში მოხვდა კიდევ ერთი ლეგენდარული მსახიობი სოფი ლორენი. მას ეპოქის სექსსიმბოლოს, სტილისა და სილამაზის ხატებას, იდეალურ ქალს უწოდებენ. ახლაც კი, როცა მსახიობი 80 წელს მიუახლოვდა, ძლიერი სქესის წარმომადგენლებში კვლავ პოპულარობით სარგებლობს. წლების წინ სოფი ლორენს პლანეტის ყველაზე ლამაზი ქალის ტიტული ერგო. მე-2 ადგილზე ფრანგული კინოს ვარსკვლავი ბრიჯიტ ბარდოა. მან მყარად დაიკავა ადგილი ვარსკვლავურ ოლიმპზე არა მხოლოდ ფრანგული კინოს, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში — ამ ქალზე ყველა გიჟდებოდა. რეიტინგის ლიდერი ელიზაბეტ ტეილორია — ჰოლივუდის დედოფალი, კლეოპატრა. მის ხსენებაზე თვალწინ უმალ წარმოგიდგებათ ულამაზესი ქალი მკვეთრი მაკიაჟით, დახატული მწვანე თვალებითა და ხშირი წამწამებით, მაღალი ვარცხნილობითა და დიდი სამკაულებით. ამ ლეგენდარული ქალის ბობოქარი პირადი ცხოვრება პრესას ხშირად უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე მისი ნიჭი.

როდის არის კაცი ყველაზე ბედნიერი?

სწავლულებმა გამოიკვლიეს, რა ასაკში გრძნობენ თავს ყველაზე ბედნიერად ძლიერი სქესის წარმომადგენლები: ქალისთვის ცხოვრება 40 წლის მერე თუ იწყება, კაცებისთვის ეს ასაკი 37 წელს შეადგენს. ექსპერტების თქმით, ამ დროისთვის ძლიერი სქესი უკვე ახერხებს კარიერის გაკეთებას და დაოჯახებაზე ფიქრობს, რაც ყველაზე დიდ კმაყოფილებას იწვევს. ვარაუდობდნენ, რომ კაცებს ბედნიერების შეგრძნება მაშინ აქვთ, თუ მატერიალურად უზრუნველყოფილები არიან, არ არიან ქორწინებაში, მდიდრულ წვეულებებს სტუმრობენ და მხიარული თავგადასავლებით ერთობიან. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ბედნიერებისა და კმაყოფილების შეგრძნების ყველაზე მაღალ დონეს მათ სტაბილურობა და ხანგრძლივი ურთიერთობები ანიჭებთ. როგორც სოციოლოგებმა დაადგინეს, საშუალო ასაკობრივი კრიზისი 45-47 წლის ასაკში დგება ხოლმე, ხოლო ყმაწვილკაცობის პრობლემები და სულელური საქციელი უკვე წარსულში დარჩა.

გართოება



უეინ რუნის მეტსახელი

რონალდოს მეტსახელი

1. ხუთ ტაპიანი ხუთსტრი-ქონიანი ძვ. ლექსი
2. ერთნაირი სიმაღლის რამ-დენიმე ბგერის ერთდროული ჟღერა
3. მუსი-კალ-ური ვიდეო-რგოლი
4. ზევსის ფარი
5. წილი საერთო საქმეში
6. ვენესუელის დედაქალაქი
7. ბროწეულ-ის წვენის საწებელი
8. ბზიკი, კრა-ზანა
9. ჩინეთ-მცოდ-ნეობა
10. ტროას მეორე სახელი
11. გალაკტიო-ნის ლექსი
12. მდ. ვოლგის სახელწოდე-ბა შუა საუკუ-ნეებში
13. მიშა სააკაშვილის საყვარელი ტრანსპორტი
14. ნარინ-ჯისფერი ბოსტნეული
15. ტბა თბილისის შემოგარენში
16. ზინედინ ზიდანის მეტ-სახელი
17. მოგზაური ... ამუნდსენი
18. ქმ-რის და
19. ისრაელის წარმოების ავტომატი
20. ირლან-დიის რე-სპუბლიკური არმია
21. დო-ნელი კაზაკი, აჯანყების მეთაური რუსეთში
22. ხრიკი, ფანდი
23. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
24. აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ტბა
25. გამა-დდებელი შუშა
26. მიწაში ამოთხრილი ადგილი
27. ხე-ლოვნური აბრეშუმი
28. კოლუმბის კომალდის სახეობა
29. ქალაქი თურქეთში
30. ქართული ყოველკვი-რეული ჟურნალი
31. ჩოგ-ბურთელი ... ფედერერი
32. სა-თადარიგო მოთამაშე ფეხბურთში
33. პაატა ბურჭულაძის სასიმღერო ხმა
34. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში
35. შეი-არაღებული ბრძოლა ქვეყ-ნებს შორის
36. ჯონ ლე-ნონის ქვრივი იოკო ...
37. ფოსო მკლა-ვის ტანთან შეერთების ადგილას
38. ხილის წვე-ნი, სასმელად მომზადებული
39. შემოსე-ული დამ-პყრობელი ჯარი
40. მო-ზამბიკის დედაქალაქი
41. VII თვე
42. მსახ-იობი ... სტრიპი
43. ფინეთის ეროვნული სახელწოდება
44. ჯარების უფროსი, მსედართ-მთავარი
45. ამერიკელი მომღერალი ქალი
46. ფუჭი, უმედეგო
47. რუსი საბჭოთა ილუზიო-ნისტი
48. „სურამის ციხის“ ავტორი
49. ფრანგი შანსონიე ... მონტანი
50. არმიის სამეთაურო შემადგენლო-ბის წარმო-მადგენელი
51. ხუთი კაპიკი (ძვ.)
52. ბოშური წარმოშო-ბის რუსი მომღერალი მამაკაცი
53. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
54. ფრანგი კინოვარ-სკვ-ლავი სოფი ...
55. ავტომო-ბილის ძარის ტიპი
56. ფრანგი მწერალი დენი ...
57. ქალაქი აშშ-ში
58. არგენტ. ფეხბურთელი
59. თევზის ძვალი
60. უძვ. ქალაქი შუამდინა-რეთში
61. ურჩხულ ქარიბდას მეწყვილე
62. სიმებიანი ინსტრუმენტი
63. უმცროსი მეთაური გემზე
64. ის, რაც პანდორას ყუთში ბო-ლოს დარჩა
65. სამ-კურნალო მცენარე
66. ქალაქ ვოლგოგრადის სახელწო-დება მეფის რუსეთში
67. უცნობი სიდიდის აღმ-ნიშვნელი ასო მათე-მატიკაში
68. იგივეა, რაც ეშმაკი
69. იაპონელთა ჯიბის ყუთი
70. მწერალი ედგარ ... პო
71. ტბა იტალიის ალპებში
72. რუსული მცირელიტ-რაჟიანი ავტომობილი
73. ცხელი მატონი-ზირე-ბელი სასმელი
74. ინერ-ტული აირი
75. სვაროვს-კის სამუშაო მასალა
76. გაზაფხუ-ლის ყვავილი
77. იგივეა, რაც ღაწვი
78. ზნე, ხასიათი
79. მუსიკ. გამის VII ნოტი
80. საბჭოთა კოსმო-ნავტი ძაღლი, პირველ-ი ცოცხალი არსება დედამიწის ორბიტაზე
81. ბიბლიური პატრიარქი
82. მუ-სულმანთა 30-დღიანი მარხვა
83. მფრთხალი, შეუჩვეველი საქონელი
84. ძვირფას-მერქნიანი ხე
85. უდედმამო ბავშვი

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.